სტილიაში განიხილება ფიგურისა და ფონის ცნება ლიტერატურულ სტილისტიკაში. ეს ცნებები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება ვიზუალურ ხელოვნებაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას ენის მიმართაც. ასეთი გამოყენებისას ფიგურის ცნება უდრის ტექსტის წინა პლანზე წამოწეულ ლინგვისტურ ელემენტებს. ტექსტის ფიგურები შეიძლება იყოს დინამიკური, ანუ შეიძლება მოიცავდნენ მოძრაობის მნიშვნელობას. ეს აიხსნება გამოსახულების სქემის კოგნიტიური კომპონენტით. გამოსახულების სქემა არის შედარებით მარტივი სტრუქტურა, რომელიც რეგულარულად მეორდება ადამიანის ცხოვრებაში, მაგალითად, გზა, კავშირი, წონასწორობა და ა.შ. ეს განსხვავება ფიგურასა და ფონს შორის სასარგებლო დამატებაა წინა პლანზე გამოტანის თეორიისათვის, რადგან ის საშუალებას გვაძლევს უფრო გასაგებად ავსხნათ, თუ როგორ გადავრთავთ ყურადღებას ტექსტის კითხვისას მის სხვადასხვა ნაწილებზე.

საკვანძო სიტყვები:

ფიგურა, ფონი, გამოსახულების სქემა, წინა პლანზე გამოტანა, პარალელიზმი, გადახრა.

შექსპირის მახაბლისეული თარგმანის სილიაღე

ნათია ხარბედია
საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა ანდრია პირველწოდებულის
ქართული უნივერსიტეტი
ჭავჭავაძის გამზ. 53 ა, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 593 496 629
E-mail: natiakharbedia@yahoo.com
kharbedianatia@yahoo.com

რეზიუმე

ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ - ივანე მახაბელმა, შექსპირის ქართულ ენაზე მთარგმნელმა, კარგად იცოდა, თუ რა სიძნელებს შეიძლებოდა გადაეყრდა ამ უკვდავი დრამატურგის თარგმნის პროცესში, თუმცა მან ბრწყინვალედ გაართვა თავი ყოველივეს და შეინარჩუნა შექსპირისეული ფრაზის სილიაღე. მან მოახერხა ნამდვილი ქართული შესატყვისი მოენახა შექსპირის უმდიდრესი ლექსიკისათვის. მახაბელმა თავის თარგმანებში შეძლო და გადმოიტანა ის ყოველივე, რაც დამახასიათებელია შექსპირის შემოქმედებისათვის - აზრის ლაკონიურობა და სისხარტე.

საკვანძო სიტყვები:

ივანე მახაბელი, შექსპირის დრამატურგია, თარგმანი, ფოლკლორი, ანდაზა.

შესავალი

ივანე მახაბელი დიდი ოსტატობით ქსოვს შექსპირის სიტყვის ქსოვილს და ქართულად მომხიბლავად აუღერებს მის უკვდავ სიმფონიებს. მეტად გვხიბლავს გაბედული გამოთქმები, პირველად მახაბლის მიერ გამოყენებული ქართულ ენაში.

მახაბელს კარგად ესმის, რომ ხშირად სიზუსტის დაცვით, სიტყვების პირდაპირი თარგმნით, ნაწარმოების შინაარსისა და ქართული ენის ბუნების გაუთვალისწინებლად, არასასურველ შედეგს მივიღებთ. ასეთი თარგმანი, პირიქით, დაშორდება ორიგინალს. ამიტომაც იგი ბრმად არ თარგმნის ცალკეულ ფრაზას, არამედ საოცარი ინტუიციით წყვედება ყველა ნიუანსს და შესაფერი ფორმით გადმოაქვს ქართულ ენაზე.

ძირითადი ნაწილი

მახაბლის ყველაზე დიდი ღირსება ისაა, რომ იგი ახერხებს შექსპირის მდიდარ ლექსიკას მოუნახოს ნამდვილი ქართული შესატყვისი. მისთვის სიტყვა განყენებულად არ არსებობს. სიტყვით იგი გამოხატავს აზრს, ქმნის სახეს, მოვლენას თავის სახელს არქმევს. მკითხველს ნათლად წარმოუდგება ამ სიტყვით გამოხატული მოვლენა ან სახე. ამიტომაცაა, რომ როდესაც მახაბლის თარგმანს ვკითხულობთ, სიტყვები პირდაპირ აღბეჭდავენ სახეებს ჩვენს ცნობიერებაში. მკითხველს არ სჭირდება სიტყვის გასაცოცხლებლად შესაფერი სახის ძებნა. ძალზე საგულისხმო და ყურადღებაამისაქცევია ის გაბედული გამოთქმები, რომლებიც პირველად მახაბელმა გამოიყენა ქართულ ენაში.

მოვიტანო იმის მაგალითებს, თუ რა შესანიშნავ, გაბედულ შესატყვისებს პოულობს მახაბელი ინგლისური სიტყვის ან გამოთქმისათვის.

Urge me no more, I shall forget myself... („იუ-ლიუს კვისარი“).

დამეხსენ, ბრუტოს, ლამის გონება დამეფანტოს... (პირდაპირი თარგმანი იქნება: „ლამის თავი დამავიწყდეს“).

“The jealous of ferworm widow and herself... („რიხარდ მესამე“).

ეს და ის ქვრივი, ეჭვიანი, დროგაცვეთილი,

მარტოდ-მარტონი აქ მეფობენ, ნათლი-დედობენ.

იმავე პიესაში ვხვდებით: my Lord of Buckingham, if my weak oratory

Can from his mother win the Duke of York...

„Weak oratory“ – პირდაპირ რომ ვთარგმნოთ, იქნება „სუსტი მჭევრმეტყველება“. იგულისხმება, რომ კარდინალს (რომელიც ამ სიტყვებს წარმოთქვამს) არა აქვს იმედი, დაიყოლიოს იორკის მთავარი. ქართულად ეს სტრიქონებიც შესანიშნავადაა თარგმნილი:

„მილორდ ბუკინგამ, თუკი ჩემი მწირ-მეტყველება

დაათხოვნიებს თავის დედას იორკის მთავარს...“

ომიდან დაბრუნებული, გამარჯვებული მაკბეტი მიმართავს კუდიანებს:

Stay you imperfect *speakers*, tell me more...

მაჩაბელს ნათარგმნი აქვს „speakers“, როგორც „სიტყვაძვირო“.

BE NOT A NIGGARD OF YOUR SPEECH...

„Niggard“ – ძუნწის ნიშნავს. ეს ფრაზა ასეა თარგმნილი:

“ყველა მითხარ, ნუ სიტყვაძუნწობ“.

ეს გამოთქმები მაჩაბელს ხალხური ფოლკლორიდან აქვს აღებული. ქართლის სოფლებში ხშირად ამბობენ ხოლმე: „სიტყვაძვირი (ან პურძვირი) კაცია“, „წისქვილძვირობა იყო“, „წყალძვირობაა“ და ა. შ. როგორც ვნახეთ, ეს შესანიშნავი ხალხური გამოთქმა მოხდენილად გამოიყენა მაჩაბელმა თარგმანში და ფრაზას ლაკონურობა მისცა.

მაჩაბელი ცდილობს, აზრი ყველგან თავისუფლად იშლებოდეს, ყოველი გამოთქმა ბუნებრივი იყოს ქართული ენისათვის. ამიტომაც იგი ძალზე ხშირად ინგლისურ ანდაზებს ქართულით ცვლის ხოლმე. ზოგიერთი ანდაზა მოარულია და ის, რა თქმა უნდა, პირდაპირ ითარგმნება (მაგ., „ახალი

ცოცხი კარგად გვის“, „ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ და ა. შ.), სხვა შემთხვევაში კი სათარგმნი ანდაზა უნდა შეიცვალოს იმავე აზრისა და განწყობილების გამომხატველი საკუთარი ანდაზით. ვერ გამოვიყენებთ მხოლოდ ისეთ ანდაზებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ ან ისტორიულ სახელებთან.

„ჰამლეტში“ ასეთ გამოთქმას ვხვდებით:

I do not set my life at a pin's fee.

ეს თარგმნილია შემდეგნაირად:

ჩემი სიცოცხლე ჩაღის ფასად არ მიმანია.

While the grass grows... (და წყდება სათქმელი). ეს არის ცნობილი ინგლისური ანდაზის პირველი ფრაზა: „ვიდრე ბალახი გაიზრდებოდეს, რაში შიმშილით მოკვდება!“

მაჩაბელთან ეს შემდეგნაირად არის თარგმნილი: „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესა!“

კიდევ ერთი მაგალითი, სადაც ინგლისური გამოთქმა შეცვლილია ქართულით:

BUT YET I RUN BEFORE MY HORSE TO MARKET.

Clarence still breathes: Edward still lives and reigns.

When they are gone, then must I count my gains. („რიჩარდ მესამე“)

მაგრამ რას ვნახავ, ურემს ხარებს უკან რად ვუბამ!

კლარენს ჯერ სუნთქავს, ედვარდ მეფეც ცოცხალი არის,

როს გავისტუმრებ, მონაგები მაშინ აღვ-ნუსხო“.

მაჩაბელი მარჯვედ სარგებლობს ქართული ენის განუსაზღვრელი სიმდიდრითა და შესაძლებლობებით. უპირველეს ყოვლისა, სარგებლობს ჩვენი ზმნის საოცარი ელასტიურობითა და მოქნილობით. ხშირად იგი გაბედულად იყენებს ამ შესაძლებლობას და ისეთ სიტყვას მოაქცევს ხოლმე ზმნის ფორმაში, რაც ლიტერატურაში, და ზოგჯერ სასაუბრო ენაშიც კი, მანამდე არ ხმარებულა. საინტერესო ის არის, რომ ზმ-

ნის ასეთ ფორმებს მანაბელი მარტო თარგმანებში კი არ იყენებს, არამედ მის პუბლიცისტურ და კერძო წერილებშიც ვხვდებით ასეთ შემთხვევებს: „გულწრფელმა კაცმა მარტო სხვის შესახებ კი არ უნდა იგულწრფელოს...“, „ევროპული განათლება ვერ გავიძვალრბილეთ...“, „ყველგან უნდა იპირველოს...“, „რისთვის გინდა გამაგულწვილო?...“ – და სხვა. იგი უხვად ხმარობს ასევე ისეთ მოხდენილ ხალხურ გამოთქმებს, რაც ფრაზას მოქნილს ხდის. ორიგინალში 2650 სტრიქონია, თარგმანში კი – 2668, ე. ი. 18 სტრიქონით მეტი.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მანაბელი იოლ გზას ირჩევდეს და არავითარ ანგარიშს არ უწევდეს სტრიქონთა რაოდენობის დაცვასა და ფრაზების ზუსტი თარგმანით გადმოტანას. პირიქით, იგი ყოველთვის ცდილობს მტკიცედ დაიცვას ორიგინალის სტრიქონთა რაოდენობა, მოგვცეს სიტყვის პირდაპირი, ლექსიკონისეული თარგმანი, მაგრამ თუ ამით ოდნავად ბუნდოვანდება აზრი, ან იკარგება რაიმე სახე ან შედარება, ის უყოყმანოდ ირჩევს სტრიქონის გაზრდას, სიტყვის ან ფრაზის თავისუფალ თარგმანს. როგორც ვხედავთ, მთარგმნელი ცდილობს ნაწარმოებს შეუნარჩუნოს ფორმალური, ამ შემთხვევაში ტექსტისათვის სრულიად უმნიშვნელო სილამაზეც კი.

შექსპირის ქართულ ენაზე მთარგმნელები სიტყვათა თამაშის დროს დიდ სიძნელებს აწყდებიან. შექსპირის ევროპელი მთარგმნელებისათვის უფრო გაადვილებულია ეს სიძნელე, რადგან სიტყვათა თამაში უმთავრესად აგებულია სიტყვათა ფონეტიკურ მიმსგავსებაზე, ხოლო ევროპული ენები ერთმანეთის მონათესავენი არიან. თუმცა, ყველა კალამბურის გადატანას ვერც გერმანელი და ფრანგი მთარგმნელები ახერხებენ.

სიტყვათა თამაშის მიზანი ისაა, რომ საკმაოდ დაძაბული მოქმედების შემდეგ შეასვენოს მკითხველი და მაყურე-

ბელი. ამასთან, შექსპირს გარკვეული განწყობილება, წარმოდგენა მოგვცეს გმირის ხასიათზე და მის დამოკიდებულებაზე გარემოსთან. ამიტომ სიტყვათა თამაშის გადმოტანა სასურველი და საჭიროა. ამას მანაბელიც გრძნობს და თუ ყველგან ვერა, ბევრგან მაინც ახერხებს ქართულად კალამბურებისა და ზმნების გადმოტანას.

ჰამლეტი: My Lord, you played once in the university, you say? And what did you enact?

პოლონიუსი: I did enact Caesar; I was killed in the Capitol, Brutus killed me.

ჰამლეტი: It was a brute part of him to kill so a capital calf there.

ინგლისურად ასეთი აზრია გატარებული ამ დიალოგში:

პოლონიუსი: მე ვთამაშობდი კეისარს და კაპიტოლში ბრუტოსმა მომკლა.

ჰამლეტი: მაშ მართლაც ბრუტალობაა (პირუტყვობაა) მისი მხრივ, რომ ასეთი კაპიტალური (დიდი) ხბო მოუკლავს.

მანაბელთან კი შემდეგ თარგმანს ვიხილავთ:

ჰამლეტი: შენ, მგონია, მითხარი, რომ უნივერსიტეტში ყოფნის დროს სცენაზე ვითამაშნია... რასა თამაშობდი?

პოლონიუსი: მე ვთამაშობდი იულიუს კეისარს და კაპიტოლში მომკლეს, ბრუტოსმა მომკლა.

ჰამლეტი: მაშ ის ბრუტოსი სწორედ ბრუტიანი ყოფილა, რომ მაგისტანა ჩინებული ხბო დასაკლავად გამოუმეტნია.

ჰამლეტის ეს პატარა ნაწყვეტი ბრწყინვალე ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. სიტყვათა თამაშის გადმოტანის დროს ლაპარაკიც ზედმეტია ზედმიწევნით თარგმანზე. ეს არცაა სავალდებულო. შექსპირისათვის ის კი არ არის მნიშვნელოვანი, ბრუტოსი ბრუტალოურად მოიქცა თუ ბრუტიანი იყო, მთავარი ისაა, რომ ამ ადგილას საჭიროა უსათუოდ რაიმე კალამბური და სწორედ ისეთი, რომელიც შესაფერისი იქნება ენის ბუნებისათვის. ამ შემთხვევაში ქართული

ტექსტი ლოგიკურად უფრო გამართულია: პამლეტი მიმართავს პოლონიუსს, ბრუტოსი ბრუტიანი ყოფილა, რომ (ვერ დაგინახა, ვინ იყავი და) ასეთი დიდი ხბო მოგკლავ.

დასკვნა

შექსპირის ენისათვის დამახასიათებელია წინადადების ლაკონიურობა და სისხარტე. მისი ფრაზა ყოველთვის მოქნილი და ფრთიანია. ამავე დროს მსუბუქი და უბრალო, არა პათეტიკური (მცირე გამონაკლისის გარდა). მაჩაბელი ოსტატურად ძღვეს ყველა სიძნელეს, მის მიერ შემოთავაზებულ ყოველ ფრაზას ქართულ ენაზე აღტაცებაში მოყავხარ თავისი სისადავითა და სისაესით, როცა მათ დედანს ადარებ; თარგმნილ ფრაზებში იგრძნობა სიცოცხლე, დინამიურობა. შექსპირის პროზის თარგმნა საკმაოდ ძნელი საქმეა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისურში საქმეს შველის ვნებითი ფორმა, ზმნისდარი და მრავალი სხვა ენობრივი საშუალება, ასევე ზოგიერთი თავისებურებანი, რაც მომხიბლავად ედერს ინგლისურ სასაუბრო ენაში, მაგრამ ქართული სასაუბრო ენისათვის არ არის დამახასიათებელი და ხშირად უხერხულიცაა. ივანე მაჩაბელი ვირტუოზულად ახერხებს შეუნარჩუნოს თარგმანს ორიგინალის ლაკონიურობა და მოქნილობა.

ლიტერატურა

1. გ. გაჩეჩილაძე (1966): მხატვრული თარგმანის თეორიის შესახებ. გამ. განათლება. თბილისი
2. პ. იაშვილი (1990): მხატვრული სტილი და თარგმანი. თბილისი
3. დ. ფანჯიკიძე (1995): თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტის პრობ-

ლემა. გამ. განათლება. თბილისი

4. დ. ფანჯიკიძე (1982): თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბილისი
5. გ. წიბახაშვილი (1975): თარგმანის სტილისტიკის ზოგიერთი საკითხი. თბილისი
6. გ. წიბახაშვილი (1970): თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბილისი
7. გ. ხუციშვილი (1989): ქართული პროზის რუსულ ენაზე თარგმნის პრობლემები. თბილისი
8. რ. ჯვარშიშვილი (1979): ოზგუდის ემოციონალური თეორიის ექსპერიმენტული კრიტიკა მხატვრული თარგმანის მიმართებაში. მაცნე, თბილისი
9. Влахов С., Флорин С., (1980): Непереводимое в переводе . Москва
10. Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. Сборник статей. Москва, 1978
11. Гоциридзе Д., Хухуни Г. (1986): Очерки по истории западноевропейского и русского перевода. Изд-во Тбил. ун-та, Тбилиси
12. Гоциридзе Д., Хухуни Г. (1994): Возрождение и Реформация в истории перевода и переводческой мысли. Изд-во Тбил. ун-та, Тбилиси

Величие шекспировского перевода Мачабели

Харбедия Натия Гуладиевна

*Грузинский патриарший университет Андрии
Первозванного*

Пр. Чавчавадзе 53а, Тбилиси, Грузия

Тел.: 593 496 629

E-mail: natiakharbedia@yahoo.com

kharbedianatia@yahoo.com

Резюме

Выдающийся грузинский писатель и государственный деятель – Иване Мачабели, переводчик Шекспира на грузинский язык,

хорошо осмыслял, какие трудности могли быть в процессе перевода этой нерукотворной драматургии, но несмотря на это, он все великолепно осилил и показал величие шекспировской фразы. В своих переводах он смог найти подходящие грузинские эквиваленты для шекспировской богатой лексики и перенес все то, что свойственно творчеству Шекспира – лаконичность и гибкость мысли.

Ключевые слова:

Иване Мачабели, драматургия Шекспира, перевод, фольклор, поговорка.

Greatness of the Shakespearean Translation by Machabeli

Natia Kharbedia

Georgian Patriarchal St. Andreas First-Called University

53^a Chavchavadze av., Tbilisi, Georgia

Tel.: 593 496 629

E-mail: natiakharbedia@yahoo.com

kharbedianatia@yahoo.com

Abstract

Ivan Machabeli is a famous Georgian writer and statesman, also he translated Shakespeare into the Georgian language, he interpreted well, what difficulties could be during the translate process of this miraculous dramaturgy, but in spite of this all he overpowered all magnificently and showed the sublimity of Shakespearean phrase. In his translations he found the suitable Georgian equivalent for the Shakespearean rich vocabulary and showed also all what is peculiar to Shakespeare's creation - laconicism and thoughts flexibility.

Keywords:

Ivan Machabeli, Shakespeare's dramaturgy, translation, folklore, proverb.

On Teaching Germanic Languages in Azerbaijan

Durra Hashimova

Azerbaijan University of Languages

Department of General linguistics

Baku, Azerbaijan

E-mail: x_dhashimova@yahoo.com

Abstract

Our Republic while developing as an independent state, as it has taken place in all spheres of life, in the sphere of education as well, began to pursue an independent policy and in teaching Germanic Languages too, new directions were determined. A number of teaching programs, manuals and textbooks which could not already meet the demands, put forth before the educational process, serious need for the publication of textbooks and teaching means, combining all the effective national features seemed to be needed more and more. To achieve this goal important issues in this direction in the Republic began to be realized.

Keywords:

teaching programs, monographs, text-books, typological differences, morphological structure.

Mainbody

Teaching programs

For the establishment of the study of Germanic languages new teaching programs were demanded. As there were already proper text-books and manuals in the national language, they demanded adequate programs as well. In this field a certain experience was gained in the Republic. During the years of independence designing of teaching programs rapidly grew. We think it necessary to mention here a list of some of the programs written and published in this field S.Babayev: „Program on teaching the course of English Phonology“: for the master courses of Higher Schools of the Republic, „Teaching program

on the instruction of Practical course of English“ (for the private universities) Program on the theoretical phonetics of the English Language“, A.Mammadova and B.Hasanova „English language Program“, N.Alizadeh „Program on the course of History of the English Language“, G.Guliyev „Program on the instruction of Practical English Grammar“, H.Guliyev „Basic Principles of Scientific Creative Activity“, „For the Preparation of Bachelors in the Republic“, „Theory of Translation: „Program for the preparation of bachelors in the universities“, Program on „Experience and Terminology“ for the master-course stage of education. „Translation problems of a text“ – Program for teaching master-course students“, „Translation and semantics: for the master-course stage of the educational process“, D.Yunusov „Program for the instruction of typology of Foreign language and Mother tongue for the preparation of master-course students“, D.Yunusov and A.Huseynov „Comparative Typology“: Program for the preparation of bachelor students“, D.Yunusov „Examination Programs in foreign languages (English, French, German) for Post-graduate students and doctorants“ etc.

During the recent years this process has become more intensive, namely during the last three years more than 50 programs have been published in the Republic among which we can mention „Teaching program on the course of English Lexicology (for the correspondence course)“ by A.Hadjiyeva, „Program on Teaching Practical Course of English“ by D. Ismayilova, G.Nacafova and S. Guliyeva „Program on the course of English Semasiology“, „Teaching Program on the course of History of the English literary language“ by E.Abdulrahimov, „Translation and semantics (for the mastercourse students)“ by H.Quliyev, „Program on the course of Translation“ by A.Gubatov etc.

These worked-out programs racticum meeting the modern scientific demands involve most different fields of Germanistics and greatly help to improve the issues of instruction of foreign languages.

Preparation of new teaching programs in the Republic and their meeting all the requirements in this field causes the rapid development of Germanistics as a whole as well and this process charges us with the actual duties to write textbooks, manuals, programs and other teaching means on this or that field of Germanistics. During these years a great deal of manuals, text-books were written on most different fields of English and German languages and all this has shown most positive influence in leading teaching process of Germanic languages more successfully and with high quality, and in the preparation of qualified national cadres occupied in this process. While preparing the programs of such type both national features and grammar explanations fitful to the modern situations in the instruction of these languages and proper exercises have been taken into consideration. In this respect it should be more useful to consider and analyse some of the methodic instructions, text-books, manuals, and other teaching means issued in the years of independence.

Manual written by D.Yunusov devoted to the instruction of branch of composite sentences in Syntax called „Some issues of teaching syntax of the English Language“ (13) is distinguished for its actuality. The author notes „Dealing with the comparison of issues linked with the development of speech as a rule we must consider syntactic exercises in the first place. Speaking of the volume of the compared language materials it is important to mention them in their being double-sided, double-planned character. Here we mean how we distribute the compared language materials, what parts shall the students racticumsi use and at last what parts of the materials shall be performed by the help of the teachers“ (13, 10).

For the purpose of improvement of the teaching of phonetics of the English Language and leading the teaching arctic on scientific background, in the Manual named „Practicum on English Phonetics“ (15) variety of exercises in this field of the language and interesting texts for practical learning of the

language are introduced. In this manual a number of phonetic difficulties in teaching oral speech are determined, for the sake of making some aspects of speech easier, exercises of much interest to help to liquidate those language errors, and which are of importance for the initial process of learning English are introduced.

The Manual named „Rhythmic melodic features of stress in English and Azerbaijan languages“ issued by A.Akhundov, S.Babayev and F.Zeynalov, to help the students more easily to understand the phonetic structure of the English language, all-rounded explanation of issues of stress bearing semantic and grammatic functions and application of these problems in teaching phonetics of the English language increase its importance still more.

From the view-point of making a number of difficulties with which the students cope, while teaching phonetics easier, and from the view point of improvement of teaching this branch, „Orphophonetic exercises in English“ – A teaching Manual, is worth mentioning too (9). In this manual aimed at teaching orphophonetic issues while teaching phonetics of the English language, a number of exercises are introduced, all of which, are helpful for the students to learn English phonetics and increase their knowledge on English phonetics.

The manual named „Practical Grammar of the English Language: together with explanations, exercises, keys to the exercises issued to aid to cover up the necessities in getting wider information on the grammar of the English Language, for those whose speciality is English Language learning and for those who are independent self instructors is of specific importance too (11). In the manual the features of English Grammar, Alongside the grammar explanations to help the learners better and deeply learn grammar materials, different exercises and keys to the exercises find their reflection in the manual, all of which help to learn the grammar of the English in complexity.

Timely and proper use of proverbs, set expressions, phraseological units in learning a language, correct

determination of their equivalents in the other language is of special significance. For this purpose the authors L.Mammadov and F.Abdullayeva have worked out and issued a book called „Dam-ladamlagöl olar“ (Little strokes fell great oaks) – A Manual for English Learners (10), in which the authors have introduced different expressions used in different situations aimed at correct usage of them within the text to give a special articulation to written or oral speech. This manual is also of great importance in teaching phraseology of the English Language.

Understanding Phraseology having specific role in learning individually-taken languages and practicing in possessing deep knowledge, associated with this field of language, is extremely useful. The manual issued just for this purpose and named some free expressions in English and possibilities of translations of infinitive constructions into the Azerbaijani Language“ can be considered as one of the useful means carried out in this respect, especially in the process of translation (14). In the book the situations in which set expressions and free word combinations are used, have been pointed out. On different language materials the possibilities of their translation into the Azerbaijani Language, the ways of determination of their equivalents in the Azerbaijani language are explained, and their practical importance is mentioned.

In the improvement of written speech and in the formulation of culture of writing in this language, preparation of written materials of different kinds on one hand helps the learner to learn deeply the taught language, on the other hand this process plays great importance in the study of Germanistics. The Manual prepared for this purpose, named „Control written texts for the first year students“ (4) is of importance from the point of filling up the vacancy in this field.

In the manual different texts in English are introduced on which doing grammar exercises on these materials are envisaged which helps the 1st year students to learn the tit-bits of the language they learn.

Honymity on the grammatic level, and deep realization of the essence of it, knowledge on the

grammar structure of the English Language give possibility to the learners to get all-rounded and specific knowledge on the peculiar features of this field of language, which help the learners to learn the language on scientific backgrounds. Just for this purpose the manual called „Grammar Honymity in the English language and collection of exercises linked with them“ written by L.Khanbutayeva (5) is distinguished by its importance. In this book grammar honymity, its essence and main features are explained, in order to understand more deeply exercises are given. Work carried out on such exercises parallelly with widening the imaginations on this theme, makes it easier to instruct English grammar on scientific bases, and all-round understanding of the taught material.

In the years of independence all these manuals prepared on this or that field of English language fruitfully help the improvement of the instruction of the English language, as a whole, help to develop this branch of study of Germanistics, to prepare all-rounded, skillful specialists in the Republic.

In the years of independence of the Azerbaijan Republic in Germanistics study also much care has been taken in learning German language as well. During these years for the aim of increasing and improvement of learning and teaching of the German Language a number of manuals and methodic instructions have been prepared and published. Thus the authors Z.Guliyev and F.Aslanov for the help of learning German Phonetics have prepared a manual called „Exercises on Sound system of the German Language“ (8). This manual helps the students not only to better understand the German sounds, but also to obtain all-round knowledge on German phonetics.

The Methodic instruction called „the causes of existence of abnormal structures in the morphological built up of the language“ written by above-mentioned authors (6) gives information on the abnormal features, indicating themselves in the structure of the language and on the reasons why they appear in the structure of the language, by which the authors

enrich the students information and knowledge on these specific grammar structures.

In the years of independence the manual worked out and published by F.Aslanov, called „Lexic. Phraseological means of negation in German and Azerbaijani Languages“ (2). Lexic and phraseological means used during the expression of the category of negation are analyzed, this category is compared with the adjectival category in the Azerbaijani language with which the author increases the scientific and practical value of the book.

In better understanding the structure of the German language and making the issues of the teaching easier, the investigation of secondary parts of speech and their main features are of great importance as well.

In this regard the research works carried out in this field and the role of the published books in the process of teaching is unsubstitutable. The author D.Veysalova taking this need into consideration has devoted her manual to the features of secondary parts of speech and their explanation. This manual has been written for German Language learners. Her book called „Features of usage of practicum parts of speech in Modern German Language“ (12) can be considered as a valuable teaching morphological structure of the German language.

Alongside theoretical study of the German Language a special attention is also paid to its practical study and for this purpose practicums of different specifications are prepared and published, all of which creates favourable conditions for learning the German language in Azerbaijan and which creates possibilities for vast, all-round investigation of the German Language in the Republic. At this time a special interest is directed to the issues of translation from the German Language and manuals dealing with these problems. To achieve this goal a number of practicums have been prepared and published. It is natural that in the course of translation special interest is paid to the materials dealing with different styles indicated in these practicums and in this regard manuals written by A.Gubatov „Translation

Practicum in the German Language“ (7) V.Hadjiyev and A.Huseynova, Scientific-technical translation Practicum in the German Language (3) are of unsubstitutable importance in the establishment of translation habits and skills from German and into the German Language.

Conclusion

All these manuals and teaching materials for the use of learners, prepared in a very short period of time, have played a special role in teaching Germanic Languages and also caused increase of interests in mastering these languages. As a whole each work carried out in this direction in the Republic has created favorable conditions for wide spread of the Germanic Languages.

Most of the scientific-research works devoted to the study of Germanic languages, including monographs, research papers, text-books, manuals, teaching materials, methodic instructions have been largely used in higher educational institutions and therefore alongside their theoretical importance their practical importance is considerable as well.

Literature

1. Akhundov A., Babayev S., Zeynalov F. (1996): Rhythmical melodic features of stress in the English and Azerbaijan languages. Baku. ASUL
2. Aslanova U. (1998): Means of lexical phraseological negations in the modern German and Azerbaijan languages. Baku. ASU
3. Hajiyev V., Huseynova A. (2006): Lexical translation practicum in the German languages. Baku. Azer Neshr
4. Hasanov N., Ismayilova T. (2005): Written texts for the first course. Baku
5. Khanbutayeva L. (2007): Grammatical Homonymy in the English language and Collection of exercises with them. Baku AUL
6. Khalilov Y. (1992): The reasons of existence

of abnormal structure in the morphological establishment of the language. Baku APIFL

7. Qubатов A. (1999): Translation practical in the German languages. Baku. Nurlanph

8. Quliyev Z., Aslanov F. (1991): Exercises on the sound system of the German languages. Baku. ASUL

9. Mammadova A., Zeynalov F. (1996): Orthophonic exercises in the English languages. Baku print service

10. Maharramov L., Abdullayev F. (2002): „Damladamlagololar „(Little strokes fell great oaks) (A manual for English learners) Baku education

11. Rahimov I., Hydayatzade H. (2001): Practical grammar of the English language: explanations, exercises, answers. Baku AzerNeshr

12. Veysalova D. (1990): Features of usage of secondary parts of speech in modern German language. Baku, Mutarjim

13. Yunusov D. (1991): Some issues of teaching English syntax. Baku. APIFL

14. Yusufov G. Yusufova A. (2003): The possibilities of translation of some free word combinations and infinitive constructions from English into Azerbaijan. Baku. Seda

15. Zeynalov F., Mirzayev E. (1994): Practicum on the English phonetics. Baku. ASUL

Обучение германским языкам в Азербайджане

Хашимова Дурра

Азербайджанский университет языков

Департамент основной лингвистики

Баку, Азербайджан

E-mail: x_dhashimova@yahoo.com

Резюме

Статья посвящена анализу различного рода учебных пособий, подготовленных с целью использования в процессе обучения германским

языкам в стране. В центре внимания статьи самые значительные публикации, определяющие основные тенденции с целью демонстрации того вклада, которую внесла данная хронология в развитии германистики.

Ключевые слова:

учебные программы, монографии, учебники, типологические различия, морфологическая-структура.

ახერბაიჯანში გერმანული ენის სწავლების შესახებ

დურრა ჰაშიმოვა

ახერბაიჯანის ენათა უნივერსიტეტი

ლინგვისტიკის დეპარტამენტი

ბაქო, ახერბაიჯანი

E-mail: x_dhashimova@yahoo.com

რეზიუმე

სტატია ეძღვნება სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოებს, რომლებიც მომზადებულია გერმანული ენების შესასწავლად ქვეყანაში. სტატიაში ძირითადი ყურადღება ეთმობა ყველაზე მნიშვნელოვან პუბლიკაციებს, რომლებიც განსაზღვრავენ ძირითად ტენდენციებს იმ დეწლის დემონსტრირებისათვის, რაც გერმანისტიკის განვითარებაში მოცემულმა ქრონოლოგიამ შეასრულა.

საკვანძო სიტყვები:

სასწავლო პროგრამები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, ტიპოლოგიური განსხვავებები, მორფოლოგიური სტრუქტურა.

ტექსტის ტიპები ტექნიკურ დოკუმენტაციაში და ინტერკულტურული ბარიერები

რუსუდან თაბუკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას 77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

რეზიუმე

ტექნიკურ პროდუქციაში არსებული ტექსტის ტიპების დადგენის პრობლემა ტექნიკური დოკუმენტაციის ცნების განსაზღვრას უკავშირდება. ტექნიკური დოკუმენტაცია ყველა იმ სტრუქტურირებული ინფორმაციის კრებითი სახელწოდებაა, რომელიც შედგენილია ტექნიკური პროდუქტისა და მისი გამოყენების შესახებ.

ტექნიკურ დოკუმენტაციაში მოიაზრება ტექსტის ტიპები დიფერენცირებული შინაარსითა და ფუნქციებით მეტ-ნაკლებად ჰეტეროგენული მიზნობრივი ჯგუფებისათვის. ენობრივი და არაენობრივი ქმედების პრობლემურ ველში გამოირჩევა მრავალი მაკროსტრუქტურა, განპირობებული შემდეგი საკომუნიკაციო ქმედებებით: ობიექტურობა, ადრესატებზე ორიენტირება, პროდუქტის ფუნქციონირების სტადიები (დამუშავების საცდელი ფაზა, ევოლუციის, ექსპლუატაციის და კლიენტების მომსახურების ფაზა), საწარმოო იმიჯი, გლობალიზაცია, რეკლამა, რენტაბელურობა და სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

თანამედროვე გლობალიზებულ ეპოქაში ტექნიკური ტექსტის ამოცანაა, ერთი მხრივ, დაძლიოს საკომუნიკაციო ბარიერები ექსპერტებსა და დილენტებს შორის, ხოლო მეორე მხრივ - აღმოაჩინოს კულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე ბარიერები და შესაბამისი მასალით ხელი შეუწყოს მათ გადალახვას.

საკვანძო სიტყვები:

ტექსტის ტიპები, ტექნიკური დოკუმენტაცია, საკომუნიკაციო ქმედებები, მიზნობრივი ჯგუფი, კონტროლირებადი ენები, ინტერკულტურული ბარიერები.

შესავალი

სპეციალურ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ შიდასაწარმოო დოკუმენტაციას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი საწარმოს ფარგლებში გამოყენებაზეა გათვლილი (მაგ. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ტექნიკური უფლება-მოვალეობების ამსახველი ჟურნალი) და არასაწარმოო დოკუმენტაციას, რომელიც გათვლილია პროდუქტის რეალიზაციასა (მაგ. ბროშურები, კატალოგები) ან მომხმარებლებზე, რომლებიც სამართლებრივი მიწოდების ობიექტებს წარმოადგენენ (1). ტექსტის ტიპების დასახელებებშიც ნათლად აისახება ობიექტებისა და ადრესატების კონკურენტული რელაციური კავშირი ტექნიკურ დოკუმენტაციასთან.

ძირითადი ნაწილი

ლინგვისტიკის გადმოსახედიდან ტექნიკურ დოკუმენტაციაში მოიაზრება ტექსტის ტიპები ძალზე დიფერენცირებული შინაარსითა და ფუნქციებით მეტ-ნაკლებად ჰეტეროგენული მიზნობრივი ჯგუფებისათვის.

მცდელობა, რომ ცალკეული ტექსტის ტიპები გაერთიანებულიყო ტექნიკური დოკუმენტაციის სახელწოდების ქვეშ, რომ ისინი მიგვეკუთვნებინა დარგობრივი ტექსტის სხვადასხვა სახეობებისათვის, განხორციელდა სუზანე გიოპფერიხის (2) მიერ წარ-

მოდგენილი ტექსტის ტიპოლოგიის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც განარჩევენ ტექსტის შემდეგ სახეობებს:

- იურიდიულ-ნორმატიული ტექსტები (მაგ. ნორმები, ტექნიკური პირობების სპეციფიკაცია);

- პროგრესზე ორიენტირებული აქტუალიზირებადი ტექსტები ქვეჯგუფით ფაქტებზე ორიენტირებული (მაგ. ექსპერიმენტების პროტოკოლი) და პუბლიცისტური (მაგ. დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალის სტატია);

- დიდაქტიკურ-ინსტრუქციული ტექსტები, რომლის ქვეჯგუფშიც ერთიანდება ტექსტები, რომლებიც გვაწვდიან თეორიულ ცოდნას (ცალმხრივი), მემოტექნიკურ-ორგანიზებული (მაგ. სასწავლო მასალები) და ადამიანსა და ტექნიკას შორის ინტერაქციაზე ორიენტირებული, შესაბამისად ორმხრივი ტექსტები (მაგ. სამომხმარებლო ინსტრუქცია, პროგრამული უზრუნველყოფის სახელმძღვანელო);

- სამეცნიერო-შემეცნებითი ტექსტები ქვეჯგუფით: ენციკლოპედიური (ცნობარები) და ფრაგმენტული (მასალების ზედღებული, კატალოგები) ტექსტები.

ძნელი ამოსაცნობი არ არის, რომ ტექნიკური დოკუმენტაციის ტექსტის ტიპები ფუნქციონალური თვალსაზრისით ტექსტის სახეობების ამ ძირითად ოთხ კატეგორიათაგან ერთ-ერთს განეკუთვნება, თუმცა მათგან უმეტესობას დიდაქტიკურ-ინსტრუქციული ან ადამიანსა და ტექნიკას შორის ინტერაქციაზე ორიენტირებული ხასიათი აქვს.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ინტერნეტიზაციის ფენომენმა განაპირობა ის, რომ ტექნიკური დოკუმენტაციის რიგებში ადგილი დაიმკვიდრა ონლაინ-დოკუმენტაციამ და ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებად ტექსტის ტიპად იქცა. ამავდროულად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ბეჭდვითი ტექსტების პროდუცირება სხვა პრინციპებს ექვემდებარება, ვიდრე ჰიპერტექსტების შექმნა, ასე მაგალითად,

მთელი რიგი საინტერესო თავისებურებები აღინიშნება ტექსტის კომპონენტებს შორის გრამატიკულ, ლოგიკურ-სემანტიკურ და პრაგმატულ კავშირებთან მიმართებაში. შინაარსისა და კონტექსტის გამომხატველი კონცეფციური ქსელი ორივე ტიპის ტექსტებში შეინიშნება, განსხვავება მხოლოდ მათ ზედაპირზე კომპონენტებს შორის შეკავშირებულობაში ვლინდება, ანუ კოჰეზიური კავშირის დამყარებისას. ორივე ტექსტის სახეობის შემთხვევაში შეკავშირება ხდება დარგობრივი ტერმინებისა და ცნებების გამოყენებით, მათი ფართო და ვიწრო გაგებით (ჰიპერონიმები და ჰიპონიმები), სინონიმებითა და ნაცვალსახელების მეშვეობით. ჰიპერტექსტების ინფორმაციული ბლოკებისათვის, მაგალითად, ეკრანის ფორმატიდან გამომდინარე პარამეტრები განსხვავებულად განისაზღვრება, ვიდრე ბეჭდვითი ტექსტებისათვის. გარდა ამისა, სპეციფიკურია შეკავშირების პრინციპი, რომელიც ჰიპერბმულების (Links) დახმარებით ხორციელდება. აქედან გამომდინარე რეკომენდირებულია, სარჩევის მსგავსი სტრუქტურული სქემის გამოყენება ონლაინ-ტექსტებშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპლექსური დოკუმენტის ფარგლებში მომცრო საინფორმაციო ბლოკების ჩართვამ შესაძლოა გაართულოს სტრუქტურის გაგება და ორიენტირება ვებ-საიტზე. ეს ერთ-ერთი ის შემთხვევაა, როცა ტექსტის კომპონენტების შეკავშირების არავერბალური შესაძლებლობები მნიშვნელობას იძენს. ჰიპერტექსტის სპეციფიკა მდგომარეობს არა მხოლოდ მის გლობალურ შეკავშირებაში (ტექსტის მთლიანი სტრუქტურის თანმიმდევრულობა), არამედ ასევე ლოკალურ შეკავშირებულობაში (გადასვლები წინადადებებსა და წინადადებების სეგმენტებს შორის). ვაიდენმანი (3) აღწერს, თუ რაოდენ საინტერესოა აქტუალური დისკუსია ონლაინ-სივრცეში კომუნიკაციის შესახებ, სადაც შეკავშირებულობაზე მეტად მონაცემებთან სწრაფ წვდომას

ენიჭება უპირატესობა. ეს უკანასკნელი კი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებს მეტად მიმზიდველს ხდის. ტექსტის ზემოაღნიშნული ორი ტიპი – ბეჭდვითი ტექსტი და ჰიპერტექსტი ტექნიკური დოკუმენტაციის სფეროში კიდევ ერთ სემენტში – ტექსტის გაგების ჭრილში უნდა განვიხილოთ. ტექსტის გაგება, ერთი მხრივ, ტექსტს უკავშირდება, მეორე მხრივ – რეციპიენტს. მაშასადამე, გასათვალისწინებელია შიდა და გარეტექსტობრივი ფაქტორები. თავად ტექსტს რაც შეეხება, ეს არის ერთმანეთთან დაკავშირებული ინფორმაციების სტრუქტურირებული წყება, რომელსაც გარკვეული კომუნიკაციური ფუნქცია გააჩნია. ტექსტის ენობრივი რეპრეზენტაცია კი ინფორმაციების მხოლოდ ეტაპობრივი, თანმიმდევრული მიღებისა და დამუშავების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტი კი ინფორმაციებისა და მათი შესაბამისი ტექსტის ბლოკების იერარქიულ შეკავშირებულობას ეწინააღმდეგება. ბეჭდვითი ტექსტის შემთხვევაში რეციპიენტი ხშირ შემთხვევაში იძულებულია, მისდოს რედაქტორის მიერ ტექსტისათვის შერჩეულ კოპეზიას. გამოწვევის წარმოადგენს ბეჭდვითი სამომხმარებლო ინსტრუქცია, რომელსაც ადრესატები მხოლოდ სელექციურად კითხულობენ. იგივე ტექსტის ტიპი – სამომხმარებლო ინსტრუქცია – როგორც ჰიპერტექსტი კი, ინფორმაციული ბმულების გამოყენების შედეგად მეტად გამჭვირვალედ და თვალსაჩინოდ გადმოსცემს ინფორმაციის ნაკადს. ნებისმიერი ტიპის ტექსტის პროდუცირებისას ყველაზე მთავარი ის არის, რომ ენობრივ ქმედებებში ცალკეული ინფორმაციული ბლოკების ფუნქციების გადმოცემა ადეკვატური ენობრივი ელემენტებით მოხდეს.

ტექნიკურ დოკუმენტაციაში არსებულ სტანდარტულ და ხშირად გამოყენებად ტექსტის ტიპებთან ერთად ითვალისწინებენ ასევე იმასაც, თუ ვისთვის, რომელი სოციალური წრეებისთვისაა, რომელი მიზნობ-

რივი ჯგუფისთვისაა გათვლილი ესა თუ ის ტექსტი.

ტექნიკური დოკუმენტაციის რედაქტორს ევალება არა მხოლოდ ის, რომ დაძლიოს საკომუნიკაციო ბარიერები ექსპერტებსა და დილენტებს შორის, არამედ მან თანამედროვე გლობალიზებულ ეპოქაში უნდა აღმოაჩინოს კულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე ბარიერები და შესაბამისი მასალით ხელი შეუწყოს მათ გადალახვას. ტექნიკური პროდუქცია თანდათან სულ უფრო მეტად იწარმოება განსხვავებულ სფეროებში და შესაბამისად სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს უწევთ ამ პროდუქციის შესახებ ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა. იმისათვის, რომ მოხდეს ხელსაწყოებისა თუ დანადგარების ეფექტური, სწრაფი და ფუნქციონალურად, უსაფრთხოდ გამოყენება, მის შესახებ არსებული დოკუმენტაცია უნდა ითვალისწინებდეს კულტურულ სპეციფიკას და ხარისხის. ამ სტანდარტის მისაღწევად არ კმარა თარგმანი, მხოლოდ როგორც ენობრივი ტრანსფერი. ამ პრობლემის მოგვარების ორი სტრატეგია, წარმოდგენილი სუზანე გიოპფერიხის მიერ, მდგომარეობს ინტერნეტიზაციასა და ლოკალიზაციაში.

ინტერნაციონალიზაციის შემთხვევაში გასაღების ბაზართან დოკუმენტაციის ადაპტაცია ნაკლებად ხდება. ამ შემთხვევაში დოკუმენტაცია განაწილებულია ენისა და კულტურისაგან დამოუკიდებელ ბირთვად და ენობრივ-კულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე ცვლადებად. აღნიშნული ინტერნაციონალიზაციის პროცესის მთავარი ინსტრუმენტებია არავერბალური ინფორმაციის მატარებლები და ე.წ. კონტროლირებადი ენები. არავერბალური მონაცემების გამოყენებისას, როგორებიცაა სურათები, განსაკუთრებით ლოგიკურ-ანალიტიკური სურათები, პიქტოგრამები თუ მსგავსი სიმბოლოები, სიფრთხილის გამომჩნეა საჭირო, რადგან ხშირ შემთხვევაში მათი გამოყენება იწვევს გაუგებრობებს. კონტროლი-

რებადი ენების შემთხვევაში კი (მაგალითად, გამარტივებული/ადაპტირებული ინგლისური, კონტროლირებადი გერმანული) საქმე ეხება ბუნებრივი ენების ქვეჯგუფს, რომელიც შეზღუდულ ლექსიკურ მარაგსა და შედარებით ნაკლები რაოდენობის გრამატიკულ წესებს მოიცავს. აქედან გამომდინარე კონტროლირებად ენაზე შექმნილი დოკუმენტაცია შეიძლება ადვილად ითარგმნოს მექანიკურად.

ლოკალიზაცია კი ერთგვარად ინტერნაციონალიზაციის საპირისპირო ფენომენს წარმოადგენს და მასში მოვიაზრებთ დოკუმენტაციის ადაპტაციას შესაბამისი გასაღების ბაზრის მოცემულობებთან. ეს პროცესი შესაძლოა განხორციელდეს როგორც ზედაპირული და სიღრმისეული ლოკალიზაცია. პირველი მათგანი, ზედაპირული ლოკალიზაცია მდგომარეობს (საზომი) ერთეულების, თარიღებისა და ზოგადად ტემპორალური მონაცემების ენობრივ ტრანსფერსა და ადაპტირებაში. სიღრმისეული ლოკალიზაცია გაცილებით კომპლექსური სფეროა, ვინაიდან იგი ითვალისწინებს აზროვნებისა და ქმედების სტილს, ასე მაგალითად, გაითვალისწინოს გერმანელებისა თუ ამერიკელების ცხოვრების სტილისაგან განსხვავებული ჩინელების მოთხოვნილებები, ასევე პროდუქტის შესახებ მაქსიმალური ფონური ინფორმაციაა გადმოსცეს უცხო კულტურის წარმომადგენლებისათვის. მხოლოდ ამგვარად იქნება შესაძლებელი გერმანიასა და აშშ-ში შექმნილი ორიგინალი ტექსტების კორექტული რეცეფცია ჩინეთში თუ სხვა კულტურის ქვეყანაში.

დასკვნა

შეგვიძლია დავსძინოთ, რომ ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა არა მხოლოდ

ოლოდ ენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, არამედ ტექნიკური დოკუმენტაციის გავრცელების სფეროების, გასაღების ბაზრისა და სხვადასხვა ქვეყნების კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს, რაც მეტად სერიოზულ მიდგომას, ხანგრძლივ მუშაობას და შესაბამისი კადრების, მაგ. ტექნიკური რედაქტორების მომზადებას მოითხოვს. შესაბამისი დარგობრივი სპეციალისტები და ტექნიკური დოკუმენტაციის ავტორები კი შემდგომში ერთობლივად შეაფასებენ ტექნიკური დოკუმენტაციის ზემოთ განხილული პრობლემატურ ასპექტებს და მათი გათვალისწინებით შეიძლება მიზნობრივ ჯგუფებზე ადაპტირებული დოკუმენტაციის შექმნას.

ლიტერატურა

1. Hennig J., Tjarks-Sobhani M. (1998): Wörterbuch zur technischen Kommunikation und Dokumentation. Lübeck
2. Göpferich S. (1995): *Textsorten in Naturwissenschaften und Technik. Pragmatische Typologie – Kontrastierung – Translation.* (Forum für Fachsprachen-Forschung, Bd. 27). Tübingen
3. Weidenmann B. (1999): „Psychologie des Nichtverstehens.“ In: Hennig J.; Tjarks-Sobhani M. (Hrsg.): *Verständlichkeit und Nutzungsfreundlichkeit von technischer Dokumentation.* (tekomp Schriften zur technischen Kommunikation, Bd. 1). Lübeck: 34-49
4. GRUPP J. (2008): *Handbuch Technische Dokumentation. Produktinformationen rechtskonform aufbereiten, wirtschaftlich erstellen, verständlich kommunizieren.* München: Carl Hanser Verlag
5. Rothkegel A. (1999): *Verständlichkeit in Text und Hypertext.* In: Hennig, Jörg; Tjarks-Sobhani, Marita (Hrsg.): *Verständlichkeit und Nut-*

zungsfreundlichkeit von technischer Dokumentation. (tekomp Schriften zur technischen Dokumentation, Bd. 1). Lübeck: 114-125

6. Satzger A. (2002): In: Germanistisches Jahrbuch der GUS „Das Wort“ 2002, S. 197-215.

Типы текста в технической документации и интеркультурные барьеры

Табукашвили Русудан Михайловна
Грузинский технический университет
Департамент либеральных наук
ул.Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 512 484
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Резюме

Проблема установления типов текста связана с определением технической документации. Техническая документация – это общее название той структурированной информации, которая составлена по поводу технических продуктов и их использования.

Под технической документацией подразумеваются типы текста с дифференцированным содержанием и функциями для гетерогенных целевых групп. В проблемном поле языкового и неязыкового деяния выделяется множество макроструктур, которые обусловлены коммуникативными деяниями: объективностью, ориентированием на адресата, стадиями функционирования продуктов (фаза переработки, фаза эволюции, эксплуатации и услуги клиентов), предпринимательским имиджем, глобализацией, рекламой, рентабельностью и правовой ответственностью.

В современном мире глобализации задачей технического текста является, с одной стороны, осилить коммуникативные барьеры между экспертами и дилетантами, а с другой стороны – выявить барьеры, исходящие из культурной специфики и преодолеть их путем соответствующего материала.

Ключевые слова:

типы текста, техническая документация, коммуникативные действия, целевая группа, контролируемые языки, интеркультурный барьер.

Technical Documentations Text Type and Intercultural Barriers

Rusudan Tabukashvili
Georgian Technical University
Department of Liberal Sciences
77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia
Тел.: 593 512 484
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Abstract

The problem of the establishment types of text is connected with the determination of technical documentation. The technical documentation - this general name of all those structured information, which are composed about the technical products and their use.

In the technical documentation use those types of text with the differentiated content and functions for the heterogeneous task of groups. In the problematic field of lingual and non-lingual act are separated a lot of macrostructures, which is caused by the com-

municative acts: by objectivity, by orientation on addressee, by the stages of the functioning of its products (processing phase, the phase of evolution, operation and serve a customer), owner's image, globalization, advertisement, profitability and lawful responsibility.

Globalization task of technical text in the modern world is, from one side, to overpower the commu-

nunicative barriers between the experts and dilettante, and from other side - to reveal the barriers, which emanate from the cultural specific character and to overcome with the corresponding material help.

Keywords:

the types of text, technical documentation, communicative actions, task force, controlled languages, intercultural barrier.

სამეცნიერო - ტექნიკური ტექსტის თარგმანის ძირითადი სირთულეები

ია ჩიქვინიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას 77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ: 551 453 531

E-mail: chikvinidze@gmail.com

რეზიუმე

ტექნიკური თარგმანი ტექსტის ტრანსფორმაციაა ერთი ენიდან მეორეზე, მაგრამ ყოველი სიტყვა უცხო ენიდან ძნელად ითარგმნება კონტექსტის გარეშე. ორივე ენის მცოდნე და დარგის სპეციალისტი-ითარგმნელი ძნელად მოიძებნება და ამდენად, ბევრი მათგანი სწრაფი თარგმანისთვის იყენებს ლექსიკონს, თუმცა ხშირად ეს არის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი და მას აკლია ის თავისებურებები, რომლებიც ტექნიკურ ენას ახასიათებს.

ტექნიკური თარგმანისას პირველი თარგმანი შეიძლება შესრულდეს ტექნიკოსი-ითარგმნელის მიერ, რომელიც ზედმიწევნით იცნობს დასახელებულ ტექნიკურ სფეროს, შემდეგ კი - ლინგვისტი-ითარგმნელი უნდა ასწორებდეს ტექსტის ლიტერატურულ მხარეს. ხშირად დამკვეთის სურვილით ტექნიკური თარგმანი შეიძლება შესრულდეს რეფერატის ან ანოტაციის სახით.

საკვანძო სიტყვები:

ტექნიკური ტერმინოლოგია, ტექნიკური თარგმანი, ადრესატი, ტექნიკური დოკუმენტაცია.

შესავალი

სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანი მთარგმნელობითი საქმიანობის

ის სფეროა, რომელშიც პროფესიონალურად მაღალ დონეზე მოწოდებული მასალა შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების საშუალებით, რომლებმაც კარგად იციან საგნობრივი სფერო და მისი სპეციფიური ტერმინოლოგია, საკმაოდ კარგად ფლობენ უცხოურ ენას და, რაც ყველაზე მთავარია, ნათლად გამოხატავენ თავიანთ აზრებს სათარგმნენაზე და არ არღვევენ ორიგინალის სტილსა თუ არსს. ერთი სფეროს სპეციალური ტერმინოლოგიის ცოდნის გადატანა მეორე ენაზე თანამედროვე ტექნიკური პროგრესის მთავარი პოსტულატია. ამის გამო ტექნიკური ლიტერატურის თარგმანისას (ტელეკომუნიკაციის, რადიოელექტრონიკის, მიკროელექტრონიკის, გამოთვლითი ტექნიკის, ეკონომიკის და ფინანსების, რეკლამის და მარკეტინგის ინფორმაციების მიწოდებისას) ყოველთვის აუცილებელია ერთდროულად დარგობრივი და განმარტებითი ლექსიკონების გამოყენება.

ძირითადი ნაწილი

სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანი ის ინსტრუმენტი, რომელიც სხვადასხვა სოციუმის ადამიანებს ხელს უწყობს გაცვალონ ერთმანეთში სამეცნიერო-ტექნიკური და ვიწრო სპეციალიზირებული ინფორმაცია. ტექნიკური ტექსტის სახეობებია დოკუმენტები, ლექსიკონები, საცნობარო ლიტერატურა, ინსტრუქციები, კონტრაქტები. ტექნიკური ტექსტის თარგმანს დიდი სირთულეები ახლავს, რომლებიც მოითხოვენ რამდენიმე პირობის დაკმაყოფილებას. ეს არის:

1. მაქსიმალური სიზუსტე;

2. ტერმინებში და ცნებებში შეცდომის დაუშვებლობა;

3. ტექნიკური ტექსტის გაფორმება შესაბამისი სტანდარტებით;

4. სამეცნიერო-საქმიანი სამეტყველო სტილის გამოყენება;

5. ტექნიკური ტექსტის თარგმანის აგება ლოგიკურად, ცხადად და ზუსტად.

სამეცნიერო-ტექნიკური სტილის მთავარი მახასიათებლებია გადმოცემის სიცხადე, კარგად გამართული წინადადებები, ფორმის ლაკონურობა. თარგმანის შესრულებისას მთარგმნელმა ზუსტად უნდა გადმოსცეს ავტორის აზრი, მოარგოს მას საჭირო სტილი, რომელიც სათარგმნ ენაზე მისაღები იქნება დაინტერესებულ პირთათვის. ხშირად გვხვდება უხარისხო თარგმანები და ეს ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც დამკვეთი ცდილობს უმოკლეს ვადაში მიიღოს თარგმანი, მთარგმნელი კი იძულებულია ხარისხი გადაიყვანოს რაოდენობაში.

როდესაც მომხმარებელი ყიდულობს რაიმე პროგრამულ ან ტექნიკურ პროდუქტს, იგი ყოველთვის მოითხოვს ტექნიკური დოკუმენტაციის პაკეტს, რის საშუალებითაც გაუადვილდება შექმნილი საგნის მოხმარება. ძალზე რთულია, როცა შეკვეთილი დანადგარის მოწყობილობის მიღებისას მას არ ახლავს საჭირო დოკუმენტაცია. ტექნიკური დოკუმენტაცია არის დოკუმენტების კრებული, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ტექნიკური საგნების ან ობიექტების პროექტირების, კონსტრუირების, დამზადებისა და ექსპლუატაციის შემთხვევებში.

მთარგმნელის მიერ ტექნიკური ტექსტის თარგმანი, რომელსაც არავითარი მხატვრული გაფორმება არ სჭირდება, თითქოს შედარებით უფრო ადვილია. მან სწორად უნდა გადმოსცეს ავტორის აზრი და შეძლებისდაგვარად შეინარჩუნოს მისი სტილის თავისებურებანი. თუმცა იმისათვის, რომ სწორად გაიგოს სათარგმნი ტექსტი,

მთარგმნელს აუცილებლად კარგად უნდა ესმოდეს მოცემული ინფორმაცია (ტექსტში აღწერილი საგანი) და ამ სფეროსთან დაკავშირებული უცხოენოვანი ტერმინოლოგია.

თარგმანისას მთავარია არა მხოლოდ ძირითადი იდეის და აზრის გადმოცემა, არამედ მისი ცხადად ჩვენება და ისეთი შეცდომების თავიდან აცილება, რომლებიც ტექნიკური ინსტრუქციების არასწორად თარგმანისას ხშირად კონტრაქტის დარღვევას და მთელი წარმოების შეჩერებას იწვევს.

ტექნიკური მთარგმნელისადმი ძალიან დიდი მოთხოვნებია წაყენებული. პირველ რიგში ასეთი თარგმანისთვის საჭიროა ტექნიკური სპეციალისტი, აღჭურვილი ენის ზედმიწევნითი ცოდნით და, მეორე მხრივ, აუცილებელია ლინგვისტი თემატიკის ღრმა ცოდნით. ორივე შემთხვევაში მთარგმნელი კარგად უნდა იცნობდეს ორივე ენას, ერკვეოდეს ტერმინებსა და ცნებებში ორივე ენაზე, შეეძლოს მოიძიოს და გამოიყენოს ინფორმაციის დასამუშავებელი წყაროები.

რაც უნდა მაღალი კლასის სპეციალისტი იყოს მთარგმნელი, ტექნიკური ტექსტების თარგმანისას ყოველთვის წამოიჭრება პრობლემები:

1. როდესაც თარგმანს ასრულებს მხოლოდ მოქმედი ინჟინერი. ის ეკუთვნის ტექნიკურ სპეციალისტთა ჯგუფს და შესანიშნავად ერკვევა თემატიკაში, თუმცა ასეთ ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია ადეკვატური თარგმანის შესრულება. მართალია, ყველა ფაქტი და ცნება დარჩება თარგმანში, მაგრამ ტექსტის სიცხადე და ლოგიკურობა შეიძლება დაიკარგოს. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია ტექსტის საბოლოო ვარიანტის გადამოწმებით ლინგვისტის მიერ.

2. როდესაც თარგმანს ასრულებს მხოლოდ ლინგვისტი, ან ენის სპეციალისტთა ჯგუფი. ისინი, მართალია, ადგენენ ძალზე კარგ ტექსტებს, მაგრამ რაც ფაქტებს და ტერმინებს შეეხება, ყოველივე აუცილებ

ბლად უნდა გადამოწმდეს. სწორედ ეს უნდა შეასრულოს მოცემული სფეროს ინჟინერმა ან სპეციალისტმა.

ყველა უცხოენოვანი ტექსტის მთარგმნელს დიდი სირთულეები ხვდება. კვალიფიციური მთარგმნელისთვის უმთავრესი ამოცანაა შეიგრძნოს სტატიის, წიგნის, ნაშრომის, ინსტრუქციის სტილი, გადმოგვცეს ყველა ნიუანსი ისე, რომ არ დაამახინჯოს პირველწყარო. ყველა ვიწრო სპეციალიზირებული მასალა, რომელიც შეიცავს სამეცნიერო - ტექნიკურ ტერმინოლოგიას, იქნება ეს სამეცნიერო მოხსენებები თუ ტექნიკური ნაშრომები, ან სრული კომპლექტი ტექნიკური დოკუმენტაციისა, ტექსტების მთარგმნელთა პრეროგატივაა, რომელთა უმთავრესი ამოცანაა ინფორმაციის სრული მიწოდება ადრესატისათვის. თარგმანი უნდა იყოს ლოგიკურად გააზრებული, დოკუმენტის სტილი - შენარჩუნებული და ტერმინოლოგიის სპეციფიკა - გათვალისწინებული.

თარგმანის სიზუსტე ძალიან დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მთარგმნელს, ვინაიდან ყოველთვის არის მითითებული მკაცრი შეზღუდვები, რომელთა დაუცველობას საწარმოში ხშირად მიეყავართ ტრავმებამდე, ან ზოგჯერ მეტად სავალალო შედეგებამდე. შესაძლოა შეჩერდეს უზარმაზარი საწარმო, თუ სათარგმნი მასალა არასწორადაა გადმოტანილი და მთარგმნელი ვერ გაერკვა ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკაში. ტექნიკურმა ტერმინოლოგიამ შეიძლება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს ინჟინერი, რომელმაც სხვადასხვა ტექნიკურ სფეროში ერთი და იმავე სიტყვის სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობა გამოიყენა. კიდევ ერთი, არც თუ უმნიშვნელო პრობლემაა: ტექსტებში აბრევიატურის და შემოკლებების სიმრავლე, რომელიც ზოგჯერ ტექნიკური დარგის სპეციალისტებისთვისაც კი არ არის გასაგები. ზოგიერთ დარგებში, მაგალითად, გემთმშენებლობაში, მანქანათმშენებლობაში, ავიამშენებლობაში არსე-

ბობს ისეთი საერთაშორისო შემოკლებები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდება. ისინი აუცილებლად მოითხოვენ ზუსტ თარგმანს. ვინაიდან მთარგმნელს მათი გაშიფვრა უხდება, იგი წინასწარ კარგად უნდა გაერკვეს საგნის დანიშნულებასა და მუშაობის პრინციპებში.

დასკვნა

ტექნიკური თარგმანის ძირითადი თავისებურება იმაში ვლინდება, რომ მთარგმნელმა არა მხოლოდ უნდა იცოდეს კონკრეტული ტექნიკური სფეროს ყველა ტერმინი და ესმოდეს ნაშრომის არსი, არამედ უნდა ითვალისწინებდეს ყველა ნიუანსს, რასაც შეიცავს ტექსტი. ამიტომ მთარგმნელი უნდა იყოს მაღალკვალიფიციური, მრავალმხრივი სპეციალისტი. ყველა სამეცნიერო-ტექნიკურ დოკუმენტს ახასიათებს მთავარი ნიშან-თვისებები: ეს არის გადმოცემის ზუსტი და ლაკონური ხასიათი, ტექნიკური ტერმინოლოგიის მკაცრი შენარჩუნება, ინფორმაციის ცხადი, ლოგიკური თანამიმდევრობა, ფაქტების განმარტების ერთმნიშვნელოვანება და კონკრეტულობა.

ლიტერატურა

1. Марчук Ю. Н. (1987): Научно-технический перевод. Изд. «Наука», Москва
2. რ. თაბუკაშვილი (2004): ტექსტის რეფერირება და ანოტირება. თბილისი
3. რ. თაბუკაშვილი (2011): სამეცნიერო ინფორმაციის კომპრესიის სტრატეგიები. თბილისი

Основные сложности перевода научно-технического текста

Чиквинидзе Ия Гиглаевна

Грузинский технический университет

Департамент либеральных наук

ул.Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 551 453 531

E-mail: chikvinidze@gmail.com

Резюме

Считают, что научно-технический перевод – это трансформация текста с одного языка на другой, но реально каждое слово без контекста труднопереводимо с иностранного языка. Сложно найти специалиста, знающего отрасль и одновременно несколько языков, поэтому множество специалистов отрасли для срочного перевода употребляют словари, которые часто дают дословные значения и отсутствуют те своеобразия, что присущи техническому переводу.

Во время технического перевода первый перевод должен быть исполнен техником-переводчиком, который прекрасно разбирается в отрасли, а позже – лингвистом-переводчиком (со знанием отрасли), который исправляет лингво-литературную сторону текста.

Ключевые слова:

техническая терминология, технический перевод, адресат, техническая документация.

Main difficulties of scientific- technical text translation

Ia Chikvinidze

Georgian Technical University

Department of Liberal Sciences

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 551 453 531

E-mail: chikvinidze@gmail.com

Abstract

They consider that scientific and technical text translation is its transformation from one language to another, but actually it is difficult to translate each word from the foreign language without any context. It is complicated to find specialist who knows branch and some languages at the same time, therefore many branch specialists use dictionaries for the urgent translation, gives metaphrases and there is no those originality, which inhere to technical translation.

During the technical translation the first one should be completed by the technician- translator, who examines this branch very well, and later by the linguist-translator (with the branch knowledge), who corrects the lingvo-literary text.

Keywords:

technical terminology, technical transfer, addressee, technical documentation.

სოციალური მეცნიერებები

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და საერთაშორისო პოლიტიკური პოზიცია

კონსტანტინე იონათამიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სახოგადოებრივ მეცნიერებათა
დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ. 577 502 939
E-mail: k.ionatamishvili@sakrebulo.ge

რეზიუმე

სტატიაში განხილულია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები. გაანალიზებულია აგვისტოს ომის გავლენა გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე და გამოვლენილია საერთაშორისო პოლიტიკური ხედვა რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით. სტატია აფიქსირებს ორივე მხარის პოზიციას. ერთ-ერთ მთავარ საკითხად განხილულია ის ფაქტი, რომ რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებამ მიიღო პოლიტიკური და დიპლომატიური ხასიათი, რომელიც აისახა საერთაშორისო პოლიტიკურ სფეროში.

საკვანძო სიტყვები:

გეოპოლიტიკური ფაქტორი, საერთაშორისო პოლიტიკური ხედვა, აგრესია, კონფლიქტი, საერთაშორისო არენა, ინტეგრაცია.

შესავალი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შედეგად ძალზე რთული ვითარება შეიქმნა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა გასცდა ამ ორი ქვეყნის პრობლემას, რადგან რუსეთში გაჩნდა ნაწილობრივი დაუსჯელობის განცდა და არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ ის, რაც საქართველოში მოხდა, სხვაგანაც არ გან-

მეორდეს. მოსკოვმა ამით დააშინა სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და ე.წ ყოფილი საბჭოთა ბანაკის ქვეყნებიც კი, რომლებიც რუსეთის მხრიდან მათი შეზღუდვის მცდელობებზე ღიზიანდებოდნენ.

ძირითადი ნაწილი

აგვისტოს ომმა გავლენა იქონია ისეთ გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე, რომლებსაც მთელი მსოფლიოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. ცხადია, რომ მსოფლიო მნიშვნელოვანი ცვლილებების წინაშე დადგა. დიდია დრამატული მოვლენები საქართველოშიც: ესაა დაღუპული ადამიანები, განადგურებული ინფრასტრუქტურა, დევნილების ახალი ნაკადი, ღრობით, მაგრამ მაინც დაკარგული ტერიტორიები, თუმცა ამ ომის შემდეგ საერთაშორისო არენაზე საქართველოს მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. ნეგატიური მოვლენების ფონზე პროგრესულად შეიძლება ჩაითვალოს ნატო-საქართველოს საბჭოს შექმნა, ევროკავშირთან ურთიერთობების გაფართოება. ევროკავშირმა საქართველოს შესთავაზა ახალი ინიციატივა აღმოსავლური პარტნიორობის სახით, რომელიც ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შექმნის შესაძლებლობას და სავიზო მიმოსვლის გამარტივებას გულისხმობს.

რუსეთის ხელისუფლების ვარაუდით წლების განმავლობაში დასავლეთის სახელმწიფოები მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას უგულვებელყოფდნენ მოსკოვის ინტერესებს, რაც დასტურდება ბელგრადის დაბომბვით, კოსოვოს კონფლიქტში რუსეთის მედიატორობის დაუშვებლობით, ნატოს გაფართოებით და ბოლოს, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებით. ეს ძალიან საშიშ ტენდენციად ჩათვალია რუსეთმა, მით უფრო, რომ დღის წესრიგში საქართველო-

სა და უკრაინის ნატოში მიღების საკითხი დადგა (თუმცა მოგვიანებით უკრაინის სწრაფვა ნატოს მიმართ მნიშვნელოვნად შემცირდა). ეს კი მოსკოვმა რუსეთისათვის კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნია. საქართველოში განხორციელებული აგრესიით მან ნაწილობრივ დაიკმაყოფილა თავისი ამბიციები. მოკლევადიან პერსპექტივაში რუსეთმა წარმატებას მიაღწია და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პროცესი შეაჩერა, რაც იმას ნიშნავს, რომ კავკასია რუსეთმა ნაწილობრივ მაინც, თავისი ინტერესების არეალში დატოვა, რადგან კავკასიის კონტროლი პირდაპირ უკავშირდება სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევრაზიაში რუსეთის გავლენის საკითხს. კავკასიის კონტროლი რუსეთისათვის ნიშნავს როგორც შავ ზღვაზე გასასვლელს, ასევე კასპიისა და ტრანსკასპიური რესურსების კონტროლს, ამასთან, სამხრეთ კავკასიის კონტროლი რუსეთისათვის ჩრდილო კავკასიის გასაღებიცაა. კავკასიაში ნატოს შემოსვლა რუსეთისათვის სწორედ ამიტომაც ასეთი მტკივნეული, რომ, მისი აზრით, ამ შემთხვევაში მოსკოვი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პერსპექტივას ეჭვქვეშ აყენებს (ან კარგავს), რაც ავტომატურად ნიშნავს ევროპის ალტერნატიულ ენერგო-მომარაგების შესაძლებლობებს, რუსეთის ენერგორესურსების მიმართ ევროპელთა ინტერესების შესაბამის გაცეკვებას და რუსეთის გარდაუვალ ღრმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს.

ავგისტოს მოვლენების შემდეგ რუსეთმა კავკასია გადმოლახა და თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში დააყენა ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი, მძიმე ტექნიკა და საზენიტო ქვემეხები. ამ გარემოებამ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხი პრაქტიკულად შეაფერხა. ამას გარდა, რუსეთმა ნავთობსადენიდან 15 მეტრში ჩამოყარა კასეტური ბომბები და დაუფარავად დაემუქრა პროექტს. მან მსოფლიოს დაანახა, რომ შეუძლია გააკეთოს ის, რაც საჭიროდ

მიიჩნია და ამაში ვერავინ შეეწინააღმდეგება. ომის შემდეგ რუსეთისკენ აქტიურად დაიწყო ყურება ძველმა პარტნიორებმა და ერთი შეხედვით, ავგისტოს მოკრძალებული კამპანიის შედეგად რუსეთი აღმაგალ ტალღაზე შედგა.

ავგისტოს მოვლენების შემდეგ აშკარად გამოიკვეთა რუსეთის ორი ძირითადი მიზანი ევროპის მიმართ; ესაა: 1) გააქროს ევროპის ენერგომომარაგების ყოველგვარი ალტერნატივა რუსული მარშრუტების გარდა და 2) შეასუსტოს აშშ-ს გავლენა ევროპაში.

რუსეთი იზოლაციაში ვერ მოექცევა. მას სასიცოცხლოდ სჭირდება ევროპის მდიდარი ბაზარი საკუთარი ნავთობისა და ბუნებრივი აირისათვის, სჭირდება ინვესტიციები, განათლება და ა.შ. მისი მიზანია ევროპას უალტერნატივო ენერგია შესთავაზოს და ისეთი პარტნიორობა ჩამოაყალიბოს, რომელიც რუსეთის ევრაზიულ ჰეგემონიას უეჭველს გახდის. თუმცა რუსეთი, ითვალისწინებს რა სერიოზულ წინააღმდეგობებს ამ გზაზე, თუნდაც აშშ-საგან, ასევე მისდამი მტრულად განწყობილი პოლონეთის, ბალტიისპირეთის, ჩეხეთის, ფინეთის და სხვა ქვეყნებისაგან, ევროკავშირს ერთიან სივრცედ არ აღიქვამს და ერთი მხრივ, ენერგობერკეტების გამოყენებით მუქარას უქმნის ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, მეორე მხრივ, სამხედრო ძალის დემონსტრირებით ცდილობს ამ ქვეყნებს გადაწყვეტილებები ზეწოლის რეჟიმში მიადებინოს. მას სურს, რომ მჭიდრო პარტნიორობა გააფორმოს აშშ-ის ყველაზე სასურველ მოკავშირესთან ევროპაში – გერმანიასთან და ამ გზით აღკვეთოს მისი გავლენის კიდევ უფრო გაძლიერება, დაუპირისპირდეს საფრანგეთის როლის ზრდას, გაყოს ევროპა ორ ნაწილად გერმანია-იტალიის ღერძზე და დაიბრუნოს სასურველი გავლენა როგორც აღმოსავლეთ, ისე ცენტრალურ ევროპაზე.

ავგისტოს ომის შემდეგ რუსეთი ღიად ალაპარაკდა ახალ მსოფლიო წესრიგზე და

პრეზიდენტმა დ. მედვედევმა სუთ პრინცი-
პად ჩამოაყალიბა ახალი დისკურსი:

1. საერთაშორისო სამართალი – რუსე-
თი აღიარებს საერთაშორისო სამართლის
ძირითადი ნორმების პრიმატს;
2. მრავალპოლუსიანი მსოფლიო – ერთ
ან ორ პოლუსიანი მოდელი რუსეთისთვის
მიუღებელია;
3. უარი იზოლაციონიზმზე – რუსეთს არ
სურს დაპირისპირება რომელიმე ქვეყანას-
თან და პარტნიორობის მომხრეა;
4. რუსეთის მოქალაქეების დაცვა – ნების-
მიერ ადგილას;
5. გავლენის სფეროები – რუსეთს აქვს
განსაკუთრებული ინტერესის სფეროე-
ბი, რომელიც ძირითადად მის მოსაზღვრე
სახელმწიფოებზე ვრცელდება, მაგრამ არ
შემოიფარგლება ამით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთი მსოფ-
ლიოს სთავაზობს, რომ ცნობად მიიღოს მისი
დაბრუნება, უარი თქვას კონფრონტაციაზე
და ითანამშრომლოს მასთან. იგი აცხადებს,
რომ მისი ძველი გავლენის სფეროები ისევ
ძალაშია და მოუწოდებს მსოფლიოს, რომ
სწორედ ასეთ რუსეთთან დაამყაროს პარტ-
ნიორობა. ერთადერთი რამ, რაც ამ დის-
კურსს ცივი ომის დროინდელისაგან გა-
ნასხვავებს, ეს ორპოლუსიანი (ნაცვლად
მრავალპოლუსიანისა) მსოფლიო მოდელის
აღიარებაა.

დასკვნა

რუსეთის ეს ქმედებები მთელმა მსოფ-
ლიომ აღიქვა როგორც ღია აგრესია მეზო-
ბელი პატარა სახელმწიფოს მიმართ. ამ
ომმა ყველას დაანახა, რომ არ არსებობს
არანაირი ქართულ-აფხაზური და ქართულ-
ოსური კონფლიქტი, არამედ ერთმანეთს შეე-
ჯახა ევროატლანტიკური ცივილიზაცია და
რუსული შოვინიზმი, რომლის ასპარეზიც
გახდა საქართველო.

ლიტერატურა

1. საქართველოში მომხდარ კონფლიქტ-
თან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი
დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ან-
გარიში
2. ალექსიძე ლ. (2009): საქართველოში
კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების
დამდგენი საერთაშორისო სამართლებრივი
ასპექტები. საერთაშორისო სამართლის ეუ-
რნალი, 2. თბილისი
3. საერთაშორისო ორგანიზაციები აგ-
ვისტოს ომის შესახებ. (2009)
4. EU Council, presentation of the report of the
independent international fact-finding mission of the
conflict in Georgia (2009): Brussels. 13875/09
5. Allison R. (2009): the Russian case for mili-
tary intervention in Georgia: international law norms
and political calculation. European Security
6. Лухтерхандт О. (2008): «Международно-
правовые аспекты грузинской войны»

2008 Russian-Georgian War and International Political Position

Konstantine Ionatamishvili
Georgian Technical University
Department of Public Sciences
77 kostava str., 0175, Tbilisi, Georgia
Tel.: 577 502 939
E-mail: k.ionatamishvili@sakrebulo.ge

Abstract

The article reveals the results of 2008 Russian-
Georgian war. There is also analyzed the affect of
the war on the geopolitical factors and international
political view is discussed regarding the Russian-
Georgian war, also the positions of both sides of war
are revealed in the given article. One of the main

issues discussed in the article concerns the fact, that Russian-Georgian opposition got political and diplomatic features, which overgrew into the international political field.

Keywords:

geopolitical factor, international political view, aggression, conflict, international arena, integration.

**Русско-грузинская война
2008 года и международная
политическая позиция**

*Ионатамишвили Константин Джемалович
Грузинский Технический Университет
Департамент общественных наук
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел: 577 502 939
E-mail: k.ionatamishvili@sakrebulo.ge*

Резюме

В статье рассмотрены результаты русско-грузинской войны 2008 года, проведен анализ влияния августовской войны на геополитические факторы и выявлено международное политическое мнение об этой войне. Статья также рассматривает отношения обеих сторон. Одним из главных вопросов, которые рассмотрены в данной работе, является и то, что русско-грузинская война имела политический и дипломатический характер, и она, в свою очередь переросла в международную политическую проблему.

Ключевые слова:

геополитический фактор, международное политическое мнение, агрессия, конфликт, международная арена, интеграция.

პოეზია პროზა

ყველაფერი ტრიალებს?

(... რადგან იცოდა, რა იყო ადამიანიში)
იოანე 3, 25

გახსოვს ჰეროდე:
„მოგვებს ველოდე!
აქ ხელმწიფება
მხოლოდ მე მინდა,
არ მეფიქრება
მსხვერპლის შეწირვა –
საქმეა წმინდა! “
იმ დამეს წვიმდა?
გადარჩა სიტყვა
სულ ერთი ციციქნა –
ვარსკვლავმა იხსნა
უდაბნოს მიღმა
და შედგა მირქმა –
მზის სხივი იშვა!

P.S. გაგრძელდა სისხლის კვალი –
აღმართს გაუყენეს მგზავრი.

ხეტიალი

დადიოდა კაცი გზებზე:
ხან წყლებზე და ხანაც მთებზე.
ერთხელ მითხრა უცხო სიტყვა
ყვაილების ფერთა მტვერზე:

დამიტოვა ერთი ციციქნა
მოსაფრქვევად, სახსოვრად.
ზოგი თვლიდა მათხოვრად,
ზოგს მიაჩნდა მაცხოვრად.

ჩვენ ძალადობა „ოდიტგან მოგესდევს“ ? (ასეთია ცხოვრება)

ოთხშაბათს ერგო დალატი, ფურთხი;
ცალყბად იცინის ხუთშაბათის ამბორი უტყვი,
სუფრასთან ჩნდება მისთერია,
გულზე ნუგეში მიფენია;

პარასკევს დაცინვა, გვირგვინი ეკლის,
ჭეშმარიტებას სიტყვა არ ეთქმის.

გავლა სირცხვილის ბილიკზე,
პასუხი ქალთა ტირილზე,
საოცარია—
უამია ფიქრის:
ვდარდობ —
გამცემი ნეტავ სად მიდის?

შობის მოსალაცი ჩვენთვის (ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი)

უსიყვარულოდ იარე თუკი,
მოგეჩვენება ტკივილი ფუჭი,
თუნდაც აგროვო ოქრო და ვერცხლი
ყოველდღე მუჭით,
დროს ვერ მოიგებ ვერცერთი წუთით.

ქვეყნიური ჯოჯოხეთის წამება
უსათუოდ სიკვდილამდე გაგყვება,

მერე არ ვიცი, იქნება რა?
აგერ მიწა და აგერაც ცა!

ბველების სიმღერა

„წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო“,
ზღვას შეერევა მდინარე —
თევზები ვერ ჩივიანო.

ცისკენ ბრუნდება ნისლები,
თავს არ მანებებს ფიქრები —
მაწვალებს Momento mori,
იქ ხდები ტოლი და სწორი.

სეტყვა

მოდო! გიამბობ გარდასულ ამბებს,
რატომ კლავს, იცი, კაენი აბელს?

პირველი ვნება რატომღაც გვაბნევს,
ჰო, ვერ დაფარავ მოშურნე თვალებს.

და ასე ვცხოვრობთ ასულნი, ძენი,
„საჭურველად გარემომადგეს მე
ჭეშმარიტებაი შენი“...

რაღაც მინდოდა მეთქვა –
გუშინ მოსულა სეტყვა...

ჩვენში ასეა

ერთი მითხარი, რა ხდება ცაზე?
მღერის ვარსკვლავი
მდუმარების იდუმალ ხმაზე?
არ უნდა ჩამოსვლა ძირს?
ნეტავი ეტრფის ვის...
(აქ) ყველა თავთავი
მიწაზე, სახლზე...
რას იტყვის ნეტავ
ომზე და ქალზე?

პატარას ღიმილი – სასოება,
არის კაცთაშორის სათნოება?(!)

კაბადოკიისკენ (თანამგზავრებს)

- ამ ტბას გადავყავარ ჭკუიდან,
- ღვინოს აქაც სვამდნენ ჭურიდან?
 - დაკარგეთ ფერები?
რა თქვი?
 - მთებმა გამახსენა კასპი.
 - იცანი ტაძარი?
 - სარკმელით?
- ადარ იკურნება საკმევლით,
გუმბათზე არ მოჩანს ჯვარი,
მიმყვება სევდა და ჯავრი.

- ღვთისმშობელს მაინც ყრმა გულთან უზის,
რა უყო ნეტავ მტევანი ყურძნის?

... და ნინო

ახლა ყველამ იცის კაბადოკია,
ცხოვრება თურმე ბეწვის თოკია,
მასზე ეკილა ნორჩი ყვავილი,
ღვთისმშობელმან აჩუქა მანდილი.
ამით დააფრთხო თურმე მაქციები
და დაუწუნეს თამამი საქციელი.
შეუმჩნევია დედოფალ ნანას –
სიყვარული ხომ ყვავილებს ქარგავს.
გადაურგია სალომე უჯარმელს,
მანამდე ალბათ დედოფალს უდარდელს.
აქვე აყვავდა პეროუავრია –
ჰო, ჯავახეთი ჩემი ჯავრია.

P.S. მართლა ყვარებია სიდონიას!
ალბათ არ იცნობდა ირონიას.

იუნკრული

ძველი ფოლიანტებით
ცხრება კორიანტელი?
ყველგან მოჩანს ყაყაჩო,
სევდამ ლამის დამახრჩო:
გარდასული ქარები,
ამოთხრილი სევდა,
ნადვლიანი კაცები,
წვალობს ქართლის დედა!

ძველი ფურცელი (კატორღა)

რა მენატრება?
ფიჭვის სურნელი,
ალბათ აყვავდა
ტყეში კუნელი.
უცხო ტრამალები, რეპრესია,
თურმე სიყვარული რეგრესია
და წუხს შეფეთქილი ეკლესია.

სუნი აწუხებს ნამდვილად კირის,
ვაზი ხომ მართლა ჩუმ-ჩუმად ტირის.

ზღაპარი სამშობლოზე

(ჭირი შორს და ღხინი ახლოს,
ფქვილს მომცემ თუ მხოლოდ ქატოს?)

ჰო, მეორდება თურმე ზღაპარი
და როცა მოვა ისევ ზამთარი,
კვლავ გაგინდება ვნება, მიზანი,
მაგრამ წუხხარ, რომ ვერ შემიცანი.

(შორიდან მიმზერს ავი სიცივე,
შენთვის, რამდენიც გინდა, იცინე!)

გახსოვს დედოფალი მარიამი?
ვიცი, განშორების წამი არის,
უმთვარო ღამე ქარიანი,
კაცი პატარა-ბრაზიანი...

(უსუსურია ქალის მცდელობა,
ნუთუ მართლდება ზოგჯერ მკვლელობა?)

ჭრელია წუთისოფელი

ჯინსისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ჯინსდება...
მე რა ხანია მოგელი
იქ სადაც ია იზრდება.

ცაზე ამოდის ვარსკვლავი,
უფრო და უფრო ბინდება
და მიწის ბელტი სახნავი
ადამის სახედ ფითრდება.

ჰანგებს მოისმენ წკრიალას,
ერთ წამში აგერის იარაღს...

ოცნება მთვარეზე

„მუმილი მუხასა“ და „მრავალუამიერ“ –
სისხლი აიჭრება,
იმოგზაურებ იმიერ-ამიერ –
სიტყვა აიხსნება.

მთვარეზე გაფრენა აღარ დაგჭირდება,
უბრალოდ გახდები ლალი და გულადი,
ყალყზე აენთება სიკვდილის ულაყი.

თეთრს ისევ აგროვებ
ბავშვური ყულაბით?

ბილიკი
(მარიამს)

ამ ქვეყნად რა არის ყველაზე დიდი?
რა ვიცი, ალბათ გული,
და იცი, რა არის ყველაზე რთული?
სიკვდილი, გასვლა სრული.

ნუ მიენდობი –
თვალი წვდება მხოლოდ ჰორიზონტს,
ნუ მიეყრდნობი –
ქარი მხოლოდ მტვერზე მოგითხრობს;
და გაიხსენე მწვანე სინორჩე,
როცა ცხადდება კვირტში სიცოცხლე,
იარე გზაზე, იარე წინ!
ის უსათუოდ მიგიყვანს შინ.

მიყვებ დინებას?

„მზეო ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორას“,
ღამე და გაუტანლობა
დედამიწაზე გორავს.
მტერი მომისწრებს მძინარეს,
„ხიდიც არ უძევს მდინარეს“...
ვერ ავუყვები აღმართს,
ძალა ლელიანს კაფავს.

ნუ ეფარები გორას,
თორემ წაყვები ბორანს!

ბრუნავს და ბრუნავს...

ოჰ, რას გაუგებ ლოგოსს,
სიო შეარხევს ფოთოლს,

ბიჭი გახედავს გოგოს,
საწმისით ვეძებ ოქროს...

ნისლი დაფარავს ჭოროხს
და ისევ ავა ცად,
როცა ვიქცევი მტვრად,
გამფანტე ოქროს-ფრად!

არჩევანი

მცვივა ცრემლები:
თავისუფლებას ვერ შეველევი!
წავიდე სად? –
სხივი ბრუნდება მიწიდან ცად...

იქით ქარია,
აქეთ გალია,
იცო, რა ხდება ბოლოს, ფინალში?
„სილაუვარდე“ და „ვარდი სილაში“...

ვისი სული გსურს? –
სიყვარული წუხს.

მაინც რა არის მშვენიერება

წუხდა პოეტი
ახალგაზრდა, თანაც ამაყი,
მე ვიმეორებ –
გათელილი ველის ბალახი:

„ნეტავ არ მქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!“
შენი ხმა მესმის, თითქოს თავს გესხმის
ჯალალედინი და შაჰ-თამაზი!

ვიდაც მეძახის: ჩემთან წამოდი!
კვლავ იღანდება ძალა, უფლება
და სიყვარული როგორც „კანონი“,
იფურცლება და ისე უქმდება.

მაინც სად ქრება შენი მშვენიერება?
ყვავილებს ვკარგავ, რა მეშველება ...

(... რამეთუ შენდამი აღვიდე სული ჩემი)

მოდი, მიმდერე ძველი სიმღერა –
 მზის სხივით ბინდი ნაზად ილევა,
 როგორ მისდევდი კვალში ჯვაროსანს,
 ან როგორ წერდი „ვეფხისტყაოსანს“.

აქ მიწას კაწრავს ეჭვი ფარული –
 როგორ იხსნება ერთი ფსალმუნი:
 იქნებ მაუწყო, უფალო, გზა,
 რომელსაც, თურმე, მართლა ვიდოდი-თ,
 როგორ გაიპო უდაბნოს ზღვა,
 რას ატარებდნენ ნეტა კიდობნით?

ვცეკვავთ და ვცეკვავთ

იცო, რა არის მაღლი წყალობის?
 თუკი მიხვდები, რომ მოგეცა პური არსობის,
 თუ შეიგრძენი საიდუმლო ძველი გალობის
 და გაიხსენე მნიშვნელობა კაი-კაცობის.

იცო, რა არის აკრძალული ხილის ნაყოფი?
 ზოგისთვის ვაშლი, ზოგისთვის მანგო
 და რა მივიღეთ მისი გაყოფით?–
 თავბრუდამხვევი, შეცდომებით ნასწავლი ტანგო.

(P.S. - ეს მელოდია შენც ხომ გეცნობა,
 მაინც რა არის ნეტა შეცდომა?
 - საცერში წყალი არ იბინდება?
 მაინც რა არის ჭეშმარიტება?)

რომელიმე (... იზმი)

ეს ფილოსოფია
 ნამდვილად მეცნობა,
 ნუთუ მართალია
 კაცის სოცმხეცობა?

ცხოვრება საცეცით
 მუდამ წინ მიიწევს,
 ამიტომ ვერ ხედავ
 ელვარე იისფერს.

რას ფიქრობს ნეტავ ყარობი, ბერი:
როგორ იცვლება უდაბნოს ფერი?

პოლიტიკა

იცო, ჩემში ფეხი სევდამ მოიკიდა:
ჰო, დასაბამიდან იყო პოლიტიკა!
არ მინდა, ძვირფასო, ისევ გაგაჯავრო,
მაგრამ მე მბრალდება პილატეს სამსჯავრო.

იცო? როდის შედგა პირველი პროცესი?
როცა მე ნაყოფი უჩუმრად მოგეცი!
მას მერე გაგიჩნდა დიდების პათოსი,
მაგრამ მე მიყვარდი პოეტი-სალოსი.

რამ გამაკვირვა ნეტავ

ცას არ უკვირს ღრუბელი,
დედამიწას სულელი,
დაიჯერე ზღაპარი –
ალადინის ლამპარი?

– მიაბზე რამე მექაზე!
– ცხოვრება არ მღერის ერთ ხმაზე:
ჯობს, რომ დამიკრა ბახი,
– მაინც რა არის კრახი?
– არ მოიპარო სხვისი ოცნება –
ყველა ყვავილი მხოლოდ თავისით
კვირტში ცოცხლდება!

2012-2013

ნატო თხილავა

მონავარდე

პიესა-გროტესტი აფხაზეთის ომის თემაზე

შესავალი

ფსიქოთერაპევტის მისაღებში

მოქმედი პირები: მონავარდე (ზაზა, ზეზვა), ფსიქოთერაპევტი (ლევანი, ალუ),
პაციენტები: სვეტა, გუჩო, შორენა, მიტო (მეცო).

მონავარდე კლინიკის დერეფანშია და ფსიქოთერაპევტს დაეძებს. ზაზას აცვია სამხედრო ფორმა, მხარზე გადაკიდებული აქვს ჭოვრიტი, ხელში კი სამგზავრო ჩანთა უჭირავს. მონავარდე ბოლოს იმ კართან შეჩერდება, რომელზეც ფირნიში არის გაკრული წარწერით: ფსიქოთერაპევტი №რ – ლუნა. პაციენტი წაიკითხავს წარწერას და ლულულს დაიწყებს, –

ზაზა: აა. ლუუ... ლუნა! მოგაგენი პრიომ, პრიომ! ჰმ... დაიზმენდი, ბიჭო? უფ... მოგცლია ერთი. საქმე მაქვს შენთან... პატარა... ეეე... რაღაც საკაიფოს გეტყვი და წავაღ!

ახლა კარზე აკაკუნებს ზაზა, მაგრამ კარი არ იღება. ოთახიდან მოისმის სამხედრო მარშის ჟღერა. მონავარდე ეჭაჯგურება კარს, სახელურს თავისკენ ექაჩება, ხან საკვოიანით აბრახუნებს და გაიძახის, –

ზაზა: დაყრუვდით?! მონავარდე ვარ... ჰაერში მონავარდე! გადაუდებელ საქმეზე ვარ მოსული... უნდა გამიღოთ! ურააა... ხომ გახსოვთ?! აღარ გახსოვთ აფხაზეთის ომი? ალუუ... პრიომ... პრიომ... ხაარ... მანდ?! გახსოვს? იქ... აფხაზეთში ლუნა გერქვა შენ, მე კი... მო...ნავარდეს მეძახდნენ! უუ...ძილობა მაწუხებს... პრიომ, უუ...ნდა მიშველო...

ოთახში მარშს გამორთავენ. ზაზა აყურადებს, მხრებს იჩეჩავს. იგი ამის შემდგომ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხევს, ადგილზე სვლას წამოიწყებს და თან ხელით სამხედრო მისაღმებას გამოხატავს, ლულულებს, –

ზაზა: რა ტაშ-ფანდური გაგიმართავთ... არა გრცხვენიათ?! დამთავრდა?! რა დროს ზეიმი და დროშის ფრიალი! ომი?! საშინელება იყო... საშინელება! დამთავრდა!!! არ გინდათ, რომ მიცნოთ? მეე?! მონავარდე?! ცუდადაა საქმე... ეტყობა! ყველგან იზმენიკები გელანდებათ!

უეცრად კარი იღება და იქიდან შუა ასაკის მანდილოსანი – სვეტა იხედება. ის ზაზას დანახვაზე შეცბება და მას ცხვირწინ მიუკეცავს კარს.

მონავარდე ფეხაკრეფით შედის ფსიქოთერაპევტის მისაღებში, თვალს შეავლებს გარემოს, გაიოცებს და სვეტაზე შეაჩერებს მხერას, –

ზაზა: სვე... სვეტოჩკა... სვე... სვეტკა! რატომ მომიტყედი?! ხომ აღსდგა ცასთან კავშირი! მაინც ხომ აღუსთან... ააქ... გნახე! არა გრცხვენია?! გამოტყედი... თუ ღმერთი

გწამს... ლუნაჩკასთან რას აკეთებ?! პრიომ... გახსოვს აფხაზეთი?!

სვეტა ჯერ უსიამოვნოდ იშმუშნება, მერე კი პრანჭვას დაიწყებს, - სარკეში კოპწიაობს, თმებს ისწორებს, წითელ ტუნსაცხს წაისვამს.

სვეტა: ზზზ... აკ საიდან გაჩნდი? არაა ლუნაჩკა აკ... ნო, ნო... პაკა რანო... მოვა! სკორო... ოჩენ სკორო... მოვა... ზზ. ზაზა! გდე ტი ბილ? შტო ტი დელალ?

ზაზა: ერთი ვიცოდე... რა უნდა ამ ქაღბატონს აქ?! ნუთუ აღარ ახსოვს აფხაზეთის ომი! ხალხნო, ეს ხომ სვეტაა, სვეტა! ჰმ... შეცვლილა... აღარ მეხატება გულზე... ვიღას რაში ეპიტნავენა! ჩუმ-ჩუმად დაძვრებოდა ღამ-ღამობით... თავის ადგილზე მოაჯენს მონავარდე!

პაციენტები თავ-თავიანთთვის საქმიანობენ, აინუნშიც არ აგდებენ მონავარდეს. ერთ პაციენტს რაღაც ჟურნალში აქვს თავი ჩარგული, - ეს გუჩოა - №4. გუჩოს გულზე მუყაოთი ჰკიდია რიგის ნომერი. იქვე ადგილს იკავებს შავოსანი მანდილოსანი - ქაღბატონი შორენა. იგი გაზეთს ჩასცქერის. შორენას გვერდით ზის ასე 12-13 წლის მოზარდი - მიტო და გამაღებით ფუნთუშას იღუკმება. მონავარდე დროდადრო ციბრუტივით ტრიალებს, ხელეგაშლილი და როცა ჩერდება, პაციენტებს მიმიკებითა და მოტორიკით ანიშნებს რაღაცას, მაგრამ მას არც ამჯერად აქცევენ ყურადღებას. მონავარდე ერთხანს ჭოგრიტით გასცქერის სივრცეს და შემდგომ მრავლისმეტყველად დუმს, ისევ პირუეტებით იწყებს გარშემო სვლას, გუჩოსთან ჩერდება და მიმართავს,-

ზაზა: აზრზე მოდი, ძმაო... რა ენა ჩაგიყლაპავს?! ჰმ... აქ... მტრის ბანაკში როგორ აღმოჩნდი? ვიცი, ვიცი... რატომაც ჩამოგერთვა ლაპარაკის უფლება! გიჟობანას თამაშობ?! იქ კი... ზზზ... ზუზუნებდნენ და ზუზუნებდნენ ტყვიები... შენ?! გრცხვენოდეთ! ჩვენი ბიჭები მოჭრილი ხეებივით ასკდებოდნენ მიწას! ხოლო ზოგი... ველზე წარმართივით მოკაკეული ესვენა! გამოიფხიკეთ ყურები და გამოტყდით... ძმები არა ვართ? არ გახსოვთ... დაუმარხავიც ბევრი დარჩა... ნანობ?

გუჩო უსიამოვნოდ იშმუშნება, ზაზა კი განავრძობს, -

ზაზა: როცა გარემო შეიცვლება, მიხვდები, რომ ხელიდან გაუშვი ის, რაც გაგაჩნდა... გულის სწორი სამუდამოდ გაგიფრინდა... ბასტა! სად გაქრნენ ჩვენი ბიჭები? შენ კი „პაუელო“ რომეოსავით აქ ჩამომჯდარხარ და „ცხელ შოკოლადს“ კითხულობ ამ გაგანია სიცხეში... ცხვირ-პირიც ჩამოგტირის... იმიტომ რომ... იმიტომ რომ... შენც დაკარგე... სინდის-ნამუსი... არ გახსოვს მერვე? მეცხრე? მეთერთმეტე? სადღა არიან?!

სვეტა წამოდგება, ზაზას დაშოშმინებას ცდილობს, საყვედურით მიმართავს მას, -

სვეტა: Задача, задача, не обижничай... он не виновен... не трогай его... сейчас...

ზაზა: არაფერი გსმენიათ - მეთერთმეტისა? მეთორმეტისა? მეცამეტესი? ჩვენი ბრალია... ეგ სტუმარი თუ მასპინძელი - გუჩო... გუჩო... ააქ გაბღენძილი რომ დამჯდარა... გვერჩოდა რამეს?! ჰოლო?! ჰოდა ადგეს და ხმა ამოიღოს! რა გვაქვს გასაყოფი... რაა... ბედავს და ვერ მცნობს?! ვინმეს დამნაშავე ეგონება... მოევლება... მაგასთან გასაყოფი არაფერი მაქვს! ვაშაა... სხვა საქმეს გამოვუჩენ! აქ რა უნდა?!

სვეტა: Он сотрудничает с нами... понял? აღუს поддельник-ია.

მონავარდე ევირილს იწყებს:

ზაზა: ეგ საქმე ზეცაში გადაწყდა... ყველანი: ოსები, რუსები, აფხაზები, ქართველები... ძმები ვართ, ძმები ვართ! ვაშაა... ძმურ თანაკავშირს ვერ მოგვიშლიან! ოღონდ... (ხელს აიქნევს) ეჰ, ეუჟენია... ის თოლიასავით ფარფატებდა სიშორეში! უასმინი... უასმინი...

სვეტა: Вот здорово, здорово! и... ჩვენ სოციალურ ტანკმობასაც დავამკარებთ! Урааа... победа за нами...

ზაზა: შენ... რაღაც იმ თანავარსკვლავედისას მღერისარ აქ.. ჩვენში კოსმიურ ქაოსს რომ იწვევდა იმთავითვე! აზრზე მოდი! შენც ხომ კარგად იცი, დაიკო, ეგ დიდი დათვი! ეგაა ეგ... თვალი რომ უჭირავს ჩვენს მიწაზე... საკუთარი სამშობლო ჰგონია ყველგან, სადაც თათებს დადგამს! ვერ მივართვით! მოდი... ბაბთა შევებათ... წითელი და აქედან გავისტუმროთ... მოსულა? მაგან მოგვისია ყანიჭამია კალიები, რათა ვეყვლიფეთ და ვეთელეთ, ჰოდაა... მჯერა... გავისტუმრებთ მოუსავლეთში...

სვეტა: Урааа... ჩვენ ერთი კვეკნის შვილები ვართ... Ураа... Победа следует за нами... Урааа! Мы построим новый третий мир! вперед, вперед... აქ რა გვინდა?

ზაზა: რაღაც... პარლამენტარივით ატლიკინდი! თუ ვინმეს კეთილმეზობლობა მოუნდება ჩვენთან, ის მაინც უნდა აღიაროს, რომ... ამენ, ამენ... სადაც ქართულად ლოცულობენ... ამენ.. საქართველოა ყველგან!!!

სვეტა: Ей богу, он не шутит... მალე მოვა ალუ და დაინახავ...

ზაზა: ალუ?! ეროვნული ხსნის იდეას ძირს ველარავინ გამოუთხრის! ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და საყოველთაო ბედნიერება უნდა დავამყაროთ... შიგნიდან ერთად! მტერი გვეყოლოს მხოლოდ გარე დახმარების იმედზე! გაეროც ფრთხილობს მაგ დათვთან და ნატოც... ჰოდა... იმიტომაც ელოლიავებიან მაგ დათვს, რომ ეჭვდებით ნავთობში...

სვეტა: О боже, ნავტობში, რა ეჩედებატ?

ზაზა: რა რაა, რა რაა... რა და ახლა არა ვარ ახსნის დილიხორზე... აფხაზეთი უნდა დავიბრუნოთ!

სვეტა: სადა ვარ? Почему, почему? სადა ვარ? სადაა, სად, საად?

ზაზა: ეეე... კოსმოპოლიტიკავ, საშიშია დავიწყებას არ მიეცეს:

სვეტა: Не дай бог, урааа... გუჩა... დუმს...

ზაზა: სვეტა, სვეტა... შეე გლობალურო, თქმულებად არ უნდა იქცეს!

სვეტა: Что такое ტკმულება? Прекрасно, прекрасно... ტკმულება! აფკაზეტი... ცეცკლოვანი ტკმულება! Вот здорово... за... за Абхазию... то есть... за грузию... в... в пределах нашей родины... Ураа... мы победим... Ураа... Урааа... вперед...

ზაზა: ერთხელაც მოხვალ ჭკუაზე – შენსას უნდა მოუფრთხილდე! სხვისა რად გინდათ?!

სვეტა: Знаю... ერთხელაც ხმას ამოიღებს გუჩააა... не учи... не учи ученную... урааа...

ახლა თითქოსდა ტრანსიდან ამეტყველდება მონავარდე, –

ზაზა: დაივიწყეთ?! გახსოვთ?! ვარსკვლავებით მოჭედილიყო ზეცა იმ დამით, ხოლო იმ დღეს კი თითქოსდა მეტალისა გამხდარიყო ზეცა და გაიხსნა! ვეებერთელა ჭურვები გადმოიფრქვა და უასმინს, ჩვენს გემს, ჩვენს ჯავშნოსანს დასცხო! აღმოდებული საბოლოოდ ტალღებმა დანთქეს... ჩვენი უასმინი, ჩვენი პაწია, კოხტა... კოხტა! ახლა ფსკერზე განისვენებს და ლიფსიტები კორტნიან! ეჰ, საბრალო! დამეუღ ნისლში

ციმციმებდა ოქროსფრად! სანაპირო ზოლს ზვერავედა! გამარჯვების იმედად ის გვებადა! იცავდა ჩვენს ძირძველ მიწას!

სვეტა: эгзотично, эгзотично... продолжай, продолжай...

ზაზა: ცოცხლები დუმან! ყვიროდნენ მკვდრები!

სვეტა: стой, стой... აფხაზეთი უნდა დავიცვაო?! Ничего не помню... როგორ?

ახლა მონავარდე ჭოგრიტიდან შორეთს გასცქერის და ავტომატივით დაიწყებს კაკანს, –

ზაზა: ეს ყველაფერი იქ, იქ... ჩრდილო პოლუსიდან სამსრეთით, მეთექვსმეტე გრძელის ასმეცხრე გრადუსზე... აფ... აფხაზეთის ... ეკ... ეკვალორულ წყლებში მოხდა!

სვეტა: Это уж слишком! Плохи дела... как я слышу...

სვეტა ახლა რუსულ მუსიკას ჩართავს და აცეკვდება, დროდადრო ჩერდება და გაიძახის, –

სვეტა: Нам терять нечего... ех, разгуляй, разгуляй...

ზაზა: სტოპ! სტოპ!

მონავარდე სვეტას შეჩერებას ცდილობს, მუსიკას გამოურთავს და გაახედებს შავოსანი მანდილოსნისკენ, –

ზაზა: აი ეს ქალბატონი... შორენაა... თუ არ ვცდები... მედღად მსახურობდა იქ... უასმინზე... წინა ხაზიდან მუსრს ავლებდა მტერს?! გლოვობს? შორენ, შორენ... თქვენ ისევ ის ნიმფა-ქალბატონი გახდებით... ისეთივე ამაყი და მხნე, მხნე... ისევ თავის კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებს აფხაზეთი გაძლიერებული... ოჰოო... კავკასიაში...

სვეტა: Это уж слишком... посмотрим...

შორენა ოდნავ შესამჩნევი ღიმილით ზაზას შესცქერის.

ზაზა: ჩვენ ხომ ეროვნული დროშა გვამთლიანებდა ცხრა აპრილსაც! გლოვიდან გამოვფხიზლდეთ! გავმთლიანდეთ, ადვსდგეთ! არაა ლუნა შენი ღირსი!

შორენა ერთხანს მრავლისმეტყველად აკვირდება მონავარდეს და მერე კვლავ თავნაქინდრული დუმს. ხოლო ზაზა კი მუხლს მოიდრეკს მის წინაშე და ქვითინებს. წამიერად გაუღერდება „ცხრა აპრილის“ მელოდია. მოზარდი – მიტო წარმოდგება, მივა ზაზასთან და მას გასამხნეველად ფუნთუშას გაუწვდის. მონავარდე ფუნთუშას ჩაკეფს, თან ილუკმება და ამავდროულად ესაუბრება მიტოს, –

ზაზა: მიტოო... მეცო, მეცო! ნადლი ძმა, ფრონტის ნადლი მეგობარი შენ ყოფილხარ! ბრავოო... ხომ გინახავს ომი?! ბული იდგა და ფერფლის ფრენა! სადოლ... ახლა შენი იმედი გვექნება ჩვენ ყველას! ახალი უასმინი შენ უნდა ააშენო! ჩვენი ახალი საზღვრები მან უნდა დაიცვას! შენ კი... შენ... მონავარდე დაგიფარავს! გახსოვდეს... უეჭველად გაიმარჯვებენ ახალი უასმინები.

მონავარდე მხარზე ხელს დაჰკრავს მიტოს, რომელიც გახარებული ციბრუტივით დაიწყებს ტრიალს. მეცო დროდადრო ჩერდება და მიმიკებით რაღაცას ეკითხება ზაზას. მონავარდე გულში ჩაიკრავს მოზარდს, მერე კი მხრიდან მოიხსნის ჭოგრიტს და გაუწვდის. –

ზაზა: ჰა... ახლა... ეს „ბინოკლი“ შენი იყოს!“! საოცარია, ჯადოსნური... არაა უბრალო... უცნაურობებს დაინახავ მანდედან! ჩვენი ქვეყანა მანდედან... გაბრწყინებული მოჩანს!

სვეტა: Не балуй ребенка...

მიტო სიხარულით ჯერ თვითონ გაიხედავს ჭოვრიტიდან და მერე გაახედებს ქალბატონ შორენას, –

ზაზა: ლამაზია? მართლა ლამაზი? ყველაფერი ხომ საოცნებოდ ბრჭყვიალებს?

სვეტა: Ужассс... помогите, люди добрые... ერთი ამ ხულიგნებს დამიხედეთ! Дабы я пустое место...

მეცო პირუეტებით მიდი-მოდის ოთახში და დროდადრო ჭოვრიტიდან იხედება.

ზაზა: ჰკა, ჰკა, ოკუპანტს... ერთი შენებური დაუარე...

განრისხებული სვეტა ჩართავს რუსულ მუსიკას, თან ცეკვავს და თანაც გაიძახის, –

სვეტა: იმეგობრეტ, იმეგობრეტ ჩვენთან... а то к черту мы вас пошлем...

ზაზა: ხალხნო, შეიშალებო? გაგიჟდით? მართლაა?! ღმერთო დიდებულო, ამ საგიჟეთში ამათ აქ... რა უნდათ?! ამ აფხაზს! ამ რუსს! ამ ქართველს! – გუჩოს! სვეტას! შორენას! მიტოლო?! ღმერთო, ესენი რამ შეშალა? ვინ, ვინ არგუნა მათ ეს ხვედრი?! მეე?! იქნებ მეც გავგიჟდი! მაიცა... მაიცა... გიჟმა როდი იცის, რომ ის სულით სნეულია და ის ამითაა ბედნიერი და თავისუფალი! მეე? მე კი ვიცი, რომ ნამდვილად გიჟი ვარ, ოღონდ... ვერ ვხვდები ამათ... ან ჩემს თავს როგორ ვუშველო... მე - უსამშობლომ! უაფხაზეთომ! დევნილმა, მიტოვებულმა, შეურაცხყოფილმა, პატიმარით თავაუწევარმა... არა, არაა... უფრო სწორედ... პატიმარმა, გაგიჟებულმა... უსამართლო სასჯელით, დამცინავი მოპყრობითა და წამებით...

მონავარდე ქამრიდან იარაღს ამოიღებს და უაზროდ აშტერდება, მერე კი აღმოხდება, –

ზაზა: არა... არა... თავს არ მოვიკლავ! აფხაზეთი მაქვს დასაბრუნებელი... აფ... ხა... ზე... თიი!

წამიერად გაჟღერდება ჰანგები: „საქართველო, არწივების დედამშობელი.“

მიტო სკანდირებს, –

მიტო: სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლო...

შორენა წამოხტება და სიხარულით ტაშს შემოკრავს. უცებ ოთახში თეთრხალათიანი ფსიქოთერაპევტი შემოდის. მას მრგვალი, ნომრიანი სათვალე უკეთია. ლუნა შეცბება მონავარდის დანახვაზე, მონავარდე კი ქუდის მოხდითა და რევერანსით მიესალმება მას.

სვეტა და გუჩო „შტიკებივით“ დაერჭობიან და ლევანისადმი სამხედრო მისალმებას გამოხატავენ.

ლევანი: ფუჰ... თქვე ნასედკებო, შკოდნიკებო! რა მცოდნია თქვენი?! ვერ აკონტროლებთ „პალაჟენიეს!“ ხო ვთქვი, აქ უცხო არავინ შემოადგას-მეთქი ფეხი! Кошмар! ააარის-მეთქი აქ ვინმე... პირველი?! ჰოდა... თუ ვინმეა, გამოძვევს... Шагом... марш...

ზაზა ადგილზე მარშირებას იწყებს და მზერით ემშვიდობება პაციენტებს. მონავარდე აგრე – მარშითა და სამხედრო საღმით კაბინეტში მიჰყვება ლევანს, იქ შესვლამდე კი უკან მოიხედავს, –

ზაზა: მშვიდად! მშვიდად! არაფერზე იღელვოთ! მე... დავბრუნდები! ყველაფერი კარგად იქნება! ჩუუუს! აფხაზეთია დასაბრუნებელი! ჰაერში მონავარდე არასოდეს დაგტოვებთ!!!

მონავარდე და ფსიქოთერაპევტი კაბინეტში შედიან.

სეანსი №1

ქასმინი

მონაგარდე და ლუნა ფსიქოთერაპევტის კაბინეტში მაგიდას უსხედან. ალუ ერთხანს სათვალის ზემოდან აკვირდება პაციენტს და მერე რაღაც სქელ დაეთარში ფურცელას დაიწყებს. ზაზას ფეხი ფეხზე გადაუდვია და სიგარეტს აბოლებს. ის მერე თავის სამგზავრო ჩანთას ცხვირწინ მიუგდებს ლევანს, –

ლევანი: ამ ვაშკარანს აქ რა უნდა?! არა, არა ხელს აღარ ვყოფ ბინძურ საქმეებში! ვცხოვრობ ვწინარად, უშფოთველად, უსაფრთხოდ, მდაა...

ფსიქოთერაპევტი სამგზავრო ჩანთას ხელით განზე გასწევს და დუდღუნს განავრძობს, –

ლევანი: ეჰ... ახლა გაჭირვებით ვცხოვრობ, კაპიკს კაპიკზე ძლივსძლივობით ვაწებებ... Ну и что? არ მაქვს საშველი, მძარცვავს საგადასახადო... მაიცა, მაიცა... ჰმ... თქვენ რა გინდათ?! მთავარი სხვა რამეა... თქვენ აქ ტყუილუბრალოდ მოსულები არ უნდა იყოს! რაიმემ ხომ არ შეგაწუხათ?

ზაზა: ქასმინმა!

ლევანი: ქასმინმა? ჰმ... вот тебе и нааа... ქასმინმა არა? понял, понял... მეც არა ვთქვი... იასნია... რაღაც უნიკალურ შემთხვევასთან მექნება საქმე! მაშ... ქასმინმა? ქასმინი არააა?!

ზაზა: ქასმინი! ქასმინი!

ლევანი: ჰმ... აბა უძილობაო... წედან სვეტოჩკას არ უკიოდი... დამეებს თეთრად ვათენებდიო შენზე ოცნებაშიო? უძილობა? ყურსასმენიდან ასე მომესმა! понял? მოვევლება, მოვევლება! არაფერია საგანგაშო!

ზაზა: ლუნაჩკა, ძმაო, ისე... ხომ იცი... მაგონდებოდი ქასმინზე ფიქრისას... ისევ ისეთი ხარ – №6 – ლუნაჩკა, ძმაო... ქასმინი!!!

ლევანი: ტრიალებს, ბრუნავს... იწყება და მთავრდება სულყველაფერი... Ерунда... მორჩები! ოღონდ... ფსიქოთერაპევტს უნდა დაემორჩილო! აბაა, აბა... წამოდექიიი! ერთი, ერთი... ადგილზე იარრრ!!!

ზაზა ორაზროვნად იღიმება და სიგარეტს ექაჩება. ლუნა კი რაღაც სამედიცინო ხელსაწყოთი იწყებს მის გასინჯვას. ალუ პაციენტს ჯერ ცხვირთან უტრიალებს ინსტრუმენტს, ხოლო მერე კი გადაატარებს კეფაზედაც.

ლევანი: ამიხსენი... ეგ ქასმინი რა ბედენაა? ცენტრალური ნერვებით რეალობა უნდა აკონტროლო, რათა პლუს-მინუსის შეუსაბამობისაგან გამოგეცალოთ... ლიბიდო? როგორ აღმოჩნდი ააქ... ჩემთან?

ზაზა: ჩვენ... მერვე და მე ქასმინს ვალივერებდით... სადამოობით დურბინდიდან! უამინდობაშიც ელავდა... საიმედოდ! ახლაც თვალწინ მიდგას, დამ-დამობით... როცა შორეთს გავცქერო... ბოლო დროს უცნაურობები დატრიალდაო ქასმინზე – მერვე სად გაქრა?

ლევანი: მერვე? წედან მეექვსე მიწოდე, ახლა ამოგიჩემებია ვიდაც... то есть... მერვე... იქ მერვე არავინ იყო!

ზაზა: იქ სააად... ქასმინზე?

ლევანი: თქვი, თქვი... ილაპარაკე და მოგარჩენ... რაა უსმინი? რაა... მერვე!

ზაზა: უსმინი იყო ათვლის წერტილი და იქ იყო... მერვეც...

ლევანი: ეგ როგორდა! მე შემძლია ისტორია ერთი ხელის დარტყმითაც მოვსპო... ნუ იქექები წარსულში... ის გაქრაა!!!

ზაზა: მაგას გაიგებ სულ მალე... რა და ვინ რა... როგორ გააქრო!

ლევანი: Ужасccc! აუტანელია პირდაპირ! იცით, მოქალაქე?! ახლა თქვენნაირ ენაჭარტალა დეზერტირებზედაც ნადირობენ – აქ ყველგან! შენ რაა... გიჭყავის კაპიკი?! ჰოდა... თუ არა... გაგსროკავენ და სული გაგძვრება... ეგრე მშიერს და ენატლიკინას...

ზაზა: არ მეღადავება... მინდოდა უსმინის შესახებ დამეზუსტებინა რაღაცააა...

ლევანი: რაღაცა? О нуже... რაღაც... გიუი ყოვილხარ... მართლა?! თქვენ... то есть... მანიაკალნი ფსიქოზი უნდა გჭირდეთ! жжж... чай жасминовый, цветы жасмина.... პირდაპირ აუტანელია... და იქ ვიღაც მერვე! ну и что... დაიკიდე ფეხებზე!

ზაზა: უსმინი, ჩვენი გემი... კოხტა, პაწია... სულ ტყუილუბრალოდ აგვიფეთქეს... მაშინ იქ იყო მერვე?

ლევანი: ჰაერში გარეკილო, იცი რააა?! ახლა უცნაურად დაცურავენ გემები დარდანელის სრუტიდან აქით და იქეთაც... ჯადოსნური გემები! ეგ მერვე კი... ასეთ გემებზე ეგეთებს არაფერი ესაქმებათ!

ლევანი ზაზას ვაშკარანს დასტაცებს ხელს, ხარხარებს და თან გაიძახის, –

ლევანი: მინდა ვიცოდე ამ ვაშკარანში რა გაქვს! თუ სახეირო გაქვს რაიმე, მოდი, გავხსნათ და გემით, გემით გავცუროთ სადმე სხვაგან! ახლა უვიზო რეჟიმია შემოღებული მოზამბიკში! თუ ლას-ვეგასში გირჩევნია?! კაზინოები, პაპანაქება... არ გეკაიფება?!

ზაზა: ხელი გაუშვი ჩემ ხელჩანთას! შენთვის სახეირო იქ არაფერია...

ლევანი: გავხსნათ... და მორჩები!

ზაზა: მერვე ერეოდა სასიკეთოდ, თორემ ერთმანეთს შეასკდებოდნენ გიგანტი ქვეყნები და ახლა ჩვენი ბრდღუნაც აღარ იქნებოდა...

ლევანი: მაინც ვერ გავიგე, რა გიდევს მაგ პროფესორ დოუელის გოგრაში! რა გინდა ჩემგან?! არ არსებობს... არც უსმინი და აღარც მერვე... Возомнил რა ი ცене... რეებს მიბედავ! დაიკიდე... (ლევანი ზაზას ბარამბოს კანფეტებს მიუყრის და განავრძობს,–)

ლევანი: მიდი, მიდი... გაღეჭე ეს ბარამბო და გულზე მოგეშვება!

მონავარდე კანფეტებს უდიერად იღეჭება და ქაღალდებს უდიერად ყრის დაბლა...

ზაზა: ვახ... საიდან ასეთი განცხრომა?! ცხოვრება მოგიწყვია, ძმაო, прием... ესუმრები ასეთ კაბინეტს?! აქაურობას იმით მოიწყობდი, რაც უსმინიდან ხელს გამოაყოლე...

ლევანი: ჩარჩენილი ხარ უსმინში და სულ... უსაფუძვლოდ აკაჩავენ პრავებს... დესტრუქციულობის გამო თუ დაგსაჯეს... შენი არაფერი მმართვეს...

ზაზა: ვაა, არაფერი?! უსმინი!

ლევანი: მოზაიკური ფსიქოზი გჭირს შენ... უსმინი არის შენი მანია... დაუძლეველი წარსული... არაფერი... და შენ ახლა მისტირი მაგ არაფერს...

ზაზა: გულანთებული ვიდექით ჩვენ იქ... სოხუმთან! დედაქალაქი უნდა დაგვეცვა! ხოლო... იქ... შორეთში უსმინი ოქროვანად ელვარებდა... მერვეს უნდა გადმოესხა დესანტი...

ლევანი: О ноже... кошмарpp! მერვეს! მეცხრეს! მეათეს! სად აორთქლდნენ!

ზაზა: არა, ძმაო, ფსიქოთერაპევტობას ისე... მშრალიდან ვერ გამოკრავდი ხელს... საიდან?

ლევანი: შენ რა... ხუმრობ! გაგსროკავენ-მეთქი.. ხომ გაიგე! რაა უსმინი?! თქვენ მაგ გაქუცული კატარლით აპირებდით აფხაზეთის სანაპირო ზოლის დაცვას! ამიტომაც აფეთქდა! ერთი ბანძი გემი იყო ეგ უსმინი, გენერალო! კონტრაბანდით დამძიმებული! მაგიტომაც ჩაიძირა! მერვე! მერვე! მერვე! ეგ ბოლო დროს თვალთ არავის დაუნახავს! прием... прием... ხაზზეა – ლუნა! ტვინი არ წაიღო იმ ჯართი-ჯავშნოსნით! Тоже мне... რაა... прием....

ზაზა: ჯართით არა?! ერთ მუშტად შეკრული პარტიზანები სწორედაც რომ დეზერტირებმა და დესტრუქციულებმა დაქსაქსეს! თურმე... დეზინფორმაციებს ავრცელებდა... прием... прием... ლუნოჩკა! მხედართმთავარმა იარაღის დაყრის ბრძანება გამოსცაო! არა? ვინც ბრძანებებს არ ემორჩილებოდა, მათ სამხედრო ტრიბუნალი გაასამართლებდა!

ლევანი: ბუნტის ბუდე იყო ეგ უსმინი, გენერალო! სახელმწიფოს კი ძულს ბუნტი და თვითნებობა, понял? ბუნტმა ჩაფუშა ოპერატიული საბრძოლო – „პანტერა-გეგმა“... ბუნტისთავი იყო... ის... მერვე! ჰოდა... სწორედ მან მოაწყო საკუთარსავე ძირძველ მიწაზე თვითნებური თავდასხმა... რა მერვე?! მერვე წაგებული ომი მოგებულად გამოაცხადეს... ახლა ყიყინებენ... მოგებული იყოო წაგება!!! მე... მე... აღარაფერი მახსოვს! მე... კაპიციც არ მრგებია უსმინიდან! შენ რააა?

ზაზა: ეჰ... прием... прием... მონავარდე ხაზზეა! იმ დამეს ვარსკვლავებით მოჭედილიყო ზეცა! ხიფათს დავუძვერი... გამოქვაბულს ძლივს მივადწიე... მაგრამ... იქ... დათქმულ ადგილას – მუხასთან აღარავინ დამხვედრია! მკვდრები ყვიროდნენ! შინაურმა მტერმა დანადმულ ველზე შეიტყუა ჩვენი ბიჭები! რატომ? რატომ? რის სანაცვლოდ?

ლევანი: ბრედში ხარ, ძმაო, прием! ხაზზეა – ლუნა! ახლა სხვა დროა, ძამიკო, მონავარდე! ტოტალური მოსმენა – დასმენები! თუ თვალში არ მოუხვედი... იმათ... понял?

ზაზა: მე მოკლული ძმის – მერვის კვალს დავეძებ! მისი სულისათვის შურს იძიებს მონავარდე!!!

ლევანი: ეგ როგორღა, გარეკილო, შემახსენე! შენ შენს გრეხებს უნდა მიხედო! ყველამ იცის, გენერლობა როგორც მოგერთვა!

ზაზა: მე? მე? მე... ძმათა კვლა არ მნდომებია!

ლევანი: როგორ? პარ... დონ... ჰმ... მტრის ყიჟინა რომ გესმოდა, ალბათ სულს აფრთხობდი, პაციფისტო! იასნია... ამბრაზურას რომ აეტუზე, შიშისაგან ალბათ მუხლები გიკანკალებდა! все ясно.... როტამ იშუსტრა და სამშვიდობოს გავიდა... ჰა... ჰა... ჰა... ფეხი ხომ არ აგრევიათ? დაბოლილი ხომ არ ბრძანდებით, მხედრონელო?!

ზაზა: გეყოს, გეყოს... ეგ რიჟა-ბაზარი, გეყოს! მაიმუნობის ხასიათზე არ ვარ! მერვე

ს გამო მაინც შურს იძიებს მონავარდე! (ზაზა გულში მჯიღს იცემს) ომი აქ... აი აქ... გულში... სამშობლოსათვის, აფხაზეთისთვის მაინც გრძელდება!!! ვაშაა... вперед, вперед...

ლევანი: ვიცი, ვიცი... ნუთუ ომს შენც „შავის“ გამო ნატრულობ?! სხვა დროა ახლა...

ზაზა: ბრძოლა... ჟასმინის აღსადგენად... გაგრძელდება... დრო, დრო ერთმანეთისგან გამოარჩევს შავსა და თეთრს...

ლევანი: არ ხუმრობ, ხო იცი?

ზაზა: ეროვნული ხსნის იდეას შენც უნდა აყვე!

ლევანი: აყვები! აყვები! Ей богу... ოღონდ... ჟასმინი და მერვე აღარ მისხნო... понял?

ზაზა: ჰაერში მონავარდე სიახლისათვის – ახალი ჟასმინისათვის იბრძოლებს!

ლევანი: Ты, ты стратегический сумасшедший... ей богу! აქ რა გინდა?!

ზაზა: თუ ხელს შეგვიწყო, აგიხსნი...

ლევანი: გარეკე? ახალი ისტორიის სათავეებთან ვერ მოხვედი? Да я то тут причем? ჩარჩენილხარ იქ... უ... ჟასმინში!

ზაზა: ვინ, მეე?

ლევანი: გუჩო! გუჩო! ფელდმარშლის понедельник-ი იყო... ჟასმინის კაიუტებში ეგ დაძვრებოდა აფეთქებამდე! ის თანხა უსათუოდ ხელთ იგდო... მაგან! Он Абхазец... ხმა აქვს გაკმენდილი, რას გაუგებ...

ზაზა: ერთხელ და სამუდამოდ ეროვნული შეუღლის თესვას უნდა მოეშვა! გუჩო! გუჩო! Он тут непричем!

ლევანი: შენ რა იცი?! იცი? ეგ მოღალატე ჟასმინის ამფეთქებელ ბომბდამშენზე როგორ აღმოჩნდა?! იქ მე ავუშვი... მე შევაგზავნე... მინდოდა გადმომეხირობინა ოკუპანტი მესაჭე! შარში გაება! ყველაფერი ჩაშალა მაგან!

ზაზა: მაგან? ბლუდში იქნებოდა! მოუწევს ხმის ამოღება!

ლევანი: Psyche აქვს მოშლილი, psyche, გუჩოსაც და შენც! ასეა, ძმაო... ბოლოს მაინც ჩემთან მოდის ყველა! Pardon... შენ რაღა გინდა ააქ?

ზაზა: შე მტლუ შენა... გუჩო მტრის ბომბდამშენზე როგორ აუშვი... რამსები გერეოდა, ძმაო, ყოველთვის...

ლევანი: მეე? შენნაირი გიჟი პაციენტი ჯერ არ მყოლია! ასეთ უაზრო თამაშში არ უნდა აგყოლოდი... раз... два... раз... два... იქ გარეთ.. ყველას ხმა აქვს გაკმენდილი... კაპიკებს ვუგდებ და ამიტომაც... გინდა? გინდა ჩემს ბიზნესში ჩაება?!

ზაზა: ეგ რიჟა-ბაზარი გეყოს! ჩვენი წილი მაყუთი, ძმაო, ჟასმინის მეცხრე კაიუტიდან... ვინ მოტეხაა?! გუჩომ?!

ლევანი: რა თქვენი წილი, ძმაო... სუფთა ვარ! მკვდარია პულემიოტა! წადი და კითხე! ყველა სვოდკა მაგასთან მიდიოდა საბოლოოდ! მერვისაც მაგან იცის! მეცხრისაც! მეათისა! მეთერთმეტესი! понял, понял... прием, прием...

ზაზა: ტამიშთან გადამწყვეტი ბრძოლის შემდეგ – ეგენი მე... ჩემი ხელით მივაბარე მიწას... ზოგიერთი კი დაუმარხავი დარჩა!

ლევანი: მერვე! შენს გენერლობას გეფიცები, მეგობარო, აზრზე არა ხარ... იქ რა მოხდა! რააა?! უფრიალა და უფრიალა გუჩომ დასავერბოვკებლად რუს მესაჭეს

დოლარები, ის კი არ შედრკა... мы защищаем наших граждан-ო... დაჭყვივლა თურმე... გუჩომ კი ვერ გაუგო... აფშეუუ-ო აღმოხდა... გასაკვირი მანდ რა არის?! მათ არ ესმოდათ ერთი მეორის ენა! понял? გუჩომ ნახა, რომ ვერას გააწყობდა... ჰოდა... არც აცია და არც აცხელა... პარაშუტით ისკუპა ბომბდამშენიდან... ეგ საზიზღარი ფრინველი ყურის წამლებად დაჰბზუოდა ჩვენს გემს წინა დღით... ჰოდააა... ჟასმინის ანძას დაემხო ეგ უტვინო... გუჩო... все, все... მეტი მაგათზე არაფერი მსმენია...

ზაზა: მაინც ვერ გავიგე... ვინ?! ოკუპანტი მესაჭე კონწიალობდა ჟასმინის ანძაზე... თუ გუჩო?! გუჩო?

ლევანი: გუჩო, გუჩო! ეგ მტლუ იქიდან მე ჩამოვხსენი! მტერს რას გაუგებ! მოდი და გაარჩიე – პულემიოტამ, მერვემ თუ გუჩომ მოტეხა ის მაყუთი?! все один хрен... რაიმე ვინდა?

ზაზა: შენი კარგად ყოფნა, ძმაო, ოღონდ... როგორც ჩანს მონავარდეთა კოდექსს არ იცნობ! ვერ ერკვევი! – ჩვენს წილს არა ვთმობთ და არც სხვისი გვინდა, ამაში არის საქმე...

ლევანი: მხხრიკე! ეძებე! აქ ვერაფერს ნახავ უკანონოს! Ну и что?! თუ გნებავს ეგ მექალთანე გუჩო დაკითხე... რა მერე?!

ზაზა: არსენალი უნდა გაგვეზარდა, რათა მოგვეგერიებინა ოკუპანტი... ჟასმინის მეცხრე კაიუტაში ინახებოდა ეგ არსენალის მაყუთი... ებარა გუჩოს...

ლევანი: გუჩოს? ფული კულინარას აუწაპნავს, როცა საბედისწეროდ... ეგ კაიუტა დაბომბეს... მერე! მერე! მერე: მალე ჟასმინმაც იფეთქა!

ზაზა: ოოო... საბრალო! ჰმ... ჟასმინელები დაბანგულელებივით ყოფილან. ქონდაქარს ბანგი გაერია მათ კერძებში?! ხოლო იქ კი... მეცხე კაიუტაში... აფეთქებამდე ის ჩალიჩობდა... ვინ? ხელთ იგდო სხვის ფული და ახლა აქ თავს იკატუნებს...

ლევანი: ვიინ? ახლა თავს იკატუნებენ? შორენა? სვეტა? გუჩო? ეს მე... მე... შევადვიძე სამთავენი, ვიდრე ჟასმინი იფეთქებდა! ბრონეჟილეტებით შევმოსე სამთავენი და წყალში იალაა... მოვადენინე ტყაპანი... რააა მერე? მეცხრე კაიუტაში იდგა... О нине... ტორიხელის სიცარიელე... კარგად მივჩხრიკ-მოვჩხრიკე იქაურობა... ვერც მაყუთს მივაგენი და ვერც ზარდახშას... ცამ პირი უყო... გაგონილა? რაღა დამჩენოდა... იმათ კვალს გავდიე... ავადევნე ჩემი კატარლით... ვშიშობდი რაიმე ურიგო არ ჩაედინათ... და ბოლოს... გზა ამებნა... ეგ ძუენა, ეგა... სვეტა... აკვალანგისტებმა ნახეს ნაპირზე... გუჩოს მკლავზე ეძინა...

ზაზა: ჰო, ჰო... გეყოს... ხვალ აი აქ... ამ მაგიდაზე დამხვდეს ის ფარა, რაც გუჩოს აახიეს და მერე ლუნაჩკასა და კულინარას შუა გატყდა... ტვინავ? მონავარდეს კეთილი საქმისათვის დასჭირდა...

ლევანი: რა ფული, ძმაო, რა ფული?! ჰმ... ეგ ვაშკარანი ხელთ როგორ იგდე?!

ზაზა: ხელი გაუშვი ჩემს ვაშკარანს! შენ რომ გგონია... ეგ ის არაა...

ლევანი: რაა? მასუღელებ?! გინდა რომ თვალში ნაცარი შემაყარო?! არა, არა... ეგაა ის, კულინარამ რომ შემაჩენა, როცა მეცხრე კაიუტიდან გამოქცეულები პატრულს ძლივს დაუტყდით... ეხუმრები ასეთ რამეებს?

ზაზა: ლუნაჩკა, ძმაო, უფრო და უფრო აუტანელი ხდება შენი... ხულიგნობა... იცი რაა?! ახლა იწურება ეს სეანსი... ბიჭები ხვალამდე გაცდიან! ტვინავ?

ლევანი: x, y... ტანგენს, კოტანგენს... ლალა და ლალა... ლა... იმ ნაღმებიდან

ყვავილებს ვადნობთ, ვაშკარანში რომ აღმოჩნდა... შინ ძლივსძლივობით მივათრიეთ ხელჩანთა და რას ვხედავთ... ნაღმის ნამსხვრევებით გამოტენილი ყოფილა... მალე სხვა ქვეყნის დროშა იფრიალებს კოდორში... დაინახავ!!! გასკდი გულზე... ხელს არავინ მოგიმართავს! MML-მარკეტინგი ან რაიმე ეგეთი შენით უნდა გაჩითო... ნაღმების ბიზნესში ჩვენ ვერ შეგიყვანთ... Вот тебе и наа... продаются цветы жасмина... Basta! მაშ, ხვალისთვის? ხვალისთვის არა? ხვალისთვის?

ზაზა: ეგ როგორდა?! Цветы жасмина, ეგ როგორდა?

ლევანი: Просто... აქვე... შორიახლო გვაქვს გახსნილი პატარა ცეხი... ჯერ ჯასმინის ყალიბებს ვამზადებთ, მერე ნაღმებს ვადნობთ და საღამოობით შიგ ცხლად ვასხამთ... ხოლო დილაობით... ყვავილები ყალიბებიდან ცივად გადმოგვაქვს... სვეტა ჩალიჩობს ყველაფერს, ხელს უმართავს გუჩოც... შეგრილებულ ჟასმინებს ახლა ის ოქროს სეროფში ავლებს... ვაშრობთ და იალაა... ყვავილებიც მზადაა... ხოლო დილით კი... აქ მოსვლამდე ამ ყვავილებს სვეტოჩკა დააქანებს მშრალ ხიდზე და Чудо, Чудо... природы так прадаются цветы жасмина... გინდა? გინდა შენც ჩაგაბათ ამ MML-მარკეტინგში?

ზაზა: ყველაფერს დააღაგებს დრო... გეჯერა... უკვალოდ არ ჩაივლის ჟასმინისათვის თავდადება! მოკლედ ხვალ... სისხამ დილით აქ გავჩნდები...

ლევანი: რააა? ვნახოთ, ვნახოთ...

ზაზა: продаются цветы жасмина... Птичку жалко...

ლევანი: რაა?

ზაზა: მეცოდება... შორენა...

ლევანი: რააა? ხაარ აზრზე, ძმაო, ხაარ?

ზაზა: რააა?

ლევანი: რა და მაგ ქალბატონს – შორენას, ისე, თვალის ასახვევად აცვია ძაძა... სხვა რამეებსაც ჭორაობენ მაგ ბედუკუღმართზე...

ლევანი მიდის და მონავარდეს ყურში უჩურჩულებს რაღაცას.

ზაზა: ფუი შენს კაცობას... თქვი ხმამაღლა... იქნებ მომესმა...

ზაზა ქამრიდან ამოიღებს ნაგანს და ხელში ატრიალებს, თანაც უყვირის ლევანს...

ზაზა: ან ბოდიში მოიხადე ანდა გაიმეორე ის, რაც წელან მომესმა...

ლევანი დანებების ნიშნად ხელებს მაღლა აღმართავს და ლუღლუღებს, –

ლევანი: Ей богу... ბოდიში არააა... მთვრალი ვიქნებოდი უსათუოდ... ვინ ვისთან კოტრიალობდა კაიუტებში, მხოლოდ ღმერთმა უწყის... მე... მე... არ ვიქნებოდი... то есть... დამნაშავე... ей богу... ეგ ძუკნა შემაცდენდა... ქმარს გლოვობს! მერვეს?! არა, არა...

ჭორია ეგ... იმასაც ჭორაობენ – აქ იმიტომ მოგეჩვია... მალე ალიმენტს მოგთხოვსო... ეგ ღლაპი-მიტო... ვიცი... ჩემი შვილი არაა... ტყუილა გაქვს მაგ ტუტრუცანას იმედი! გვარზე ხტის კვიცი... მაყუთს გაგიჩითავ... მონავარდევ! დამნაშავე მე არა ვარ... არ მესროლო, არ მესროლო...

ზაზა იარაღს კვლავ ქამარში გაიხრის და გამოცრის კბილებიდან, –

ზაზა: შე ბანძო შენა... ყველგან სიმყრალეს ხედავ... ქართველი ქალის ფასი შენ რა იცი...

ლევანი: Тоже мне რა... ქეთევან წამებუღი, ნახე რა ეგეც... ქართლის დედა! მაგ ძუკნის გამო მიმეტებ შე... ცერცეტო?

ზაზა: აზრზე მოდი, ძმაო, აღარ გაბედო... ომში დაჭრილებს კურნავდა ქალბატონი შორენა... იბრძოდა წინა ხაზზე... იცი შენ... ეგ ვინაა?

ლევანი: ვინ დაა... უი... ბოდიში... ტერმინალები ახლა სხვა სისტემაში უნდა გადავართო! მაშ დი ვავტრა... შენც მყევხარ რა ფემინიზმისა და ქალთა მოძრაობის ქომაგი...

ზაზა იღებს საკვიაუს და კაბინეტიდან გასვლას დააპირებს.

ლევანი: ვაშკარანი?! იცი... შენნაირ პაციენტებს მე არ ვმკურნალობ... უფასოდ...

ზაზა ქედმაღლურად გადახედავს ლევანს და ეტყვის, –

ზაზა: დრო, დრო... ყველაფერს დააღაგებს! დრო... შე... გოიმო!

აღუ შემცბარია, მონავარდუ კაბინეტიდან გადის.

ქასმინზე – მეცხრე კაიუტაში

სვეტა და გუჩო ქასმინის მეცხრე კაიუტაში იმყოფებიან. სვეტა რუსული მუსიკის ფონზე თავაშვებული ცეკვავს, ჩერდება და კონიაკს ხვრეკს ბოთლიდან, ხანაც ცდილობს გუჩოს მოეხვიოს. გუჩო ანგარიშითაა გართული, ფეხები მაგიდაზე შემოუწყვია, ფრუტუნებს თავისთვის: „раз, раз... раз, два. раз... два...“ და უდიერად იშორებს სვეტას.

კაიუტის კარზე, შიდა მხრიდან, აბრაა გაკრული წარწერით: ქასმინი, კაიუტა №9.

უცებ კაკუნი ატყდება კარზე. სვეტა გამორთავს მუსიკას. გუჩო ტანთ გადაიცვამს დანომრილ მაისურს – №4, ვეებერთელა საანგარიშოს დებს მაგიდაზე და ღუმს. ხოლო გარედან კი მოისმის ხმა: „откройте, откройте...სახქარო საქქეა! მონავარდემ გამომგზავნა!“ სვეტა ანიშნებს გუჩოს, რომ სიტუაცია დაზვეროს. ის ზღაზვნით მიდის კარებთან, აყურადებს, საჭკვრეტლიდან გარეთ იხედება და მერე ზანტადვე ბრუნდება სვეტასთან. ახლა სვეტა და გუჩო მიმიკებით ლაპარაკობენ, გარედან კი უფრო ხმამაღალი ძახილი მოისმის: „გააღეთ! გააღეთ! ато... поздно будет потом...აქ... მონავარდის ნაკოლითა ვართ მოსულები!“ სვეტა შემცბარია. საწოლს შეასწორებს, ხოლო გუჩო კი საწოლქვეშ დაიწყებს ჩხრეკვას. ახლა ბრახუნია კარებზე. სვეტა წვრილმან ნიეთებს – საფულეს, ბიუტერიას, საბუთებს ხელჩანთაში ჩაყრის, კონიაკის ბოთლსაც ხელს გააყოლებს და თმააბურძგნული, სანახევროდ დედიშობილა იმალება ტანსაცმლის კარადაში. გუჩო კარს ჩარახავს და გულის ჯიბეში საგულდაგულოდ ინახავს გასაღებს. „ფული! ფული!“ ოქრო ან ფულიიი!“ კიჟინითა და ჟივილ-ხივილით მეკობრეები კაიუტის კარებს შემომამტვრევენ. ერთი ნიღბოსანი განსაკუთრებით აქტიურობს, გუჩოს „ლიმონკით“ ემუქრება, წამოუთაქებს კეფაზე და უშვერად მიმართავს:

„შენ რა გაეროს აგენტივით დარჯობილხარ... შე მონავარდის მონავ შენაა... О Боже... რად გინდა ფული? ვიცი, ვიცი, ზედ კრუხებივით ასხედხართ! რაა მერე?! ომი დამთავრდება და მაგის გამო პასუხისგება მოგიწევთ სამხედრო ტრიბუნალზე! სად მეთქიი... სად, სად, სად... სადაა ფარა?“ გუჩო არცოდნის ნიშნად მხრებს იჩეჩავს. „სკალპს აგახეე! სკალპს აგახეე!“ – ყვირის ნიღბოსანი.

სხვა ნიღბოსნები თავდაყირა დააყენებენ კაიუტას – „განძს“ დაეძებენ და დროდადრო უკმაყოფილოდ ჰყვირიან: „ვინც ამათი ნაკოლი მოგვცა, იმის დედაა... არაფერი ჰქონიათ ამ დედააფეთქებულებს!“ ატამანი აგულიანებს თავდამსხმელებს: „ყოჩაღად! ყოჩაღად! ეძებეთ ყველგან... იმუშავეთ და შედეგიც სახეზე იქნებააა!“ უცებ გუჩო ჯიბეებში იწყებს ქექვას. აქტიური მეკობრე განრისხებული ყვირის: „შეხედეთ, რა დღეშია ეს ბუნტისთავი. პარტია არავის შეარჩენს ჩვენს გაბაიბურებას! შარში გაგვხვევს! ხელები შეუკარიით!“ გუჩოს შეუკრავენ ხელებს. „ძულს, ძულს სახელმწიფოს... ჯიბეგაფხეკილი ბუნტარები!“ – ამბობს მთავარი მეკობრე და გუჩოსადმი აგრესიულ მოპყრობას განაგრძობს, – მას დაბლა დააგდებს და ფეხებით შედგება. „გინდა რომ საიქიოს გაგისტუმრო... გინდაა? გინდა?“ გუჩო იატაკზეა გაშხლართული და ხმას არ იღებს. ატამანი დასცქერის მას და უკვირს: „მაინც რისთვის იბრძვი, შე... ქაჯო! ხაარ

აზრზე... მთავარი რააა?“ გუჩო წამოჯდება და ბუტბუტებს: „დე... დე... დეე...“, „რა დე... შე დებილო! – შეჭყვირებს ატამანი. „დე... დე... დემოგრაფია!“ – ამოღერღავს გუჩო. „დემოგრაფია?! არა! სხვაგანაა ძაღლის თავი დამარხული. გინდა? არ გინდა.. პარტიის პირველ ნომრად გაქციო? მაშ...“ – ამბობს ატამანი, ხოლო გუჩო კი ფრუტუნებს ძველებურადვე: „დე... დე... მო... ფუჰ... მონავარდე!“ „მონავარდე?“ - გაიოცებს მეკობრე – „понял, понял... მაგან დამახია ეგ მაყუთი... ცეცხლთან თამაშში... წააგებს!“ – ატამანი კატეგორიულად ამბობს და წამოაყენებს რა გუჩოს, უბრძანებს მას: „ადგილზე იარრრრ!“ გუჩო მარშირებს. „როტააა სდექ!“ – გუჩო ახლაც ემორჩილება ამ ბრძანებასაც, მეკობრე კი განავრძობს: დე... დე... გამოგცლია ჭკუა დიხაც! დე... დემოკრატიისთვის იბრძვის ახლა მთელი საქართველო! იცი? იცი, შე ტუტუცო, რა არის? ჰმ... არაა? დემოკრატიის და თავისუფლების ყადრი შენნაირებმა რა იციან?“ გუჩო ყვირილს იწყებს: „დემოკრატია! დემოკრატია!“ ატამანი კი შესძახებს: „ფარა! ფარა! შე... გოიმო შენა... შე... მესუთე კოლონავ!“ ატამანი დაიბნევა, მერე „მსხვერპლს“ გაუწვდის მალბოროს კოლოფს და დაევაგებით მიმართავს: Кури... сука... ვიცი, კრიშა გყავს... პარტიებს ასე იოლად ამიტომაც იცვლი...“ გუჩოს სურს მოწვევა, მაგრამ რადგანაც ხელები აქვს შებორკილი, ვერ ახერხებს. ატამანი მას თავის ხელით აწვევინებს.

უცებ კაიუტაში ასე 6-7 წლის ბავშვი – მიტო გაჩნდება. ის ციბრუტივით ტრიალებს და კაიუტაში დანავარდობს. განრისხებული მთავარი ყაჩაღი ითხოვს შეველას: „ცენტურიონნო! ფუჰ... ფუჰ... პატრული! პატრული! კუ...ლი...ნარ... მოდი დროზე... ამ ლაწირაკს მიმიხედე... უსათუოდ ის ძუენა... то есть... დედამისი მოგვიგზავნიდა... ვიცი, ვიცი... ჩვენი ავლა-დიდება სურთ აწაპნონ! მიტყიპეთ ეგ ღლაპი და ტუალეტში შეაგდეო!“ კულინარა უსიამოვნოდ ასრულებს მთავარი ბანდიტის ბრძანებას – ატირებული ბავშვი გაჰყავს. უცებ სვეტას ძახილი მოისმის ტანსაცმლის კარადიდან: ატამანი აყურადებს კარადას და იტყვის: „გავგიჟდი მგონია! ეს ყველაფერი... იმან... იმ იდიოტმა... მონავარდემ გამიხალიხა! არ შევარჩენ სამშობლოს დაღატს! გოჯ მიწასაც არავინ არავის შეარჩენს!“ ატამანი ქვითინებს. სვეტა წიხლებით გამოამტვრევს კარადის კარს და იქიდან იღლიაში გაჩრილი კონიაკის ბოთლით, თმაბურძენული და სანახევროდ დელიშობილა გამოდის... „Вот блин!“ – შესძახებს მთავარი მეკობრე. სვეტა ძირს მოისვრის ბოთლს, მიდის ნიღობსანთან და სილას გააწნის, ატამანი კი ხელს აუწევს მას და კაიუტაში ფეხის წვერებზე დაატარებს, თანაც უკიჟინებს: „ищи сука! ато... поздно будет потом... ищи, ищи! На цыпо....чках!“... სვეტა მორჩილად დაეყვება მეკობრეს აქეთ-იქით და თანაც ჰკივის: „Абхазия это Россия! Абхазия это Россия! Россия Грузию не отдаст!!!“ „Отдаст, თუ не отдаст, დავინახავთ მაგასაც!“ – შეეპასუხება ატამანი.

ამასობაში კულინარა და მისი „ნაპარნიკი“ საწოლქვეშ საკვოიავს წააწყდებიან და ნადავლი კაიუტიდან ფეხაკრეფით გააქვთ. ატამანი ანუ ლევანი ნიღაბს ჩამოიხსნის და მოისვრის. სვეტა და გუჩო ყალბი გაცვებით უყურებენ ერთმანეთს. ლევანი რვეერანსს უკეთებს მათ და ამბობს: „აი, ამ გამარჯვებასაც ხელი გამოვკარიი! თქვენი ხუნტრუციცა და უასმინიც... ყელში ამომივიდა... ბარაქალა! ბარაქალა! თუნდაც... ი ნიჯე... ლას-ვეგასში გავუბერო! Pardon! იქ... გარეთ ზეკზე... დამშეული მებრძოლები მელოდებიან! Pardon! Pardon! Честь имею!

ლევანი აკეთებს რვეერანსს და სამხედრო საღმით კაიუტიდან გადის.

სენსი №2
გამოქვაბულში

მონავარდუ და ლევანი, შემოსილნი ველურებივით, გამოქვაბულში იმყოფებიან. ზაზა საბრძოლველად ადჭურვილი, გარშემო უაზროდ იყურება და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეკითხება ლევანს, –

ზაზა: ეეს? ეეს? სადა ვართ?

ლევანი: ჰმ... არ დაგეგვასა ომის შემდგომი გარემო? То же мне რა... Ахилл! ახლა ჰიპნოზის ქვეშ – გამოქვაბულში იმყოფები.

ზაზა: რა არის-მეთქი... აქ?!

ლევანი: შენი... შენი ბრალია ყველაფერი! შენი სტრატეგიული ნიჭი გაფლანგე! რაში?! ააქ... საოკუპაციო მუზეუმი...

ზაზა: სინესტე...

ლევანი: დახუჭე... თვალი დახუჭე და ილაპარაკე, რაც ენაზე მოგადგება... ჰმ... იქნებ რაიმე პონტიანი დაინახო!

ზაზა: რაო? ისიც მეყოფა, რასაც თვალდია ვხედავ! აქ როგორ აღმოვჩნდით?

ლევანი: ტყვედ ჩავუვარდით ოკუპანტს! ის... то есть... იგი... ახლაც აფხაზეთში ბატონობს!

ზაზა: მოუვლის, მოუვლის მონავარდუ! საკუთარ ქვეყანაში გააძევენ... მონატრებს Женушк-ებს... вперед...

ლევანი: სუ...სუ... გესმის? წიკწიკებენ სტალაქტიდები! Урааа... მეორე სენსიც დაიწყო! მორჩები, ოღონდაც... უნდა გაიხსენო... ჩემგან... то есть... რა გინდა?

ზაზა: ახლა არ მცხელა ამისათვის... აქედან გამოსავალს ვეძებ! (ყვირის) ზზზ... ზეზვა! ზეზვა!

ლევანი: ზეზვა? ჰმ... პიროვნების გაორება გჭირს! გამთლიანდები და გახვალ, ოღონდაც...

ზაზა: გაორდა ქვეყანა, გასამდა! გავამთლიანებთ! აღვადგენთ! აფხაზეთი! აფხაზეთი! ზზზ...

ლევანი: რა ზეზვა, ძმაო, რა ზეზვა?! გაგიუდი? შენნ... О Боже... ერთი გარეკილი მონავარდუ ხარ! აფხაზეთი? აი, მანდედან გაგტეხა მტერმა წელში! ახლა იქ ფეხს ველარავინ ადგამს! მაიცაა...

ლევანი საღამურზე დაკვრითა და ხელის ქნევით გამოქვაბულში მოუხმობს ვილაცას. ქვაბულში წითლადშემოსილი ვოგონები მოფარფატებენ. მათ ცეკვა-ცეკვით წინ მოუძღვება მიტო. ის მიუახლოვდება მონავარდუს და მიუგებს, –

მიტო: მდელი გადაჯეგა ოკუპანტმა! აქედან აფხაზეთში მიმავალი გზა ჩაუხერგავს!

ზაზა: სადააა?

ლევანი: თვლემს!

ზაზა: სერს დააყრის მონავარდუ!

ასულები მიფარფატებენ გასასვლელამდე და უკან ბრუნდებიან, შინის გზას ვერ აგნებენ. ლევანი კი საღამურზე „ჭრელო პეპელას“ მელოდიას აჟღერებს. უცებ გასასვლელთან მიტო შეეჩხება ოკუპანტს და ყვირის, –

მიტო: ერთი ამ ტრანსვესტიტს დამიხედეთ! სასწრაფოდ გავაძევოთ! აქ ვინ მოუხმო?!
მიტო დამპყრობელს კვარს მიანათებს. ოკუპანტი ზარბაზნის ლულაზე თავმიბჯენილი არხეინად თვლემს. მიტო მივარდება მას, ანჯღრევს და უყვირის, –

მიტო: Вон от сюда... вон... вон... თავზე დაგეჭვება მთელი ქვეყანა, აქედან თუ არ დატყდები!

ოკუპანტი თვლემას განაგრძობს.

ლევანი: მიტო, შვილო, შეიშალე?! ეგ... ჰიპნოზის განაწესში არ გვიწერია! შეიღვიძებს და განრისხდება! ყველა გუნდრუკს უკმევს... то есть... მაგას, იმიტომ რომ ეჭვდებათ... то есть... ნავთობში...

ასულები და მიტო ახლა დაეძებენ რაღაცას; ბაგირს იპოვნინან, ზარბაზანს მოაბამენ და ოკუპანტი გამოქვაბულიდან ძლივს-ძლივობით გაჰყავთ, თავადაც გადიან. მცირე ხანში დაბრუნდება დამპყრობელი და იტყვის, –

ოკუპანტი: Уйду... только... вы не должны вступить в НАТО... за... за великую Россию...

ლევანი ვეებერთელა ყანწს შეავსებს, გაუწვდის ზაზას და ამბობს, –

ლევანი: მოდი, დე... დე... დეოკუპაციისა შევსვით!

მონაგარდე გამოცლის ყანწს, ბარბაცით ტაბლას მიუჯდება და ღიღინებს.

ლევანი: ისე... სახიფათოა, ხომ იცი... რომ დაბრუნდეს?!

ზაზა: დავიბრუნებთ, დავიბრუნებთ! აფხაზეთს უსათუოდ დავიბრუნებთ!

ლევანი: ააა... გინდააა... დაიბრუნო... ჰმ... არკადია? მალულად გზვერავდი! იქ შენ ზეზვა გერქვა! იმას კი... О Боже... Чудо, чудо природы... მზიას ეძახდნენ!

ზაზა: მზიას?! სადა ვარ?! შევცდი! ფეხი არ უნდა შემომეღვა ამ მყრალ ქვაბულში! მზია, მზიააა...

ლევანი: ააა... მზიასთან უბრუნველი კუნტრუში მოგინდა?! ეგეც ნახე რა... то есть... ქალი-ნიმფა?! ჰმ... მაიცა, მაინცა... თავს დააღწევ! ვიპოვნით გამოსავალს, ოღონდაც... აღარაფერი მომთხოვო! სტოპ! სტოპ! უცქირე შენს თავს გარედან! დატკბი! სტოპ!

ლევანი უსტვენს და გამოქვაბულში ველურად შემოსილი ზეზვა და მზია შემორბიან, ეალერსებიან ერთმანეთს. უცებ გაისმება ჭექა-ქუხილი...

ზაზა: ძველ დროს დაუბრუნე! ძველ დროს დაუბრუნე! რა უნდათ ააქ?

ლევანი: თავს კარგავ, ძმაო! შენნაირი შლეგი პაციენტი ჯერ არ მყოლია!

მზია და ზეზვა თავქუდმოგლეჯილნი იქაურობას ტოვებენ.

ლევანი: რაა მერე?! შეიპყრობს ოკუპანტი და Чудо, чудо природы... მათი ვეებერთელა, ნეანდერტალური ძვლებით ჟონგლიორივით... თამაშს დაიწყებს.

სანახევრო მთვლემარე მონაგარდე ამოღერდავს, –

ზაზა: შენდობას გვთხოვენ მოკლულები! მზია, მზია, მზიააა...

ზაზა მითვლემს.

ლევანი: ხედავთ?! ეს ოინბაზიც ძილს მიეცა! რაა მერე?! ჰმ, ოდითგანვე ბელფეგორი დევნიდა... ომის ღვთაება!

ლევანი გამოქვაბულის კედელზე დახატულ ვეებერთელა გველეშაპს კვარს მიანათებს და განაგრძობს, –

ლევანი: აი, ამ გველგესლამ დააწერა ამ ცერცეტს მზიაცა და აფ... აფ... აფხაზეთიც! ყველას ყელში ჰქონდა ამოსული მდელოზე მზია-ზეზვას... უ... უ... უზზზზრუნ ველი კუნტრუში! შუღლი ჩამოვარდა და გესლი დაინთხა! ეჰ... ეუჟენია... მზიას თმები კი კამკამებდნენ მთვარეულ შუქში! მზია, მზია...

უეცრად ჭექა-ქუხილის ხმა მოისმის. ხმა მიწყდება და ქვაბულში თეთრად შემოსლი მზია შემორბის. იქვე ახლოდან მოისმის ზეზვას სასოწარკვეთილი შეძახილები. ზეზვა ნადირის შესაპრყობად დაგებულ ხაფანგშია ჩავარდნილი და შევლას ითხოვს.

მზია იპოვნის გამოსავალს – ზეზვას მისი გრძელი, დაწნული თმით მთხრებლიდან ამოიყვანს. მზია და ზეზვა სიყვარულით შესცივინებენ ერთმანეთს. ლევანი შურით ზვერაგს მათ და გველს მიუსევს. მზია გარბის. ზეზვა იხიბლება გველის სილამაზით და მიიჩვევს, რძით გამოკვებავს. სასოწარკვეთილი მზია შერბის ქვაბულში და სპონტანურად კედელზე გველეშაპს ხატავს, აკვირდება ნამუშევარს შეშინებული და სვამს შეკითხვებს, –

მზია: ეს? ეს? ეს რა არის?

ჭექა-ქუხილია, ისევ და ისევ, მონავარდუ და ლევანი მოსჩანან, ისინი ერთმანეთთან კონფლიქტში შედიან - ერთხანს ფარეკაობენ კიდევ. ლევანს საბრძოლო იარაღი დაუვარდება, ზაზა გაუწვდის, ლევანი კი შიშნეულად ხტის და იძახის, –

ლევანი: მზია?! ჰოპლა, ჰოპლა! შენ რა, გაგიჟდი?! ჭკუიდან აიწიე?! ჩვენს შორის არაფერი მომხდარა! დაიშალა... ჰმ... ჰმ... то есть... მზიას პირველსახე... клянусь Богом... ეგ სვეტააა, ჩიტის რძესაც რომ არ მაკლებს! ტყის თაფლითა და თხის თბილი რძით მკვებავს! არც ხორცეული და თევზეული მაკლია! понял?! ჩინებული კუხარკაა!

მონავარდუ კვლავაც საბრძოლოდ აგულიანებს ლევანს, –

ზაზა: შემებრძოლე! შემებრძოლე! თუ ბიჭი ხარ, შემებრძოლე...

ლევანი: მოიცა რაა... სამოქალაქო საზოგადოება შენთან ერთად უნდა ვაშენოლო? არაა... ვერ მოგართვი!

ზაზა: შენ, შენა ხარ დამნაშავე... მზიასაც შენ აუბნიე თავგზა და სვეტასაც! ბიჭები დანადმულ ველზე განდევნე! ბომბდამშენი! უასმინი! იარაღით უკანონო ვაჭრობაშიც ხომ არ მიგიძლოდა ბრალი?! ვინ გატრუპა... მერვე?

ლევანი: რა მერვე, ძმაო, გაგიჟდი... ეტყობა ჰიპნოზმა გაგიარა...

ზაზა: გადამწყვევტი ბრძოლა იყო ტამიშთან.. შენ კი... შენნ...

ლევანი: დავანახებ შენნაირ გორსალებს... то есть... где раки зимуют... ხომ იცი...

ლევანი იარაღს მოიძარჯვებს. მონავარდუ კი ხელს დაადებს გამოქვაბულის კედელზე დახატულ გველეშაპს და ყვირის, –

ზაზა: ბელფეგორი... შენა ხარ!

ლევანი ახარხარდება.

ლევანი: რამსები აგერია! ფელდმარშალი!

ზაზა: ვინ ფელდმარშალი?!

ლევანი: სოხუმთან გადამწყვევტი ბრძოლისას უკანდახევის ბრძანება რომ გასცა! სახელმწიფოს... ძულს... შენნაირი არიფები! იქ არ მიხვედი... მუხასთან! ბიჭები გულანთებული გელოდებოდნენ! სხვა რა გზა ჰქონდათ?! ფელდმარშლის ბრძანებით უკან დაიხიეს... დანადმულმა ველმა... то есть. უასმინმა... იფეთქა... შენ გადარჩი! მაშინ, მაშინ სად იყავი, ძმაო, თქვი... თუ მართლა კაი კაცი ხარ?!

მონავარდუ დაფიქრდება, ლევანი კი განავრძობს, –

ლევანი: პითონმა შეგაფერხა?! თეთრ-მოვარდისფრომ? მწვანეთვალეებამ? ეგაა შენი ბედისწერა! სიძველედ მოგვევლინა მაშინაც! მოიხიბლე, გაგანია ომის დროს... ჩუმ-ჩუმად... რძით ჰკვებავდი... ბიჭები კი პანტა-პუნტით იხოცებოდნენ... ის ტანთ მოგეჭდო – თეთრ-მოვარდისფრო, მწვანეთვალეება და მუხასთან ვერ მიხვედი! რაა მერე?! ბიჭები გადააგდე!!! შენით მადლიერმა ქვეწარმავალმა იგუმანა, რაც მოხდებოდა და არ გაგიშვა იქ – გადამწყვევტი ბრძოლაში და მერე... მიკლაკნილ-მოკლაკნილი გზას

გაუყვია... გიფეშქაშა რაღაც... цвeтoк жасминa... მეორე დღით... სასთუმალზე დაგხვდა!
მონვარდე ამრეზით უყურებს ლევანს.

ზაზა: ის ფარა ხვალ... ფსიქოთერაპევტთან უნდა დამხვედეს მაგიდაზე! საქმის გახსნას... მესამე სეანსიც დასჭირდება!

ლევანი უსიამოვნოდ აქნევს თავს. მონვარდე გამოქვაბულიდან ვადის.

ლევანი: ხვალ! ხვალ! ხვალ! მე რომ არ ვყოლოდი, ტრუპი იქნებოდა ეს საბრალო... რაიმეს უსათუოდ მოვიფიქრებ ხვალისთვის!

განათება ქრება.

სანახაობრივი სცენა №2
გამოქვაბულთან – ველზე

სანახაობა წარმოდგენილია გამოქვაბულთან, ველზე. ტყის პირას განმარტოებით იზრდება მუხა. ტყიდან ფრინველის ჭიკჭიკი მოისმის. ბუჩქებში შარი-შური ატყდება, ისმის ლევანის ხმა, –

ლევანი: იმ უტვინოზე ფიქრისაგან, ლამისაა თავი გამისკდეს! მძევალი ხარ ჩემი, გუჩო... გუჩოლო... სულის მოთქმა მინდა შე... შუსტრიაკო... მიდი რა... ერთი მასტირკაც შეაბზრიალე!

ერთხანს გაურკვეველი ხმაური ისმის ბუჩქებიდან. მცირე ხნის შემდეგ გუჩო თავს ამოყოფს, მერე გამოდის და გარემოს ზვერაგვს. გუჩო, დაინახავს რა ველზე დასვენებულ მებრძოლს, შეჰყვირებს, –

გუჩო: აფსუს... გაბახდა! კაცი არ ჩანდა მაგის მომრევი... Луночка... очнись... ვუშველოთ...

ლევანი გამობრძანდება ბუჩქებიდან, ხოლო გუჩო მირბის მებრძოლთან, ერთხანს აკვირდება, მერე თავს დაადებს ველზე და პულსს უსინჯავს.

გუჩო: Не дай Бог, не дай Бог... შენ არ იბახდი, Луначка... ატამანოლო... მაგის ცოცხლად შეპყრობა გვაქვს დავალებული, ტრუპი ვის რაში უნდაო... ჰმ... მონავარდე! (ცრემლებს იმშრალებს) ორთავენი აფხაზეთის აბორიგენები ვიყავით!

ლევანი გაიბახის, –

ლევანი: ცენტურიონნო! ფუჰ... პატრულნოლო! ვიღუპებით, მგონია! ახია მაგაზე! военный преступник-ებს გვეძახდა!

გუჩო მონავარდის ცხედართან მარშირებს. „როტაა... სდექ!“ – მას ლევანი უბრძანებს. ახლა სამხედრო მისაღმებას გამოხატავს გუჩო.

ლევანი: თავს დაიძვრენდა! არ იქნება მკვდარი! წესიერი მეომრები ეცემიან ბრძოლის ველზე... მერვე! მეცხრე! ასმეცამეტე! ეგ კი არასოდეს ემორჩილებოდა ფელდმარშალს. ახია... ესვენოს ასე... უმოძრაოდ. ერთიც შესძახოს: „ჰკა, ჰკა... ოკუპანტს“ ო, ჰმ... ერთი მისებურად შეინავარდოს! მაგან ჩაფუშა პანტერა-გეგმა.

ლევანი ერთხანს ჯიბეებს უჩხრეკს მონავარდეს, – მერე ქამრიდან ნაგანს ამოაძრობს, –

ლევანი: არსენალის მაყუთს ჭამდა და მაინც არაფერი უჭყავის! Вот тебе и на... ასეთია ჩვენი ბედი! Нечего... მოვიფიქრებ რაღაცას... ფუჰ... ეგეთები ასე იოლად ვერ თმობენ სიცოცხლეს... საძილე ჭურვს მოახვედრებდა ოკუპანტი!

გუჩო: Ужассс! Ужассс... რაშია საქმე?

ლევანი: ტრუპი რომ აღმოჩნდეს?! ცენტურიონნო! გავისროკებით! ვის რაში უნდა ეგ... ასეთი, უიღბლო და... მაწანწალა?! აკონტროლე! აკონტროლე! დაუშინე რეზინის ტყვიები! გუჩო!

გუჩო ხელებს ასავსავენს.

გუჩო: Не могууу... не могууу...

ლევანი: დაუშინე-მეთქი... ტყვიები! ხომ უნდა ვიცოდე – არის თუ არა ტრუპიი?!
გუჩო გაიქცევა. ლევანი უკან მოაბრუნებს მას და უყვირის, –

ლევანი: რეებს მიბედავ! მე რომ არა... დაიბრიდებოდი უახმინზე! გახსოვს? შეასხი-მეთქი წყლის ჭავლი, თორემ სახელმწიფო გადატრიალებას მოაწყობს და მაგის

გამო... ჩვენც ჩაგვსვამენ!

გუჩო მონავარდეს „ფლიაშკიდან“ უსიამოვნოდ შეაპკურებს წყალს, მერე ჯიბიდან „რაგატკას“ ამოიღებს, უმიზნებს მონავარდეს, მაგრამ სროლას ვერ უბედავს. მოულოდნელად გამოქვაბულიდან ველურივით შემოსილი სვეტა გამორბის და გაჰყვირის, –

სვეტა: Сволочи, как вам не стыдно?!

სვეტა ლევანს და გუჩოსაც სილას გააწნავს, მერე მონავარდესთან მირბის, გულზე თავს დაადებს, პულსს უსინჯავს, ქვითინით ამბობს, –

სვეტა: Люди добрые... жив... он жив... но еле дышет!

ლევანი და გუჩო ანჯღრევენ მონავარდეს. ის უმოძრაოა, სვეტა კი ჩამუხლული ქვითინს განაგრძობს.

სვეტა: Не умирай за... за.... чка! На хрен мне жизнь... без тебя!

ამასობაში ზაზა მოცოცხლებას იწყებს, – ხელ-ფეხს შეარხევს, იძახის: „წყალი, წყალი!“

ლევანი: წყალსაც წაუღია ეს ყველაფერი! წყალსაც წაუღია! ერთი სიტყვაც არ დაუჯეროთ! ჩემი თვალით ვნახე... Вчера... в пещере еле на ногах стоял!

ზაზა კი გაჰყვირის, –

ზაზა: აფხაზეთისთვის! აფხაზეთისთვის! მონავარდე ყველას საკუთარ ადგილზე მოაჯენს!

გუჩო: მე რა ვქნა?

უცებ საიდანღაც შორენა გაჩნდება და შეძახილებით მონავარდესთან მიდის, –

შორენა: გულს ნუ გაიტეხ, მონავარდე! ყველაფერი წინაა: წინ დიდი გამარჯვება გველის!

სენსი №3

მონავარდე

ლევანი კაბინეტშია და გაიძახის, –

ლევანი: ღირსია... ვათოხლე! ასეთმა ტლუმ, ასეთმა... О Боже... პირში ხალაგამოვლებულმა... ჰაერში აინავარდოს! (ხტის) ჰოპლა! ჰოპლა! ვნავარდობ მე! ნავარდობს ის! ნავარდობს მთელი ქვეყანა! ჰმ... სულ არ ყოფილა ძნელი!

ფსიქოთერაპევტი სკამზე უცებ ზახას საკვლიაჟს შენიშნავს.

ლევანი: Сволочь, сволочь, он сволочь... ხედავთ?! ეს ჯღანი ხანთა მე რაღად მინდაა? უნდა მოვიფიქრო რაიმე... для страховки! ლა... ლა ლა... მობრუნდება თავისი ავლადიდების წასაღებად!

ალუ ფეხაკრეფით უახლოვდება ვაშკარანს, - ანჯღრევს, ამოწმებს, წონის და ჰაერში აავლებს, მერე აიღებს იატაკიდან და ფრთხილად სკამზე ჩამოაღებს, –

ლევანი: Пока рано! ჯერ მაქვს... დრო! *ფსიქოთერაპევტი ხელის კანკალით გამოადებს მაგიდის უჯრას, სწრაფადვე მიხურავს და მერე ხარაზავს კაბინეტს, –*

ლევანი: Я ему покажу... где раки зимуют...

ალუ რაღაც პაკეტს ამოიღებს უჯრიდან და გახსნის; ჯერ ფხვნილს დაყნოსავს და მას „უასმინის ჩაის“ შეურევს. ალუ საგულდაგულოდ ანჯღრევს ბოთლს და მიქსტურას გემოს გაუსინჯავს.

ლევანი: Успокойся, успокойся... (გულზე თითს იღებს) აქაა ყველაფერი აღნუსხული! მაგას რეაქტიული ჭურვებისთვის... ფული სჭირდება! Все один хрен... მე თავს ვიცავ! მაიცა... მაიცა... ალბათ, საკვლიაჟში რაღაც ეგეთი გადამალა!

ალუ საკვლიაჟის გაღებას ცდილობს, ღონეს არ იშურებს და ბოლოს... რის ვაივაგლახით გააღებს ხელჩანთას, ჯერ შიგ იქექება და ყვირის, –

ლევანი: Чудо, чудо... припроды... ვაა... ეს რა არის?! ეგ გაბღენბილი... გიჟია მართლა! На хрен мне это нужно?! Подумаешь! მომინდომა აქ ბუნტი! თუ ბიჭია... ბოდრუმში ინავარდოს ან სადმე სხვაგან!

ლევანს ხანტიდან ვეებერთელა დეკორაციული ყვავილი გადმოაქვს და გაჰყვირის, –

ლევანი: Цветок жасмина... აი, ასე უნდოდათ მაგათ... აფხაზეთის ომის მოგება!

ახლა ალუ ყვავილს ხანთაში აბრუნებს. ჩაის კოვზიც შეხვრევს უასმინის ჩაის, მერე ფაცი-ფუცით ვაშკარანიდან რაღაც გრაგნილი ამოაქვს, –

ლევანი: О Боже... რას გავს ეეს! ეტყობა... ვიღაცამ...რაღაც პონტიანი უანდერძა! მიფრთხილდით!

ალუ დამარცვლით კითხულობს, –

ლევანი: ჰა-ერ-ში... მო-ნა-ვარ-დე... Оболденно... посмотрим, посмотрим... ეგ გარეკილი რას მიპირებდა!

ფსიქოთერაპევტი კატეგორიულად და ხმამაღლა იწყებს კითხვას, –

ლევანი: ჰა-ერ-ში... მო-ნა-ვარ-დე...

1) მე, ჰაერში მონავარდე, საქართველოს გასამთლიანებლად ვიბრძვი, თავდასაცველად. მონავარდეთა იარაღით აღჭურვაა საჭირო! ყოველი მონავარდე სამშობლოს ხსნის იდეამ უნდა განმსჭვალოს.

2) მონავარდეებს ძველ შეცდომათა დასაძლევად ისტორიის შესწავლა ევალებათ!

3) დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ჟინმა მონავარდეებში ბრძოლის ჟინი უნდა აღძრას!

4) ომის დამნაშავენი უნდა განეიტრალებინ, რათა მათ არ მოუნდეთ რევანში. მტრობა ქვეყნის მოღიანობისთვისაა საზიანო!

წაიკითხავს რა გრავნილს, ფსიქოთერაპევტი ერთხანს ხმას არ იღებს. ის გასაღებით კაბინეტის კარს გახსნის, მაგიდას მიუჯდება და ელოდება მონავარდეს... და აი – მონავარდეც ბრუნდება.

ზაზა, შემოსვლისთანავე, გულის ჯიბიდან ამოიღებს ფულის დასტას და ჰაერში მოისვრის, –

ზაზა: ჰმ... ეს ყალბი ფული უკან წაიდე! კურდღელს თავს არ დააგლეჯინებს მონავარდე!

აღუ აედევნება ჰაერში მოფარფატე ბანკნოტებს; შეაგროვებს ფულს და იტყვის, –

ლევანი: Ей Бог... დამნაშავე მე არა ვარ! ღმერთს გეფიცები... მინდოდა საფრთხე ამეცილებინა შენთვის...

ზაზა: შე ხამო, შენა... შენი შავი ფული რაში გვჭირდება! აქ სხვა საქმეზე მოვედი...

ლევანი შეცბება და ყვირის, –

ლევანი: валяй от сюда... валяй... валяй...

ზაზა: შენი დაბრედილია... მერვე!

ლევანი: მერვე? не помню... არც შენ ხარ ანგელოზი... სისხლის ასაღებად მოხვედი?!

ლევანი ჭიქაში „უასმინის ჩაის“ ჩამოასხამს, გაუწვდის ზაზას და ლულულებს, –

ლევანი: на, на... пей...

ზაზა მოხვრებს მიქსტურას, უსიამოვნოდ იშმუშნება და ამბობს, –

ზაზა: შენთვის... აი, ეს მინდოდა მეთქვა!

ლევანი: ტყუილია ეგ... შენ რა იცი?!

ზაზა: ეგ... ეგ იყო... შენი შავ-ბნელი საქმეების მოწმე!

ლევანი: დასპაკონდი, გეყოს! გეყოს!

ახლა მონავარდე გაუწვდის ლევანს ცარიელ ჭიქას; აღუ მიქსტურას ჩამოასხამს, ზაზა გადაჰკრავს, ლევანი კი ლულულებს, –

ლევანი: Это уж слишком, не дай Бог... რაც გინდა ის მიყავი... გამოგეცლება ლიბიდო...

ზაზა წამოდგება და რეტდასხმულივით ლაპარაკობს, –

ზაზა: ღმერთო დიდებულო! ეს ომის, – სატანისეული რისხვით დაუნდობელი, სისხლგაუმძღარი ჯოჯოხეთი... ვინ მოიტანა? წარსულიდან ნამემკვიდრევი მანკიერებით, გაუტანლობითა და სადისტური მიდრეკილებებით აღსავსე ეს ცოდვილი ცხოვრება ვინ დანერგა?! ხოლო... ზნეობრიობა და სულიერება ისე გათელიდა, რომ გამხდარა ეშმაკთა კერძი! იქ ყველაფერი ბრუნავს ერთ დიდ, ცოდვის გულისამრევად აშმორებულ მორევად! დაუნდობლობა, ძმათა კვლა, დალატი, სისასტიკე... ამყაყებული, ბლანტი ჭაობის ზედაპირზეა თავმოყრილი და გამოაშკარავებული, სამზეოზეა გამოტანილი და ტივიტეებს... ხითხითებს და იმუქრება: სიხარბე და ანგარება, ძალაუფლების შენარჩუნების ჟინი და დალატი! ფული... კომფორტი... ნარკოტიკი... პირადი

კეთილდღეობისადმი მისწრაფება, რისი შედეგიც ყოველთვის ერთია – გარდაუვალი დაცემაა! ო, ბიჭებო, თქვენ დიადი გმირები ხართ, საქართველოს გმირები! დაცემაა... დაცემაა...

ზაზა ცორტმანებს, ის სკამზე ჩამოჯდება და უღონოდ მაგიდაზე ჩამოდებს თავს. ალუ შემცბარია, – ის ერთხანს პულსს უსინჯავს მონავარდეს, ყოყმანობს... მერე ბოთლიდან გადაღვრის უასმინის ჩაის, ბოთლს საგულდაგულოდ გამორეცხავს, მაგიდასთან დაღონებული ჩამოჯდება და ქვითინებს, მერე კი დასწვდება მობილურს და სადღაც რეკავს, –

ლევანი: სასწრაფოა? მონავარდეს ცუდად! მგონი გაიტრუპა! ей Бог, ძმათა კვლა მე არ მნდომებია!!! (ფლიკეინებს)

ფინალი
ახალი ჟასმინი

უკვე თმაშევერცხლილი ლევანი სასაფლაოზეა, – ჩამომჯდარა ვეებერთელა ლოდზე. საფლავთან ბორცვზე ეპიტაფიაა წამომართული – მონავარდე №8. ხოლო იქიდან ხელმარჯვნივ კი აღმართულია სხვა ეპიტაფიებიც: №2, №3, №4.... – „გმირულად დაცემულნი აფხაზეთის ომში“.

აღუ მუშტით ცრემლებს იმშრალებს, – მონავარდეს მისტირის, –

ლევანი: გმირო, გმირო... ჩაგრულო, ბუნტისთავო! აგერ... უკვე მეოცე წელია, რაც სოხუმი დაეცა, რაც შენ მიწას მიგაბარეთ! რა შეიცვალა? დამეძებენ და დამეძებენ! მიპოვნონ! ვიცო, ვიცო... შენ მანდედანაც მიფარავ! ხაარ მანდ?! ხაარ? ხაარ? ლუნაჩკას უნდა, რომ გაცნობოს – ახალი ჟასმინი აიგოლო! Прием, прием... გაზეთიდან შევიტყვე... იმ ღლაპმა – მიტომ ააშენა... ეს რომ მეთქვა შენთვის, ამიტომ მოვედი!

აღუ ქოთნით დეკორატიულ ჟასმინის ყვავილს ჩამოდგამს მონავარდის საფლავზე.

ლევანი: არამი, არამი ყოფილიყოს შენთვის ეს ჟასმინი! შენია ეგ! რაც გერგებოდა, ის მიიღე! სიცოცხლე არ გინდოდა! ბოლოს... უცნაურად აგიტანა წერამ! აფ... აფხა... ზეთის იარაღით დაბრუნება მოგინდა?! მე რაა მანდედან?! ვარ ახლა ასე უშენოდ და ეული... (ზღუქუნებს) შენი გატრუპვა... О Боже... მე... არ მნდომებია!

უცებ ატყდება ჭექა-ქუხილი, ელავს. აღუ შიშნეულად წამოხტება – „ჰოპლა!“ – ერთს შესძახებს და ზეცისაკენ აღმართავს ხელებს, გაიძახის, –

ლევანი: We trust in God! We trust in God! მემუქრებით?! ყველაფერი მონავარდემ ჩაშალა! ვერც მცირე ბიზნესის განვითარების გეგმა დასახა და ვერც პენსიების საარსებო მინიმუმამდე გაზრდის პირობა დადო! ესუძრებით ასეთ... то есть... რაიმეს?!
ქუხს კვლავაც, ლევანი კი განაგრძობს, –

ლევანი: მე კი მას... კერძო სექტორის გა...გაძლიერება შევთავაზე... გადმოსაბირებლად გლეხებისათვის მინდოდა დამერიგებინა მიწები... არ შეისმინა! ანთებული იყო შურისძიებით!

ვაწვიმდება. სიშორიდან სამკლოვიარო მარშის ჰანგები მოისმის, ნელ-ნელა სასაფლაოს უახლოვდება მსვლელობა. ანგლო-საქსონურად შემოსილ სვეტასა და გუჩოს წინ აღმირლის ფორმაში გამოწკეპილი მიტო მოუძღვის. თითქოსდა მიტოს არ შეტყობია დროის მსვლელობა, – ვიზუალურად ის ბავშვია ისევ-ტანდაბალი და ლოყებდაუღაჟა. სვეტა და გუჩო გვირგვინებს ჩამოდებენ საფლავზე, – დასტირიან მონავარდეს. აი – ჩასაბერი და დასარტყამი ინსტრუმენტების მარშიც მიწყდება და მიტო გამოხატავს სამხედრო საღამს, თან გაჰყვირის, –

მიტო: არის! არიის, აღსრულდააა! აფხაზეთის დასაბრუნებლად აგებულია ახალი ჟასმინიიი! Ураа... Ураа... Ураа...

აღუ ადგილიდან წამოხტება და ისიც ყვირის, –

ლევანი: Sieg-heil! Sieg-heil!ვაშაა... ვაშაა... ჩვენს ახალ ჟასმინელებს... ვაშააა...

ახლა ლევანი ჩამოსართმევად ხელს გაუწვდის მიტოს... მიტო აინუნშიაც არ ავდებს მას.

ლევანი: შვილო, მეცო... ძლივს არ გნახეე... ისე... არ შეცვლილხარ, ხომ იცი... ისევ ისეთივე Schokoladen-baby ხარ ჩემთვის! ჰმ... რა თავს იგდებ? ბებერი მამაშენი...

ვერ მიცანი?! მაიცა... მაიცა... ოღონდაც ფული არ მთხოვო! მო... მო... მონავარდე შენი ალიმენტის მაყუთით მივაბარეთ მიწას.

ყველანი მონავარდეს დასტირიან და ლევანს არ უსმენენ. ალუ კი განაგრძობს, –

ლევანი: ჰმ... ერთი ამ ბეზბოქნიკებს დამიხედეთ! ვერც კი მიცნეს! მეცო, მეცოლოო... არ გეყურება? თქვენიანი ვარ-მეთქი, ხომ გაიგე, თქვენიანი... შენთვის, ახალი ჟასმინისთვის მე... მე... ახლა შევასრულებ ნებისმიერ... то есть... ახალ... სა... სადაზვერვო ოპერაციას! ჩვენ... აფხაზეთი ერთად უნდა დავიბრუნოთ! ვაშააა, ვაშაა, ვაშააა... დიდება... ჩვენს ახალ ჟასმინს, ჩვენს ახალ აგნლო-საქსონურ ბედნიერებას... დიდებაა!

ლევანს ყურადღებას არც ამჯერად აქცევენ. სვეტა გამობრუნდება მონავარდის საფლავიდან და იტყვის:

სვეტა: Господи! Упокой его душу... ეჰ... მონავარდე! Жалко, жалко.... боролся за общую родину и погиб... как герой!

ლევანი ფრუტუნებს, –

ლევანი: ერთი დამაცადონ! უსათუოდ მოვიფიქრებ რაღაცას!

მიტო შორეთს გასცქერის ჭოგრიტიდან, გუჩო კი მიმართავს სვეტას, –

გუჩო: Ужас, ужас! ვის რა უნდა, ვერაფერი გავიგე! ვიცი... у нас впереди огромное жасминовое счастье... Урааа....

მიტო ახალ ჟასმინელებს აგულიანებს და ისინი ერთხმად გუგუნებენ, –

მიტო, გუჩო, სვეტა: დიდება ერთიან საქართველოს! დიდება აფხაზეთის ომში დაცემულთა სულებს! დიდება ახალ ჟასმინს! მონავარდის ნათელ ხსოვნას – დიდებააა! Sieg-heil! Sieg-heil!

ეს შეძახილები დააფრთხობს ალუს და ის ახალი ჟასმინელების გაძევებას შეეცდება, –

ლევანი: Вон отсюда... вон... вон... აქაურობას გაეცალეთ! ცენტურიონნო... ბელადთა მემკვიდრენო... მიშველეთ!

სვეტა დაჟინებით ეკითხება ლევანს, –

სვეტა: Кто виновен? кто? кто?

გუჩო მხრებს იხეჩავს.

გუჩო: ჩვენ... თვითგადასარჩენად... ვიომებთ! Оболдею, оболдею...

მიტო შემცბარია, ხელიდან გაუვარდება ჭოგრიტი. იგი თანამებრძოლებს განგაშის ტონით მიმართავს, –

მიტო: მორჩით! ეგ... რიუა ბაზარი... გეყოთ! საშინელება დავინახე! ოხშივარი სდის ჩვენს ახალ ჟასმინს! ახალი ოკუპანტი გარს ეხვევა! прием... არც მაგათ... არც ჩვენ... ტაიმერს ჩავრთავთ! ახალი ოკუპანტი ჩვენს ახალ ჟასმინს ხელთ ვერ იგდებს! აქაურობას გაეცალეთ...

სვეტა: Уйдем, уйдем... только... они должны помнить... что... у нас двухсотлетняя общая история!

გუჩო: დროზე... ამ საგიჟეთს უნდა დაუტყდეს! Виновен кто?

მიტო სტენდების გაყოლებაზე მავთულს გააბამს, – თანაც აღშფოთებით იძახის, –

მიტო: ჩვენს ძირძველ მიწას მტრის დამქაშები ხელთ ვერ იგდებენ! ჩვენს ახალ ჟასმინს ვერ მივართმევთ ახალ ოკუპანტს! ავაფეთქოთ! ბორტოან, ბორტოან! ყველანი ბორტოან... წუხელ მესსერშმიტიც რაღაც ყურისწამლებად ზუზუნებდა...

ლევანი: სახლში მინდაა... მე იქიდან მოგიმართავთ ხელს.

სვეტა ალუს უჯავრდება, –

სვეტა: შეიპკარით ეგ კაჯი, ეგა... ერთი გემოზე მიტკიპეთ... მაგან აურ-დაურია ყველაფერი! მონავარდე გამიტრუბა.

მიტო: მონავარდე? Заткни глотку! ეგ მერე, მერე! ახლა მალე ახალმა უასმინმა უნდა იფეთქოს:

განრისხებული სვეტა ლევანის მისამართით მოუწოდებს გუჩოს, –

სვეტა: Нападай, нападай... бей его, бей... ომის ბელფეგორია ეგე...

ლევანი თავს იცავს და იძახის, –

ლევანი: ცენტურიონნო! ისევ თქვენიანი გავხდი... თქვენიანიი...

მიტო: ახალი მონავარდე... ყველას თავის ადგილს მიუჩენს!

ლევანი გააკვირვებით იჩეხავს მხრებს, არაადეკვატურად იქცევა, ადგილზე ხტის და რალაცას ბუტბუტებს.

ისევ ქუხილია. სვეტა და გუჩო ხელიხელჩაკიდებულები გარბიან. ლევანი მირბის მონავარდის ეპიტაფიამდე და უკანვე ბრუნდება, თანაც ფრუტუნებს, –

ლევანი: მოგიკვდეთ ლუნა! ეს მე ვარ... მერვე! მოვალ, ისევ მოვალ! შემეგებე, მონავარდე, შემეგებე... ერთნი ვართ... ერთნიი... შეგიერთდებიი...

წამიერად ჟღერს მელოდია: „საქართველო არწივების დედა-მშობელი.“ მიტო ყიჟინას დასცემს, –

მიტო: აღსდექ, მონავარდე! აღსდექი! მეცო სამომავლოდაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდებს... აფხაზეთისათვის!

ამ ყიჟინით მიტო მავთულს ცეცხლს შეუნთებს. ირგვლივ სიბნელე ჩამოწვება. ისმის ხან შორენას, ხანაც გუჩოს და ა.შ. ნაწყვეტ-ნაწყვეტად საუბარი –

გუჩო: Бог, спаси нас... от врагов!

სვეტა: от друзей я... сама спасусь... вперед, вперед....

ისმის შორენას სკანდირება: „სა-ქარ-თვე-ლო... სა-ქარ-თვე-ლო“...

ეს ყველაფერი უცებ აფეთქების ხმაში დაინთქმება. დგას ბული... სიცარიელე... სიბნელეა... უცებ ციდან შუქის სვეტი გადმოდის და მონავარდის საფლავს გაანათებს. საფლავზე შორენაა დამხობილი და ქვითინებს. შუქის დანახვაზე ის შეკრთება, უჭირს მზერა ააყოლოს სვეტის სიკაშკაშეს, ხოლო შემდგომ კი შეჭადადებს სინათლის სვეტს, –

შორენა: სვეტო დიდებული! სვეტო დიდებული – ჰაერში მონავარდე! გააძლიერე და გაამთლიანე საქართველო!

ახლა მიტო შემოდის, – მიმიკებითა და მოტორიკით ცდილობს სათქმელი გადმოსცეს, ის მერე შორენასთან მირბის. შორენა გულში ჩაიკრავს მას.

ბორცვის ძირას დგას ლევანი. უფრო და უფრო აკაშკაშდება სინათლის სვეტი და ლევანს ზედ დაენტება. ლევანი ცდილობს შუქს დაუძვრეს და ბორცვაკზე აბობლებას იწყებს. მიტო ციბრუტივით ტრიალებს. შორენა სევდით გასცქერის ბორცვზე შემდგარ ფსიქოთერაპევტს. ალუ შეძახებს, –

ლევანი: გიერთდები, გიერთდები... მერვე! შენ არაა... მონავარდე... მე ვიყავი! შემეგებეეე...

ალუ საზარლად ჩაიჩეხება უფსკრულში...

მიტო შემცბარია. შორენა მუხლმოდრეკილი კვლავ შუქის სვეტს შეჰღალადებს. მიტო აიღებს ჭოგრიტს. შორენა მას ხელს შემოხვევს და მერე... ორთავენი გადიან. ერთხანს სიჩუმეა, სიცარიელე. გარემო ლურჯ-მოთეთროდ ლიცლიცებს. მცირე ხანში შემოდის თეთრად შემოსილი მონავარდე და საუბრობს, –

მონავარდე: რა სილურჯეა! რა სითეთრე! ო, ღმერთო, სად ვარ?! აქ არავინაა?! ადამიანები... სად არიან?! სოხუმი! ეს ხომ სოხუმი, სოხუმი... ბიჭები! ჩვენი ძმები სად არიან?! სიზმარი... სიზმარი იყო ეს ყველაფერი?! ნუთუ ომი არ ყოფილა?! ზღვაა... ზღვაა... რატომ არ ისმის ტალღების ხმა?! მზე, მზე... რა სხვანაირია ეს მზე... რა სხვა ფერის! თითქოს გაცივდა! (თითქოს ვიღაც ყურში ჩასძახის) ჰო, ჰო... რა თქმა უნდა... ახლავე, ახლავე... (მონავარდე ავანსცენას უახლოვდება და სცენის ცენტრში დგება) ეჰეი, ჰეი... სადა ხართ?! საად? გესმით ჩემი ხმა? დაბრუნდით! დაბრუნდით! ეს ყველაფერი ხომ იყო... იყო, იყო... არის და აუცილებლად იქნება! რაა?! დაგავიწყდით?! აღარ გახსოვთ ეს... ზღვა?! სანაპირო... მთები...ტყე... ჩემსავით გეძახიან ისინი! აი, აი... გესმით? გესმით მათი ხმა? – დაბრუნდით! დაბრუნდით! წინაპართა საფლავეები... თქვენი სახლები... გიცდიან! გიცდიან! ეს ხომ აფხაზეთია, ჩვენი საქართველო – ჩვენი! ჩვენ ხომ ძმები ვართ! ეს ხომ... დაბრუნდით... დაბრუნდით... ოღონდ... უიარაღოდ! უიარაღოდ! მშვიდო...ბით! სიყვარულით... მხოლოდ სიყვარულით დაბრუნდით... ეჰეი... ჰეი...ი...ი...

მონავარდის ხმა აფეთქებებისა და სამხედრო მარშის ჰანგებში ინთქმება.

ერთფეროვნება

ისევ მარტო ვარ ერთფეროვნება
და ვერ დავუსხლტი ადამიანებს,
ვინც საკუთარი წამგლიჯა ნება,
ვის გამოც ჩემი ხსნა იგვიანებს.

რისთვის შემქმენით, რატომ დამშტამპეთ?
მომყირჭებია თემა ერთგვარი,
რამე ახალი, წმინდა მიამბეთ –
გამრჯე ცხოვრების ნირის და გვარის.

მე მესმის წყევლა, მესმის გინება,
მესმის განკითხვა, ვით ხმა სიკვდილის;
სად არს ბუნების გულმოდგინება
მხოლოდ შრომისთვის მარად მოცლილის?

გხედავ სისხლის ღვრას, შეხლა-შემოხლას
და ჩამოგლეჯილ პლაკატ-ბანერებს. . .
არჩევნებია, მერე რა მოხდა,
რომ ავლენთ ქცევით უხეშ მანერებს?

არად ვუღივარ ერთფეროვნებას –
წარმდგნელ-ჩამრეცხავ დროს პატარკაცურს,
ჩემს ქართულ ჯილაგს და ეროვნებას
ხომ შემომქმედი სიცოცხლის ხე სურს.

მაგრამ დმერთო, რა თქვენი ბრალია,
თუკი აბყვეით და დაგემსგავსეთ;
სხვათა ჭირისთვის თუ არ მცალია,
გულის თასს პირად ხეირით ვაგსებ.

მეც ხომ ვასმენ და ურცხვად ცილს ვწამებ,
თუკი თვალებზე გადმიკრავს ბინდი;
მეც ხომ ციხეში ტუსადს ვაწამებ,
თუ გულგრილობით ძარღვს ვუწყვეტ სინდისს.

ჰოდა ვფიქრობ, რომ ისევ ჯობია
გებრძოლო მხოლოდ მე საკუთარ თავს.
ეს ბრძოლა ჩემთვის განა ჰობია –
ის სამონაყმო შოუს არ მართავს.

პატიმრის პასიონი

ტაძრის გუმბათი ზეცის თაღს ერთვის,
ზარში დაღადებს დრო მოსისხარი;
სანთელი იწვის ძის ერთადერთის
დედის ღოცვითა და სატკივართ.

წმინდანნი კედლებს შემუნჯებია
სანთელთ ალებით გადანათოვარს,
გარეთ კი კვლავ ხავსს ეჭიდებიან,
გარეთ კი შია მოხუც მათხოვარს.

ეს გარეთ, მაგრამ შიგნით, ციხეში,
არასრულწლოვანს სული ჩაუკლეს –
საკნის უძინარ, უსუნთქარ ესში
მასზე სატანის ნება აუფლეს.

და მაიმახი – გულქვა, თვალმარდი,
საცაა ცივად მის კუბოს აწევს.
გაჩუმდით ყველა! სიტყვის თქმა არ ღირს,
ახლახანს ქრისტე კვლავ ჯვარზე აცვეს!

მზის რეკვიემი

ცისკარს დაუსკდა ღიმილის ბაგე,
და გაუფრინდნენ თეთრი ფრთოსნები,
მისთვის ტაძარი რომ ვერ ააგე
წრფელი, უნიღბო პატიოსნების.

ამაოდ მქროლავ ქარის გზას წუხდი,
ფიქრის სუდარა გადააფარე,
ნებაგანზრახულს ყმად რომ გაუხდი
თარეშს, ჩადგომას შორ, უცხო მხარეს.

სადაც სიმღერამ დალია სული,
ვით ცოდვის მწარე უნებლიობამ,
მარად არ წყევლო რომ დანავსული
ყოფა, ვით თვისი ტანჯვა იობმა.

როგორც ქარში მოშრიალე

მე სიტყვებში ვიხედები, ვით საკუთარ გულში. . .
ნეტა რა ძაფს მიიკემსავს ლექსის თეთრი ფარჩა?..
იქნებ ჩირქი გამიწყაღდეს სისხლამღვრეულ წყლულში,
სულის თაღს რიდების ქვეშ რაც მტკივა და არ ჩანს.

სისუსტედა მაძლიერებს ფიქრთა ღამის მეხრეს
და ყალბ ცრემლებს არ ვაწვიმებ მოქნარ ვარსკვლავთა ბნელ ჭაღს;
ამ სოფლის ზღვის ყველა ტალღა ჩემთვის იყო მეცხრე
და იონას მაგალითი მამხნევებდა ბეჩაეს.

ავდრის მოლოდინში წუხდა ჩემს თვალებზე გვაღვა
ცრუ, ძალადმოღხინარ დღეებს, ზნედამწვარს და უქმეს;
უგანგებო თავის გამგე რა ხანია არ ვარ
და ღამიდან სისხამის ცვარს სულის სითბოს ვუკმევ.

როგორც ქარში მოშრიალე ხე იმ ფესვზე ვდგავარ,
მიწას რომ მიჯაჭვია და ცის მიღმა მზის ჯავარს.

. . .

ტალღოვანი მიმოქროლვა ბგერების თბილ ქარის,
გააპარა ვიოლების მოქანცულმა სევდამ;
ნოტებმომოხვეულ გზაზე დიეზ და ბეკარით,
მომაკვდავი მელოდია ფერმატას მინებდა.

გული მისდის დაყრუებულ დარბაზს დრიანცელში,
ატონალური მსოფლიოს რისხვის ჯახანია;
წივის რკინის მჭახე ფორტე ძალადობის ცელში
და კომპიუტერიც არ წყვეტს ხრიალს რახანია.

ახალ კაბით დაბრძანდება ქალი-ეპიგონი,
საყვარლების იცვლის ფარულ რემინისცენციებს;
გარდაიცვალნენ ხმატკბილი სალონები მგონი,
და პოსტმოდერნიზმის ბავშვი ისევ ყელს იციებს.

რომ გოთიკურ მარმარილოს დაესვენოს მესა,
სიცოცხლისთვის ჰარმონიას შევავედრებ მე ცას.

დაბრუნება

მშვიდი ამინდი ინახება და თავმომწონე
მზის სარკეებად კამკამებენ ალვის ფოთლები.
მე მათ შრიალში ყრუ ექოთა ხმა გავიგონე,
ახალგაზრდობის ცაზე ჩამქრალ ვარსკვლავთა წლების.

ტირის იგრიკა. . . თბილ კანზე ვგრძნობ კოცნას წვეთების
და მათ ჩვილ ალერსს იწოვს ჩემი სულის სიმშრალე,
ვით სისპეტაკეს გარდაცვლილი სენტემენტების,
მე რომ ოდესღაც მოვკალი და არ შევიბრალე.

რა ბანალურად ჟღერს მუსიკა მოგონებების –
სპლინის ცრემლებზე საცოდავი და გულუბრყვილო,

მაგრამ მე მაინც ჯიუტ ხსოვნის ფანდზე ვეგები,
მაგრამ მე მაინც დაბრუნებას უაზროდ ვცდილობ.

ქვეყნად არაფრის, თუნდ მწვერვალი იყოს სიკეთის,
მხოლოდ გულიდან მარად მწვეთარ სისხლის ერთ წვეთის.

წარსულში

უმზერ, განიცდი და არ უწყვი, რაა, რომ ყვარობ
სევდამთოვარ და სულდალეულ ფოთოლთა ცვენას,
ცეცხლის ზაფხული – თვალდაბინდულ ნაღველის წყარო,
როს მიდის, ტოვებს მარტოობის კარდახშულ სენაკს?

თუმც მწარე სისხლად ჩქეფს ძარღვებში მწველ ჟამის დენა,
შემოჩვეული, ვით ფილტვებზე კუპრი თუთუნის,
არ გიბრუნდება სიტყვებისთვის მდუმარე ენა,
ატეხო ასე ყავლგასული ბედზე წუწუნი.

რა ძვირფასია ყველაფერი, ხორციოტ განცდილი,
როს ტაძრის ქვის კვართს ეხაფება ყოფილის კვალი;
მას ადევნებულს შენს ნაბიჯებს, ვით დღე სიკვდილის,
წამით იხელთებ და გისხლტება, ვით პეშვში წყალი.

და რატომ გესმის წარსულის ხმა ცად მჭექარ ზარში,
რომ მარადიულ აწმყოდ სუფევს იგი ტაძარში?...

ნისლის ფლეიტა

ჩუმ ხმებში დნება ნისლის ფლეიტა –
სიმსუბუქეში მწუხრის რიდება.
მშფოთვარე გულში სხვა რა შეიტანს
თოვლის სიმშვიდის თეთრ გარინდებას.

სიწმინდე იპყრობს გაფურჩენას ჰანგის,
ფლეიტის ბაგეს სუნთქვა ფშვინვარე,
რომ დაუბრუნდეს, ვით ბუმერანგი
მუსიკის ქარი უდაბნოს ქნარებს.

გადუყვებენ თავს სათუთ თითებს
და სიყვარულის მოტივს მოთხოვენ
ათენას მხლებელ ძველ ფლეიტისტებს,
სული შთაბერონ რომ ყრუ ბეთხოვენს.

აიდუმალებს შედეგს მიზეზი,
ხმელი ლოგიკაც ბებერ თავს კარგავს,

ოდეს ჩვილივით უფაქიზესი
ნისლის ფლეიტა სონატას ქარგავს.

ქარგავს და სანთლის ალი გაისმის,
საკმეველის ფანტვა ლოცვის სურნელში
და ბუნდოვანი, როგორც გაისი
მარადი სუნთქავს ფლეიტის ყელში.

რა გადაარჩენს

რა გადაარჩენს ჩვენს ერს, ქვეყანას?
რაც მუსიკად ჟღერს და პოეზიად:
მხნე ჩაკრულო და მეგრული ნანა,
ის, რაც შოთას და ვაჟას ლექსია.

და თუკი ღაზი მღერის კოლხეთზე,
ტაოში ოშკის ზარი თუ რეკავს,
რა ჩაასვენებს საქართველოს მზეს
ან რა დააჭკნობს მის ვარდნარ-ეკალს,

რა გადაარჩენს ჩვენს ივერიას? –
რაც ანთებს სანთელს, ლოცულობს, წყალობს;
თვით სულიწმიდას რაც უწერია,
იმით სუნთქავს და აწმყო-მომავლობს.

ენა ღაზარეს კილოზე მღერის,
ცვილის საღებავს გარდაქმნის ხატად;
შესავედრებლად ერის და ბერის,
ლოცვას უფალთან სიყვარულს ატანს.

რაც სიზარმაცის სპობს ავ ბაცილებს,
აფასებს შრომას მამულისათვის;
ბნელ უმეცრებას იმით გვაცვილებს,
რომ პირველ საქმედ განათლებას თვლის.

რა გადაარჩენს ჩვენს ერს და მამულს? –
ჩვენივე უფლების საკუთარ ხელით
დაცვა და ბრძოლა მისთვის გულდაგულ
თავისუფლების წმინდა სახელით.

რა გადაარჩენს ჩვენს ერს, ქვეყანას? –
რაც გეგმას ადგენს იმის მიხედვით,
წარსულმა აწმყოს რა მოუტანა,
რომ დაინახოს მომავლის ხედი.

რაც არ ძალადობს, რაც არ აყალბებს,
სიცოცხლის ღვთიურ უფლებას ინდობს;

რაც უსმენს, უგებს, არ შლის, არ არბევს,
სიმართლის ნიღბის ქვეშ რაც არ ფლიდობს.

ერთსულოვნების გათავისება,
ამპარტავნების აღმოფხვრა გულში,
და ერთგულების ოქროს თვისება
სამშობლოსადმი ღმერთ სიყვარულში.

რა გადაარჩენს ჩვენს ერს, ქვეყანას? –
თვითუარყოფა სამაგალითო,
ღმერთთან მისვლა რომ არ დაახანა,
რაც ინანიებს, გალობს, დავითობს.

Scripta manent

ავტორები

- ციური ახელედიანი** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი
- ანზორ აბუსერიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი, გერმანული ფილოლოგია, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ია ბურდული** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, სრული პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი
- კონსტანტინე იონათამიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორანტი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- მარინა ზორანიანი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი
- მარინე სიორიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
- ნანა სტამბოლიშვილი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, გერმანული ფილოლოგია, ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
- ნათია ხარბედია** – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
- დურრა ჰაშიმოვა** – აზერბაიჯანის ენათა უნივერსიტეტი, ლინგვისტიკის დეპარტამენტი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, სრული პროფესორი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
- ნატო თხილავა** – თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის გერმანული ენის უფროსი მასწავლებელი, ფილოლოგიის დოქტორი
- გიორგი ყუფარაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი ჭყონია** – მსახიობი, პოეტი, კომპოზიტორი

ჟურნალის რედკოლეგია

- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი
- გიოლა ფურცელაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- კულპაშ ბეიბიტოვა** – გუმილიოვის სახ. ევრაზიის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)
- ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)
- ქეთევან გაბუნია** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი
- ია ბურდული** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
- მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი
- სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
- ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი ყუფარაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Редколлегия журнала

Майя Чхеидзе – Грузинский университет, руководитель департамента языков, доктор филологических наук, фулл-профессор

Русудан Табукашвили – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологии, фулл-профессор

Виола Пурцеладзе – Тбилисский Государственный Университет, доктор филологических наук, профессор

Ия Чиквинидзе – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологии, ассоциированный профессор.

Ганс Руддигер Флук – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

Кульпаш Бейбитова – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

Таня Грисхаммер – Магистр филологии (DAAD)

Кетеван Габуния – Тбилисский государственный университет, факультет гуманитарных наук, доктор филологии, руководитель направления романской филологии, фулл-профессор

Ия Бурдули – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологии, ассистент-профессор

Мария Михайлова – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)

Сильвия Ботева – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

Татьяна Мегрелишвили – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологических наук, ассоциированный профессор

Альба Грациано – Университет г. Тусция (Италия), директор центра языков, профессор

Алессандра Спадафора – Университет г. Тусция (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

Георгий Купарадзе – Тбилисский государственный университет, факультет гуманитарных наук, доктор филологии, ассоциированный профессор

Scripta manent

Editorial board

Maia Chkheidze – Head of the Languages Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Full Professor

Rusudan Tabukashvili – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philology, Full professor

Viola Purzeladze – Tbilisis' State University, Doctor of Philological Science, Professor

Ia Chikvinidze – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philology, Assosiated Professor

Hans Rudiger Fluck – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

Kulpash Beibitova – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

Tanya Griskhamer – Master of Philology (DAAD)

Ketevan Gabunia – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Dirrection in Romanian Philology, Doctor of Philology, Full-Professor

Ia Burduli – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philology, Assistant Professor

Maria Mikhailova – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

Sylvia Boteva – Sofia's Uniersity of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

Tatiana Megrelishvili – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philological Science, Assosiated Professor

Alba Graziano – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

Alessandra Spadafora – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology

Georgi Kuparadze – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Doctor of Philology, Assosiated Professor